

საქართველო გარდამავალ პერიოდში

*ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში:
განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები*

თომას ჰამარბერგი

ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში

ანგარიში განკუთვნილია ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისა და ვიცე პრეზიდენტის ქეთრინ ემტონისა და გაფართოვების და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისიის შტეფან ფულესათვის

2013 წლის სექტემბერი

ქართულ თარგმანში შესაძლო გაურკვევლობის შემთხვევაში იხილეთ ანგარიში ინგლისური ტექტი

წინასიტყვაობა

2013 წლის იანვრის შემდეგ საქართველოს რამდენჯერმე ვეწვიე, რათა შემეფასებინა ვითარება და წინსვლა ადამიანის უფლებათა სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ 2006-2012 წლებში, ადამიანის უფლებების საკითხებში ევროპის საბჭოს კომისრის სტატუსით დამიგროვდა მნიშვნელოვანი ცოდნა ამ მიმართულებით, აუცილებელად ჩავთვალე 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომი პროცესების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიღება.

დაკვირვებით ვადევნებდი თვალყურს და ვმონაწილეობდი მთელ რიგ დისკუსიებში, რომლებიც მიემდგნა წარსულის პრობლემების მოგვარებისა და ადამიანის უფლებათა რეალური პატივისცემის კულტურის საფუძველის ჩაყრას. ჩემს მოსაზრებებსა და კრიტიკას, საჭიროებისამებრ, ვუზიარებდი საქართველოს ახალი მთავრობის წევრებს, პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ჩათვლით. როგორც წესი, ეს მოლაპარაკებები მეტად კონსტრუქციული იყო, ხოლო ჩემთან მოსაუბრეები იყვნენ გულწრფელი.

ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის დროებითი სტატუსის მიღებისას განვაცხადე, რომ ჩემი მიზანი პოლიტიკური მიუკერძოებლობა იქნებოდა და მე ვეცდებოდი შეხვედროდი არა მარტო მინისტრებსა და ხელისუფლების სხვა მაღალი თანამდებობის პირებს, არამედ ოპოზიციის, მართლმსაჯულების სისტემის, სახალხო დამცველის აპარატის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ანალიტიკური ცენტრების, პროფესიული კავშირებისა და დამქირავებელთა, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსაც. ასევე, იმ ადამიანებს, რომელთა უფლებები დაირღვა.

ასეთი შეხვედრები როგორც წესი, ღია და ინფორმაციული ხასიათის იყო. მსგავს გარემოში ჩაიარა შეხვედრებმა პრეზიდენტ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან, ასევე უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძესთან. გაიმართა ორი შეხვედრა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, რომელიც განსაკუთრებით დროული და აქტუალური აღმოჩნდა მიმდინარე მოვლენების ფონზე.

ამ საქმეში დიდი გახმარება გამიწია ევა პასტრანამ (თბილისში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომელი ადამიანის უფლებათა საკითხებში), აგრეთვე ევროკავშირის წარმომადგენლობის სხვა თანამშრომლებმა. პრემიერ-მინისტრსა და სხვა მინისტრებთან ჩემს კავშირს ეფექტურად უზრუნველყოფდა თამარ ჩუგოშვილი, რომელიც ამავედროულად ბრწყინვალე მრჩეველიც აღმოჩნდა. ჩემი ძირითადი მრჩეველების სიაში შედიოდა ასევე საბრინა ბიუჰლერი, შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტიდან, რომელიც დიდად დამეხმარა ამ ანგარიშის შედგენაში - მისი დახმარების გარეშე ეს შეუძლებელი იქნებოდა.

გარდა ამისა, პატივი მერგო, მიმელო რჩევები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან დაადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფისგან: ემილ ადელხანოვი, გიორგი ჩხეიძე, ეკა გიგაური, გიორგი გოგია, თამარ ქალდანი, ნინო ლომჯარია, გიორგი ტულუში.

ამ ანგარიშის შესავალში მოკლედ არის შეჯამებული ჩემი მოსაზრებები და შთაბეჭდილებები, ანგარიშის ძირითად ნაწილში კი, უფრო სიღრმისეულადაა განხილული ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკვანძო სფეროები: მართლმსაჯულების სისტემა, სასჯელადსრულების სისტემა, სამართალდამცავი სტრუქტურები, უმცირესობათა უფლებები, პოლიტიკური თანამონაწილეობა, გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, დასასრულს სოციალური სამართლიანობა. ძირითადი რეკომენდაციები შესაბამის თავებში მოცემულია მუქი შრიფტით.

ანგარიშის ადრესატები არიან ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი და ვიცე-პრეზიდენტი ქეტრინეშტონი და გაფათოვებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კომისარი შტეფან ფულე, რომლებიც თანახმა არიან ეს ანგარიში გასაჯაროვდეს, რათა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები გახდეს ღია დისკუსიის საგანი. თუმცა, მთელი პასუხისმგებლობა ტექსტზე, შესაძლო უზუსტობების ჩათვლით, მეკისრება პირადად მე.

თომას ჰამარბერგი

2013 წლის სექტემბერი

Contents

წინასიტყვაობა	2
---------------------	---

შესავალი	7
1 მართლმსაჯულება.....	16
1.1 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა.....	18
1.2 სისხლის სამართლის პოლიტიკა	20
1.3 ადმინისტრაციული პატიმრობა.....	21
1.4 აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება.....	22
1.5 საპროცესო გარიგება.....	24
1.6 პროკურატურა	26
2. სასჯელადსრულების სისტემა	28
2.1 პირობები ციხეებში.....	30
2.2 სამედიცინო მომსახურება ციხეებში	31
2.3 არასათანადო მოპყრობა და წამება ციხეებში.....	32
2.4 პატიმრობის ალტერნატივების შემუშავება და სოციალური რეინტეგრაცია	36
2.5 არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები	38
3 სამართალდამცავი ორგანოები	39
3.1 გამოძიების საექვო მეთოდები.....	40
3.2 უკანონო თვალთვალი.....	41
3.3 არასათანადო მოპყრობა/წამება და გადამეტებული ძალის გამოყენება	43
3.4 საჩივართა განხილვის დამოუკიდებელი და ეფექტიანი სისტემის შექმნა	45

3.5	ეთიკის სტანდარტებისა და ადამიანის უფლებათა ტრენინგის აუცილებლობა	46
4.1	უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პოლიტიკა	47
4.2	ეთნიკური უმცირესობები	49
4.3	რელიგიური უმცირესობები	51
4.4	სექსუალური უმცირესობები	52
5	საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.....	54
5.1	საზოგადოებრივი აქტივობები	55
5.2	ადგილობრივი მმართველობა	58
5.3.	ქალთა და უმცირესობათა მონაწილეობა.....	60
5.4	სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენება	61
5.5.	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება.....	62
6	გამოხატვის, შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლება	63
6.1	მედიის თავისუფლება.....	65
6.2	ძალადობა და დაშინება ჟურნალისტების წინააღმდეგ	67
6.3	სახელისუფლებო კონტროლი კერძო კომუნიკაციებზე	69
6.4	დემონსტრაციების დარბევა წარსულში	69
6.5.	დემონსტრაციების მონაწილეთა უსაფრთხოება და უფლებები	71
6.6	გაერთიანების უფლება.....	72
7.	სოციალური სამართლიანობა	72

7.1	შრომითი უფლებები.....	74
7.2	ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა.....	75
7.3	ბავშვთა უფლებები	77
7.4	მოწყვლადი ჯგუფები.....	78
7.5	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები	79
7.6	ჯანმრთელობის დაცვის უფლება	80
7.7	საკუთრებისა და მიწის მფლობელთა უფლებები	81
	შემაჯამებელი მოსაზრებები	82

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო უკვე მეორედ იმყოფება გარდამავალ პერიოდში. პირველი ასეთი ძირეული ცვლილება დაიწყო „ვარდების რევოლუციით“ 2013 წლის ნოემბერში, რომელმაც მოიტანა კომუნისტურ ტრადიციებთან კავშირის არაორაზროვანი გაწყვეტა და ამბიციის იმისა, რომ მოხდებოდა ნამდვილად დემოკრატიული ტრანსფორმაცია. ამჟამინდელი ცვლილებები კი 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებთან ერთად დაიწყო.

რეკოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების მიზანი იყო რადიკალური რეფორმები ქართულ საზოგადოებაში. მან გადადგა ნაბიჯები ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისაკენ, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და კორუფციის აღმოფხვრისაკენ. ხელისუფლებამ დაითხოვა წინა მოსამართლეები და დაამკვიდრა მართლმსაჯულების უფრო რაციონალური მეთოდოლოგია და სტრუქტურები. მანამდე პარლამენტს დაქვემდებარებული იუსტიციის უმაღლესი საბჭო იქცა ფორმალურად უფრო დამოუკიდებელ უწყებად. სათანადო ყურადღება დაეთმო მართლმსაჯულების სისტემისათვის ესოდენ დამახასიათებელი კორუფციის აღმოფხვრას. მიღებულ იქნა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი. ასევე გადაიდგა ნაბიჯები პოლიციაში კორუფციის წინააღმდეგ, კერძოდ კი ამაღლდა საპატრულო პოლიციის პროფესიული დონე.

გარდა ამისა, გადაიდგა სხვა ისეთი პოზიტიური ნაბიჯები, როგორცააშემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მიღება, რომელთა მიზანიც იყო უმცირესობათა მიმართ ტოლერანტობის გაღვივება საზოგადოებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ყოველივე ამის შედეგი კი იყო, მაგალითად, უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე სკოლების მშენებლობა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.

მიუხედავად ამისა, ვითარება ნამდვილად არ იყო იდეალური, განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლებში, როდესაც თავი იჩინა პრობლემებმა და ზოგიერთმა მათგანმა გავლენაც მოახდინა 2012 წლის არჩევნების შედეგებზე. ამ არჩევნებზე, რა საკვირველია, გავლენა იქონია 2008 წლის გამანადგურებელი ომის შედეგებმაც.

ადამიანის უფლებათა საკითხებში საერთაშორისო დამკვირვებლები, სახალხო დამცველი და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ მართლმსაჯულების სისტემაში არსებობდა ხარვეზები ძირითად ასპექტებთან მიმართებით. მაგალითად, არსებობდა ძალაუფლების ბალანსის ნაკლებობა პროკურატურასა და დაცვის მხარეს შორის, რასაც შედეგად მოჰყვა გამამართლებელი განაჩენების უკიდურესად მცირე რაოდენობა, საპროცესო გარიგების ბოროტად გამოყენება, რამაც შედეგად მოიტანა უკიდურესად უსამართლო არჩევანი, რომლის წინაშეც ბრალდებულები დგებოდნენ, ასევე ის აუტანელი პირობები და არასათანადო მოპყრობა, წამებაც კი, რაც ხდებოდა გადატვირთულ ციხეებში.

მმართველი პარტია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებდა პარლამენტს ისევე, როგორც ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრაციას. ნელ-ნელა ქრებოდა განსხვავება სახელმწიფოსა და პარტიას შორის, ხორციელდებოდა მიწებისა და სხვა კერძო საკუთრების ჩამორთმევა, ხოლო მესაკუთრეებს თითქმის არ ეძლეოდათ გასაჩივრების საშუალება. ასევე, ზეწოლისა და დაშინების გამოყენებით ხორციელდებოდა ქონების „შეწირულობის სახით“ გადაცემა სახელმწიფოსათვის, იყო საჩივრები „ელიტარული კორუფციის“ გამო.

იყო შემთხვევები, როცა ოპოზიციის დემონსტრაციებს სასტიკად უსწორდებოდნენ. შემუშავდა საყოველთაო თვალთვალის სისტემა, რომლის რეალური მასშტაბებიც მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკა, ყოველ შემთხვევაში 2008 წლის ომამდე, ფასდებოდა დადებითად, სოფლის მეურნეობა ნაკლებად ვითარდებოდა და მოწყვლადი ჯგუფები სათანადოდ დაცული არ იყვნენ. ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალი იყო, ხოლო ბავშვთა სიღარიბე - ფართოდ გავრცელებული; დაწყებითი და საშუალო განათლების დონე დაბალი რჩებოდა. ამ ღრმა და მძიმე პრობლემების მოსაგვარებლად რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადადგმულა.

პარტია „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა კოალიციურმა პარტნიორებმა 2012 წელს, წინასაარჩევნო გზავნილების ფარგლებში, დადეს ამ პრობლემების გადაჭრის პირობა. მათი დაპირება იყო მართლმსაჯულების სისტემის დეპოლიტიზება, უსამართლოდ მსჯავრდებულთა გათავისუფლება, იმ დამნაშავეთა დასჯა, ვინც ძალაუფლება ბოროტად გამოიყენა, რალურად მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრება, დაბალანსებული მედიაგარემოს უზრუნველყოფა, აგრარული რეფორმების წამოწყება და მხარდაჭერა.

მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები სასამართლო სისტემისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თაობაზე, რაც სისტემის დამოუკიდებლობისაკენ წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდა. გადაისინჯა სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და პარლამენტს განსახილველად წარედგინა წინადადებები ახალი ცვლილებების შესახებ. პარლამენტის მიერ მიღებული ამნისტიის, ასევე სხვა სამართლებრივი ცვლილებებისა და პრეზიდენტის მიერ შეწყალების შედეგად, ციხეებიდან გათავისუფლდა მსჯავრდებულთა თითქმის ნახევარი; გადაიდგა ნაბიჯები ციხეებში პირობების გასაუმჯობესებლად; მიყურადების სისტემაზე დაწესდა ზედმიწევნითი კონტროლი, მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით უკანონო ჩანაწერები კონკრეტული პირების შესახებ, მათი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების ჩათვლით; დაინიშნა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი.

საერთაშორისო ექსპერტებთან და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან კონსულტაციების შედეგად შრომის კოდექსში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. დღეს ეს კოდექსი იცავს დაქირავებულთა უფლებას, გაერთიანდნენ და წამოაყენონ საკუთარი პირობები. პრემიერ-მინისტრმა ადმინისტრაციას მიუთითა, რომ უპირატესობა მიენიჭოს ბავშვთა, განსაკუთრებით კი დაუცველ ბავშვთა უფლებების დაცვას. სხვა პოზიტიური ნაბიჯები აღწერილია ამ ანგარიშის ძირითად ტექსტში.

მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, დაშვებულ იქნა შეცდომები რიგ საკითხებში და აუცილებელია მათი მოგვარება ან უფრო ეფექტიანად დარეგულირება.¹ მათ შორის სასწრაფო

¹გიორგი ტულუშის (ყოფილი სახალხო დამცველი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს) მიერ დაარსებულმა

ნაბიჯებია გადასადგმელი ისლამოფობიური ტენდენციების საწინააღმდეგოდ. გულდასაწყვეტი ხარვეზია, მაგალითად, ზოგიერთი განცხადება, რომლებშიც უფლებელყოფილია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი. მეორე მხრივ, სპეციალური მრჩეველი აფასებს მინისტრებისა და სხვა ოფიციალური პირების მკაფიო დამოკიდებულებასა და მზაობას, მიიღონ კრიტიკა და გამოასწორონ შეცდომები.

საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაცია არის ის პრობლემა, რომელიც აბრკოლებს და ართულებს რეფორმატორულ ძალისხმევას. ამის მაგალითია დამაბულობა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. საბედნიეროდ, ვითარება პარლამენტში შედარებით უკეთესია. საკანონმდებლო ორგანომ მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი კანონები, მათგან ზოგიერთი - ფრაქციებს შორის თანხმობის შედეგად. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი იყო საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება.

გარდა ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისა, დღეს საქართველოს წინაშე ორი ძირითადი გამოწვევადგას, ერთის მხრივ ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით წარსულის სერიოზული გაანალიზება, ხოლო მეორეს მხრივ, ეფექტიანი, მიუკერძოებელი ინსტიტუტების შექმნა მოქალაქეთა საჭიროებებისა და საჭირობოროტო საკითხების მოსაგვარებლად.

წარსულთან გამკლავება

2012 წლის არჩევნების შემდეგ მოქალაქეებმა შეიტანეს ათასობით საჩივარი მთავარ პროკურატურაში. საჩივრები გადაეცა აგრეთვე პარლამენტსა და სახალხო დამცველს. ზოგმა იმედგაცრუებულმა მოქალაქემ ერთდროულად ყველა უწყებას მიმართა.

ეს საჩივრები ეხებოდა, მაგალითად, თავისუფლების უკანონოდ ან სხვაგვარად გაუმართლებელ შეზღუდვას, ასევე არასათანადო მოპყრობას ციხეებში. ბევრ საჩივარში ფიგურირებდა საპროცესო გარიგების ბოროტად გამოყენება. სხვა საჩივრებში აღწერილი იყო სახელმწიფოსათვის ქონების „უსასყიდლოდ გადაცემის“ მიზნით ზეწოლა და სხვა ძალადობრივი მოქმედება პროკურორებისა და სახელმწიფოს სხვა წარმომადგენელთა მხრიდან. შესაძლებელია, დიდი რაოდენობის საჩივრებიდან ზოგიერთი დაუსაბუთებელ ფაქტს შეიცავდეს. მიუხედავად ამისა, ყველა მათგანის უკლებლივ განხილვა და შესაბამისი რეაგირება უპირველესი ამოცანაა. მთავარმა პროკურატურამ ეს პროცესი უკვე დაიწყო, მაგრამ აუცილებელია მისი შემდგომი სისტემატიზაცია და განხილვისა და რეაგირების შესახებ ანგარიშის გასაჯაროება.

როგორც ჩანს, არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ბრალდებები წაეყენოს ყველაზე სერიოზულ დანაშაულებზე (ადამიანის უფლებათა დარღვევისა და ძალაუფლების

არასამთავრობო ორგანიზაციამ - „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ გამოაქვეყნა 2013 წლის პირველ ნახევარში ხელისუფლების მუშაობის შესახებ ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია რიგი ხარვეზები. ზოგიერთი მათგანი შესულია წინამდებარე ანგარიშის ძირითად ტექსტში.

ბოროტად გამოყენების ჩათვლით) პასუხისმგებელ პირებს, ხოლო მათ, ვინც მხოლოდ ბრძანებებს ასრულებდა, ამა თუ იმ ფორმით შეეხო „ამნისტია“.

2012 წლის არჩევნებამდე კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დადო სამართლიანობის აღდგენის პირობა. მნიშვნელოვანია დაუსჯელობასთან ბრძოლა, და ამ ბრძოლაში არცთუ ბოლო ადგილზეა სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. ამავე დროს არანაკლებ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ უზრუნველყოფილი იყოს სრულიად გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესები, რომლებიც თავისუფალი იქნება ნებისმიერი ჩარევისაგან.

მთავარმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება წინა ადმინისტრაციის რიგი თანამდებობის პირების წინააღმდეგ. სხვადასხვა სავარაუდო დანაშაულის, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი გამოყენებისა და ფულის გათეთრების ფაქტების გამოძიების ფარგლებში პროკურატურის მიერ მოწმის სტატუსით დაიკითხა 6156 პირი, დიდწილად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები. ოპოზიციური პარტია განიხილავს ამ დაკითხვებს, როგორც პოლიტიკურად მოტივირებულ თავდასხმას ოპოზიციაზე. ამჟამად ბრალი წაუყენეს 35 ყოფილ თანამდებობის პირს, რომელთაგან 14 წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, 14 პირს შეეფარდა გირაო აღმკვეთი ღონისძიების სახით, ერთი გათავისუფლებულია აღმკვეთი ღონისძიების გარეშე, ერთი შეიწყალა პრეზიდენტმა სასჯელის მისჯისთანავე, ხოლო 5–მა დატოვა ქვეყანა. სხვა ყოფილ საჯარო მოხელეებს ასევე წარედგინათ ბრალი ან დაეკისრათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.²

ერთ–ერთი დაკავებული, რომელიც ამჟამად წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, არის ვანო მერაბიშვილი, ყოფილი პრემიერ–მინისტრი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და დაკავების მომენტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უწყვეტად განაგრძობს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების გასაჩივრებას. შესაბამისად, ამ სასამართლომ დიდი მითქმა–მოთქმა გამოიწვია, განსაკუთრებით კი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების თვალსაზრისით, რადგანაც ოპოზიციის ერთ–ერთ საკვანძო ფიგურას არ მიეცა წინასაარჩევნო კამპანიაში წვლილის შეტანის საშუალება.

მერაბიშვილისა და სხვა პოლიტიკოსების, აგრეთვე ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების სასამართლო პროცესებს ყურადღებით ადევნებენ თვალს საერთაშორისო დამკვირვებლები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ პროცესების შესაბამისობას სამართლიანი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე სასამართლოს სტანდარტებთან, კრიტიკული თვალთ აკვირდებიან.

²ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მონაცემებით კიდევ ასამდე საჯარო მოხელის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლის სამართლის გამოძიება, ან ბრალი აქვთ წაყენებული სხვადასხვა დანაშაულების ჩადენისთვის.

არსებობს ნიშნები იმისა, რომ წარსულთან შედარებით, პროკურატურის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, დღეს გაზრდილია სასამართლოს დამოუკიდებლობა. მაგალითად, კიდევ ერთი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის წინააღმდეგ საქმეში გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

მიმდინარეობს დებატები სასამართლო პროცესებზე დაშვებულ ხარვეზებზე რეაგირების შესახებ, საპროცესო გარიგების შესახებ უსამართლო გადაწყვეტილებების ჩათვლით. გაიმართა კონსულტაციები ვენეციის კომისიასთან (ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად) რათა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს საჩივრებს სასამართლო პროცესების დროს სავარაუდოდ დაშვებული ხარვეზების გამო და გასცემს რეკომენდაციას, არის თუ არა საჭირო ამა თუ იმ საქმის სასამართლოში ხელახლა განხილვის აუცილებლობა. კომისიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია, რომ სასამართლოში ამა თუ იმ საქმის ხელახლა განხილვის საკითხი თავად მართლმსაჯულების სისტემის გადასაწყვეტია, სხვა უწყებებს კი შეუძლიათ მხოლოდ შესთავაზონ ასეთი საქმეები.

ამასთან, პარლამენტში ჯერ არ შესულა წინადადება იმ პირთა პასუხისგებაში მიცემისაგან გათავისუფლების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ბრძანებებს ასრულებდნენ და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და კანონის დარღვევისას მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ. ითვლება, რომ ამნისტიის შესახებ ასეთი კანონის შემუშავება ძირითადი იურიდიული პრინციპების დარღვევის გარეშე უკიდურესად რთული იქნება. ამ ეტაპზე თავად პროკურორების გადასაწყვეტია, რომელ საქმეზე და ვის წინააღმდეგ დაიწყონ გამოძიება.

საკუთრების კონფისკაციისა და გასხვისების გამო სარჩელებზე რეაგირება განსაკუთრებით დელიკატური საქმეა და არა მხოლოდ ფაქტების უტყუარობის დადგენის კუთხით. მაშინაც კი, როდესაც დანამდვილებით დადასტურდება საკუთრების უფლების დარღვევა, მიწის ნაკვეთი ან შენობა შეიძლება სხვა მიზნებით გამოყენებული აღმოჩნდეს, უკუპროცესის უზრუნველყოფა კი, ასეთ შემთხვევებში, უკიდურესად რთული იქნება. ფინანსური კომპენსაცია შეიძლება იყოს სამართლიანი გადაწყვეტილება, მაგრამ ძალიან მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.

აქ საქმე არა მხოლოდ კანონსა და იურიდიულ პროცედურებს ეხება, არამედ სახეზეა პოლიტიკური ფაქტორიც. წინა ხელისუფლების მოქმედებებით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ თავი იჩინა 2012 წლის არჩევნების შედეგებში და არჩევნების შემდგომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში აისახა. ცხადია, რომ ბევრი ადამიანი ძალიან უკმაყოფილო იყო და ითხოვდა ანგარიშსწორებას. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა დემონსტრაციები ადგილობრივი თვითმმართველობის შენობებთან რამდენიმე მუნიციპალიტეტში, როგორც ჩანს, სწორედ ამ განწყობას გამოხატავდა. მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის არჩევნები მხოლოდ პარლამენტს ეხებოდა (ადგილობრივი არჩევნები დაგეგმილია 2014 წლის მაისში), დაჟინებული მოთხოვნა იყო ადგილობრივი საკრებულოებიდან დაეთხოვათ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები. ასეთი პროცესები კი მიუღებელია.

ამ კონტექსტში კოალიცია „ქართული ოცნების“ წინაშე დგას რამდენიმე გამოწვევა:

- ყველა საჩივარზე სამართლებრივი რეაგირება;
- დანაშაულში ეჭვმიტანილი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების საქმეებში სათანადო პროცედურების ზედმიწევნით დაცვის უზრუნველყოფა: არავითარი პოლიტიზირება თუ „შერჩევითი სამართალი“;
- ერთი მხრივ, ყურადღების გამახვილება იმ საქმეებზე, რომელთა დაუსჯელობა საზოგადოებაში სამართლიანობის განცდას მოსპობს, მეორე მხრივ, კი ღმობიერი მოპყრობა ნაკლებად სერიოზული საქმეების შემთხვევაში, იმ პირების მიმართ, რომლებიც მხოლოდ ბრძანებებს ასრულებდნენ ან იძულებით თანამონაწილეობდნენ არაკანონიერ მოქმედებებში;
- უმრავლესობის მხარდამჭერთა დარწმუნება, რომ მოერიდონ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ ნებისმიერ არადემოკრატიულ მოქმედებას, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართული შეხვედრების დროს მღელვარების ჩათვლით. გარდა ამისა, პასუხის გაცემა მათთვის, ვინც აბუჩად იგდებს გამოხატვისა და შეკრების უფლებას.

აუცილებელია წარსულში დაშვებული შეცდომებიდან დასკვნების გამოტანა. ამისათვის კი საჭიროა ამომწურავად, ფაქტობრივი სიზუსტით, ობიექტურად, დამაჯერებლად და იმ დროს არსებული რეალური ვითარების გათვალისწინებით აღიწეროს წარსულში მომხდარი მოვლენები. ჩვენი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასეთი დასკვნებისა და ანგარიშების შემუშავება აჯობებს დაევალოთ მიუკერძოებელ ექსპერტებს, ვიდრე პარტიული, პოლიტიკური ინტერესების მქონე ჯგუფებს.

თუმცა, ფაქტების დადგენის შემდეგ მნიშვნელოვანია პარლამენტში (და მის გარეთ) დებატების დაწყება შემდგომი ნაბიჯების შესახებ, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი პრობლემები მომავალში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დროული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის ჩათვლით, წინადადება „წარსულის გამოცდილებიდან დასკვნების გამოტანის“ პროცესში პარლამენტის ჩართულობის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმით დაიხუროს წარსულთან ანგარიშსწორების ეტაპი, თანაც ისე, რომ სამომავლოდ გვექონდეს სამართლის აღსრულების, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის მაგალითი. ეს კი, იმედია, პოლიტიკურ ენერჯიას მომავალზე ზრუნვისკენ მიმართვას.

ინსტიტუტების მშენებლობა მომავლისათვის

აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარება. მიმდინარე პროცესების საპასუხოდ სტრატეგიების სპონტანურად შექმნისა და კრიზისებზე რეაგირების ნაცვლად საჭიროა უფრო საფუძვლიანი და შეთანხმებული პროცედურები და გაუმჯობესებული თუ ახალშექმნილი ინსტიტუტები. ამ ანგარიშის შემდეგ ნაწილში მოყვანილია სპეციალური მრჩევლის პირველი შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე მოსაზრებები.

ამ სფეროში მართლაც გადაიდგა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები. უკვე რამდენიმე წელია არსებობს ომბუდსმენის (სახალხო დამცველის) თანამდებობა, რომლის აპარატიც სერიოზულ სამუშაოს ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. მას აქვს მნიშვნელოვანი რესურსები და მხარდაჭერა ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებისაგან. მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, აუცილებელია უფრო მკაფიოდ განისაღვროს მისი როლი.

მომავალი კანონი უმცირესობათა დისკრიმინაციის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, ასევე სხვა კანონები, მოითხოვს ისეთი მექანიზმის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ამ კანონის იმპლემენტაციას. სტრუქტურული თვალსაზრისით, ლოგიკური იქნება, თუკი ეს მექანიზმი/უწყება მჭიდროდ ითანამშრომლებს სახალხო დამცველთან.

საჭიროა ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმების გატარება რელიგიის თავისუფლების დასაცავად და უმცირესობათა ნებისმიერი ფორმით მარგინალიზაციის თავიდან ასაცილებლად. თავიდან უნდა იქნას აცილებული უმცირესობათა საკითხების უსაფრთხოების პრიზმიდან განხილვა.

სახალხო დამცველის ოფისთან არსებულმა ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრმა შთამბეჭდავი საქმიანობა გასწია, თუმცა ამ სფეროში არსებული ურთულესი პრობლემების გათვალისწინებით, თუნდაც სოციალური უფლებების თვალსაზრისით, აუცილებელია ამ პროგრამის უფრო გაძლიერება.

ახალახანს დაინიშნა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი. მიუხედავად იმისა, რომ ეს თანამდებობა უფრო ახლოს არის სამთავრობო ადმინისტრაციასთან, იგი უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებლად. მას გადაეცა რესურსები კადრების დასაქირავებლად. მას ასევე უნდა მიენიჭოს უფლება, თავად განავითაროს საკუთარი სტრუქტურა და როლი.

უწყვტი რეფორმები მართლმსაჯულების სფეროში დღეს დიდწილად მისი შიდა სტრუქტურების, უპირველეს ყოვლისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელშია. აქაც ბევრია გასაკეთებელი, მათ შორის, სისტემის თითოეული მოსამართლის მიერ პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერება. უაღრესად მნიშვნელოვანია კონკურენციისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა. არსებულ კანონმდებლობაში ზოგოერთი ცვლილების შეტანამ ამგვარი მცდელობების ძირის გამოთხრა შეიძლება გამოიწვიოს.

პოლიციისა და პროკურატურის წინააღმდეგ საჩივრებზე რეაგირება, ისე, რომ მისი სანდოობა ექვევემ არ დადგეს, მოითხოვს კვალიფიციური და დამოუკიდებელი მექანიზმის არსებობას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს პოლიციისა და პროკურატურაში არსებული რეალიების კარგად ცოდნა. თუმცა, ეს მექანიზმი უნდა იყოს დამოუკიდებელი ამ სტრუქტურებისაგან და მოქმედებდეს როგორც საზოგადოების მიუკერძოებელი წარმომადგენელი (ომბუდსმენის მსგავსად). ამ კონტექსტში შესაძლებელია აგრეთვე პატიმართა იმ სარჩლების განხილვის პროცედურების გადასინჯვაც, რომლებიც ციხეში არსებულ პირობებს ეხება ან მიმართულია ციხის თანამშრომელთა წინააღმდეგ.

ახალ შრომის კოდექსს ზურგი უნდა გაუმაგროს ახალმა ინსტიტუტებმა და პროცედურებმა წარმოებაში არსებული დავების გადაჭრისა და მოლაპარაკებების კულტურის განვითარებისათვის. კიდევ ერთი დადებითი ნაბიჯი ამ მიმართულებით იქნება შუამავლობის ცენტრის დაარსება, რომელიც უზუნველყოფს ინდუსტრიაში არსებული დავების გადაწყვეტას. გარდა ამისა, საქართველოსათვის სასარგებლო იქნება მექანიზმის შექმნა სამუშაო პირობების საფუძვლიანი ინსპექციის ჩატარების მიზნით, ახალი კანონისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად. სამხრეთი კომისია აქტიურად უნდა ამოქმედდეს.

ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირება, რომელიც მოიცავს დაწყებით და საშუალო განათლების სტადიებზე სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და ასევე უნივერსალური სკოლამდელი სისტემის ხელშეწყობას, მოითხოვს ინსტიტუციურ და საბიუჯეტო მხარდაჭერას.

აუცილებელია კორუფციასთან ბრძოლის ძირითადი დამოუკიდებელი უწყების - აუდიტის სახელმწიფო სამსახურის გაძლიერება. ასევე არსებობს ამ პროფილის პროკურორების საჭიროება. სამინისტროებში ბიუჯეტის მართვის აუდიტი და სხვა მექანიზმები, როგორც ჩანს, კარგად ფუნქციონირებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ მექანიზმებმა შეინარჩუნონ სიფხიზლე და არაკორუმპირებულობა. დამოუკიდებელი და სერვისზე ორიენტირებული საჯარო სამსახურის ფორმირებას დრო დასჭირდება, თუმცა ამის მიღწევა ერთ-ერთი მთავარი ამბიცია უნდა იყოს. ცხადი გამიჯვნა უნდა არსებობდეს პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ თანამდებობებს შორის.

დაიწყო დისკუსიები ადმინისტრაციის საფუძვლიან დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით. ეს კარგი წამოწყებაა, თუმცა, ადგილობრივ დონეზე ძალაუფლების გადაცემის პროცესი ვერ განხორციელდება თანმდევი სირთულეების სიღრმისეული ანალიზის გარეშე. შესაძლებელია, რომ ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდეს.

ახალ ხელისუფლებას არაქვს დიდი გამოცდილება მმართველობისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკისა თუ მენეჯმენტის სფეროში, რაც სავსებით გასაგებია. მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ კი ლოგიკურია გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა და კომუნიკაციის, ასევე სამთავრობო ადმინისტრაციის სხვა ასპექტებისა და მისი ურთიერთობის შეფასება ადგილობრივი საზოგადოებისა და უცხოეთის სხვა შესაბამის სტრუქტურებთან.

ამ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესრულებას მყარი პოლიტიკური ნება და სერიოზული ძალისხმევა ესაჭიროება, ფინანსური და ადამიანური რესურსების ჩათვლით. მისასალმებელია საქართველოს მთავრობის სურვილი შეიმუშავოს ადამიანის უფლებათა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ანგარიში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მათ შემუშავებაში.

1 მართლმსაჯულება

საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით ერთმნიშვნელოვანად დადგენილია: მართლმსაჯულების სისტემა უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი პოლიტიკური თუ სხვა სახის ნებინსმიერი ფორმის ზეგავლენისაგან, მაგრამ ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპი პრაქტიკაში არ იყო სრულად დაცული. სასამართლოებზე ხდებოდა პირდაპირი თუ ირიბი პოლიტიკური ზეწოლა და ისინი ყოველთვის ვერ ახერხებდნენ დაეცვათ დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ გაცხადებული იყო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სისტემის გამიჯვნის ნება, მისი რეალური განხორციელება არ ხდებოდა.

მთავარი პროკურორი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი, ზოგადად კი, პროკურორების გავლენის შედეგად ირღვეოდა მხარეთათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის პრინციპი. გამამართლებელი განაჩენი იშვიათი მოვლენა იყო. როგორც წესი, მოსამართლეები პროკურორების აზრს იზიარებდნენ და ვერდიქტები არასათანადოდ იყო დასაბუთებული. საერთაშორისო დამკვირვებლები და არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ საპროცესო გარიგების სისტემა არ იყო დაცული იმისაგან, რომ მას ბოროტად გამოიყენებდნენ.

მართლმსაჯულების სისტემაში დაფიქსირებული პრობლემები ერთობლიობაში აისახა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის დასკვნაში, რომელიც ეხებოდა სასამართლო საქმეს „ენუქიძე და გვირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“:

„სასამართლო გაოგნებულია იმ შეთანხმებული ქმედებების გამო, რომლებიც განახორციელეს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებმა (შინაგან საქმეთა სამინისტრო: გამოძიების თავდაპირველ ეტაპზე დაშვებული შეცდომები; მთავარი პროკურატურა: გამოძიების შემდგომ ეტაპზე დაშვებული შეცდომები; სასჯელაღსრულების დეპარტამენტი: მსჯავრდებულთა ერთ საკანში მოთავსება კანონის საწინააღმდეგოდ; ადგილობრივი სასამართლოები: არასათანადო სასამართლო პროცესი და მსჯავრდებულთა ვადამდელი გათავისუფლება; საქართველოს პრეზიდენტი: დაუსაბუთებელი ღმობიერება მსჯავრდებულთა მიმართ), რათა ამ საშინელი მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო“.³

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს წინა ხელისუფლებამ მართლაც გადადგა ნაბიჯები მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად – გადახალისებულ იქნა მართლმსაჯულების სისტემის სტრუქტურა; მანამდე პრეზიდენტს დაქვემდებარებული იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფორმალურად დამოუკიდებელ უწყებად იქცა; მიღებულ იქნა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი; კორუფცია მართლმსაჯულების სისტემაში წარმატებით აღმოიფხვრა, ხოლო სასამართლოების აღჭურვილობა და ადმინისტრირებასაგრძნობლად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, რიგი გამოწვევები მაინც რჩებოდა.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სასამართლო სისტემის წარმომადგენლებთან დიალოგის შედეგად, ახალმა ხელისუფლებამ წამოიწყო მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი. პრემიერ-მინისტრმა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ურთიერთპატივისცემისა და კონსტრუქციული ვითარების შექმნაში, რითაც, თავის მხრივ,

³ECoHR, [Enukidze and Girgvliani v. Georgia](#), Judgment of 26 April 2011, §§ 246-249, 258;

წვლილი შეიტანეს რეფორმების პროცესების წარმართვისათვის ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბების საქმეში.

დღეს საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, ჩამოაყალიბოს არა მხოლოდ დამოუკიდებელი, არამედ ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემა, რომელშიც უნდა გაიზარდოს მოსამართლეთა პირადი პასუხისმგებლობა და მიუკერძოებლობა. ევროკავშირის ექსპერტმა კონსულტანტმა და მოსამართლემ რენატე ვინტერმა ახლახანს წარადგინა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებებისა იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც ამ მიმართულებით თავად მართლმსაჯულების სისტემამ უნდა გადადგას.

უზენაესი სასამართლოს ოფიციალური მონაცემებით⁴, უკვე დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: შეინიშნება პროკურორთა და მოსამართლეთა აზრთა თანხვედრის მნიშვნელოვანი კლება და მოქალაქეთა მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ მოგებული სასამართლო საქმეების რაოდენობის ზრდა. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ პროცესებში სამთავრობო უწყებები დღეს უფრო ხშირად აგებენ სასამართლო საქმეებს.

ამასთან, სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს პროკურორების მოთხოვნები ყოფილი მაღალი თანამდებობის პირთა საქმეებთან დაკავშირებით. ამის უკანასკნელი მაგალითია ბაჩო ახალაიას (თავდაცვის ყოფილი მინისტრი) გამამართლებელი განაჩენი ერთ-ერთ საქმეში მის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ამ განაჩენმა საზოგადოების ნაწილის გაოგნება გამოიწვია, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის იმედის მომცემი ნიშანი.

მართლაც, ხელისუფლებამ არაერთხელ გამოთქვა პოლიტიკური მზაობა, არ ჩაერიოს მართლმსაჯულების სისტემასა და სასამართლოების მუშაობაში. უკიდურესად მნიშვნელოვანია ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფა. როგორც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, ისე პარლამენტმა აქტიურად უნდა იმუშაონ მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და მათი გადაწყვეტილებებისადმი პატივისცემის განსამტკიცებლად.

1.1 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა

არასამთავრობო და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა საფრთხის ქვეშ იყო არასაკმარისი კონტროლისა და ბალანსის სისტემის გამო. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ თავად მართლმსაჯულების სისტემაში ძალაუფლება თავმოყრილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა

⁴<http://www.supremecourt.ge/2013-year-statistic/>

და მისი თავმჯდომარის ხელში.⁵ არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე მიუთითებდნენ იმ გადაუჭრელ პრობლემებზე, რომლებიც არსებობდა მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და მათ წინააღმდეგ დისციპლინარული ზომების მიღების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. მათი დასკვნით, შერჩევის კრიტერიუმები არასაკმარისად იყო დაფუძნებული კანდიდატების პირად თვისებებზე/ღვაწლზე.⁶

არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების⁷ და ვენეციის კომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო რეფორმის განხორციელება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დონის ასამაღლებლად და მართლმსაჯულების სისტემისა და მისი პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.⁸ პარლამენტმა მიიღო შესაბამისი კანონი.

ახალი კანონის თანახმად, 2013 წლის 9 ივლისს, მოსამართლეთა კონფერენციაზე მოსამართლეებმა აირჩიეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 7 ახალი წევრი. ერთი კვირის შემდეგ ასევე არჩეული იყვნენ დისციპლინარული კოლეგიის წევრებიც. ახალი წესების თანახმად, თითოეულ მოსამართლეს ჰქონდა კანდიდატურის დასახელების უფლება. ჩატარდა ფარული არჩევნები. ორივე კონფერენციას დაესწრო ბევრი ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი. არჩევნების პროცესი შეფასდა როგორც თავისუფალი და სამართლიანი.

მოგვიანებით პარლამენტმა დამატებით აირჩია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კიდევ 4 წევრი და დისციპლინარული კოლეგიის 2 წევრი სამოქალაქო საზოგადოებისა და უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტების პედაგოგების მიერ დასახელებული კანდიდატებიდან. კიდევ 2 ადგილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ვაკანტურია, რადგანაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა პარლამენტში ხმათა საერთო რაოდენობის სავალდებულო 2/3.

⁵პრეზიდენტის მიერ დანიშნული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასევე თავმჯდომარეობს უმაღლეს საბჭოს, და წინა კანონის თანახმად, მას ჰქონდა საბჭოს 15 წევრიდან 8 კანდიდატის დასახელების უფლება. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასევე ასახელებდა დისციპლინარული კოლეგიის წევრებს. ამ კოლეგიის ფუნქციებში შედის დისციპლინარული ბრალდებებით საქმის წამოწყება და გადაწყვეტილების მიღება, რა მიზეზითაც აშკარა იყო ინტერესთა კონფლიქტი.

⁶US Department of State, [Report on Human Rights in Georgia](#), 2012.

⁷კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის (www.coalition.org.ge)

⁸ახალი კანონის თანახმად, მოსამართლეებს აქვთ უფლება, დაასახელონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემოღებისდაგვარად მაქსიმალური დეპოლიტიზაციის მიზნით, პარლამენტის წევრებს ეკრძალებათ საბჭოს წევრობა, ხოლო პრეზიდენტის უფლება, დანიშნოს საბჭოს წევრები, გაუქმებულია. ნაცვლად ამისა, პარლამენტი ასახელებს პროფესიონალ იურისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების მიუკერძოებელ და კომპეტენტურ წარმომადგენლებს. აქამდე დისციპლინარული საქმეების წამოწყება და გადაწყვეტილებების მიღება თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა. ახალი კანონის ძალით, ეს ორი ფუნქცია გაიმიჯნა, ხოლო მოცემული მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინარული ზომების მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება მიენიჭა დამოუკიდებელ დისციპლინარულ საბჭოს. ამ რეფორმის თანახმად, სასამართლო დარბაზის კარი (2007 წლის შემდეგ დახურული) გაიხსნა მედიასაშუალებებისათვის, რითაც საზოგადოებას მიეცა პროკურორთა ზოგჯერ სუსტი მუშაობის კრიტიკის საშუალება.

მიუხედავად ამ პროცესის გამჭვირვალობისა, მას ახლდა კონფრონტაციაც და დაძაბულობაც. ის, რომ პარლამენტმა ვერ აირჩია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ექვსივე არამოსამართლე წევრი, არსებული უნდობლობის ილუსტრაციაა. დაწყებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და დისციპლინარული კოლეგიის ვაკანსიების შევსების პროცესი, რომელიც წარმატებით უნდა დასრულდეს, თუნდაც იმისთვის, რომ გაიზარდოს ნდობა.

აუცილებელია შემდგომი ნაბიჯების გადადმა მოსამართლეთა პირადი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმის გასატარებლად; მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების წესების შესამუშავებლად. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს გამჭვირვალე და ინკლუზიური გზით და თავად მართლმსაჯულების სისტემისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით.

1.2 სისხლის სამართლის პოლიტიკა

2005 წელს დაიწყო სისხლის სამართლის ამბიციური რეფორმა და მოხდა შესაბამისი საკანონმდებლო სამუშაო ჩარჩოს გადასინჯვა. ამ პროცესს ახლდა დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა, კერძოდ, ევროკავშირის, აშშ-ის, გაეროსა და ნორვეგიის მხრიდან. სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი მიიღეს 2009 წელს, რომლითაც გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა. მიუხედავად ამისა, არაერთხელ გამოითქვა შეშფოთება მხარეების არათანაბარი შესაძლებლობებისა და იმის გამო, რომ დაცვასთან შედარებით ბრალდება ბევრად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო.

ახალმა ხელისუფლებამ პრიორიტეტი მიანიჭა სისხლის სამართლის სტრატეგიების ჰუმანიზაციას და განაგრძო რამდენიმე წლის წინ წამოწყებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია. ეს კი მოითხოვს სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანას, ასევე პროცესების რეალური შეჯიბრებითობის უზრუნველყოფისაკენ ნაბიჯების გადადგმას, აღმკვეთი ღონისძიებისა და წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემცირებას.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა უნდა გაგრძელდეს. ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და მსოფლიოში აღიარებული სტანდარტები, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეალური თანასწორობა სისხლის სამართლის პროცესების მხარეთა შორის. საჭიროა როგორც პორკურორების, ასე (სახელმწიფო) ადვოკატების შემდგომი მომზადება.

კრიტიკის კიდევ ერთი საგანი იყო სამართლებრივი დებულება სასჯელის შეკრებითობის პრინციპის შესახებ, რომელიც არ აძლევდა მოსამართლეებს მანევრირების საშუალებას სანქციების დაკისრებისას. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის

ანგარიშების თანახმად, ეს მიდგომა წარმოადგენდა გაუმართლებლად ხანგრძლივი სანქციების საფუძველს და იწვევდა ციხეების გადატვირთვას. ეს საკითხი დეტალურად არის განხილული ცალკე თავში. იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, 2013 წლის აპრილში, პარლამენტმა შეიტანა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში იმისათვის, რომ აღარ ყოფილიყო გამოყენებული შეკრებითობის პრინციპი.

აქამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში ფუნქციონირებდა სულ რამდენიმე შერჩეულ ქალაქში. ახლა მიზნად არის დასახული ამ პრაქტიკის გავრცელება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მძიმე (ძალადობრივი) დანაშაულის ზოგიერთ ფორმასთან მიმართებით. ასეთი ცვლილება ითხოვს დამატებით ძალისხმევას პროცესების სათანადო შეჯიბრებითობის, ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებელი შერჩევისა და მათი დაშინების (აშკარა რისკი, განსაკუთრებით მცირე თემებში) ნებისმიერი ცდის მინიმუმამდე შესამცირებლად. როდესაც ამას წინათ პარლამენტში მიმდინარეობდა დებატები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით, 2014 წლის სექტემბრისათვის გადაიდო იმ დებულების განხილვა, რომლის ძალითაც დაცვას ენიჭება დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების უფლება. საქართველოს დღევანდელი სისტემისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, სამხილით მანიპულაციის გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია ასეთი უფლების დაკანონება.

უფასო იურიდიული დახმარება ხშირად არის დაცვის სამართლიანი უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობა. გადაწყდა, რომ მომავალი წლიდან იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი გამოვა სასჯელაღსრულების სამინისტროს დაქვემდებარებიდან და იარსებებს როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ინსტიტუციონალური ერთეული. ეს არის პოზიტიური მოვლენა, რომელიც გაზრდის სისტემის სანდოობას.

1.3 ადმინისტრაციული პატიმრობა

ჯერ კიდევ 1984 წელს მიღებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არეგულირებს სამართალდარღვევებს – საზოგადოებრივი წესრიგის წვრილმან დარღვევებს, რომლებიც არ აისახება დამნაშავის ისტორიაში ნასამართლობის შესახებ. სასჯელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის მერყეობს ფულადი ჯარიმიდან 90-დღიან პატიმრობამდე.⁹ ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენება ისეთი მსუბუქი დანაშაულების შემთხვევაში, რომლებიც ვერ ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. პრაქტიკაში კი ამ სასჯელების ჯამი სიმკაცრის მიხედვით უტოლდება სისხლის სამართლის დანაშაულისათვის შეფარდებულ სანქციებს.

⁹არც ერთ სხვა ქვეყანაში, სადაც ასეთ შემთხვევებშითავისუფლების აღკვეთა გამოიყენება, არ არსებობს ასეთი ხანგრძლივი პატიმრობის შეფარდების შესაძლებლობა.

როგორც ორგანიზაცია Human Rights Watch აცხადებს, მხოლოდ 2010 წელს სასამართლომ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა 3097 დამნაშავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მონაცემებით, 20-დან 25-მდე პირს ყოველწლიურად შეეფარდება სრული, ანუ 90-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა, საერთოდ კი ასეთი დანაშაულისათვის შეფარდებული პატიმრობის საშუალო ხანგრძლივობა მერყეობს 15-სა და 20 დღეს შორის.¹⁰

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ორგანიზაცია Human Rights Watch და საერთაშორისო დამკვირვებლები მკაცრად აკრიტიკებდნენ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებას. ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2012 ანგარიშში ვკითხულობთ: „საქართველოს ხელისუფლება ასევე იყენებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს კონკრეტული პოლიტიკური აქტივისტებისათვის ჯარიმისა თუ პატიმრობის შეფარდების მიზნით“.¹¹

ადმინისტრაციული პატიმრობის საკითხის მოგვარება კვლავ პრობლემატურია. კანონში არ არის გათვალისწინებული ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები, სასამართლოში დაცვის უფლების ჩათვლით. კანონში საერთოდ არ არის ნახსენები ცნებები „კანონიერი სამხილი“ და „არაკანონიერი სამხილი“ და არც დასაბუთების სტანდარტებია ახსნილი, რომელთა საფუძველზეც მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი, რითაც მოსამართლეებს ეძლევათ მხოლოდ პოლიციელთა მიერ სასჯელის ზომის მოთხოვნასა და ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობის საშუალება. გარდა ამისა, აპელაციის უფლება შეიძლება დაირღვეს იმ ფაქტის გამო, რომ არ არსებობს დადგენილი სასამართლოში ჩვენების/სამხილის კანონიერების კრიტერიუმები.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ცნობები ადმინისტრაციული პატიმრობის გადაჭარბებული თუ პოლიტიკურად მოტივირებული გამოყენების შესახებ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ, თავად კოდექსი კვლავ პრობლემას წარმოადგენს და გზას უხსნის მის ბოროტად გამოყენებას მომავალშიც. **ხელისუფლებამ უნდა განიხილოს პატიმრობის, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეფარდებული სასჯელის, ერთიანად გაუქმების საკითხი.**

1.4 აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება

არსებობს სერიოზული შეშფოთება აღმკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, წლების განმავლობაში სასამართლოები

¹⁰საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოთხოვნაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პასუხში ვკითხულობთ, რომ 2011 წელს 90-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა 31 ადამიანს, 60-დღიანი - 132 მოქალაქეს, ხოლო 30-დღიანი - 343 პირს.

¹¹Human Rights Watch, [Administrative Error: Georgia's Flawed System for Administrative Detention](#), 2012

სისტემატურად იყენებდნენ წინასწარ პატიმრობას ან გირაოს წინასწარი მოსმენის შემთხვევაში, ნაცვლად უფრო ღმობიერი ზომებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსში.¹² ეს პრაქტიკა გამოიყენებოდა უმნიშვნელო დარღვევების შემთხვევაშიც. იმავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობის სასამართლო განაჩენში სიტყვასიტყვით გამოერებულია პროკურორის მოთხოვნა.

რიგ შემთხვევებში წინასწარი პატიმრობა დღესაც გამოიყენება. ზოგიერთ შემთხვევაში კი დაფიქსირებულია მოსამართლეთა გადაწყვეტილებები, არ გამოიყენონ ეს ზომა. სხვა საქმეებთან დაკავშირებით კი სახეზეა ინდივიდუალური მიდგომა და არგუმენტაცია წინასწარი პატიმრობის შეფარდების სასარგებლოდ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გლდანის #8 ციხე, რომელიც წინასწარი პატიმრობის ყველაზე დიდი დაწესებულებაა საქართველოში, ცნობილი იყო პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობითა და წამებითაც კი. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტი იურისტების დასკვნით, ამ დაწესებულების რეპუტაცია, წინასწარი პატიმრობის გადაჭარბებულ გამოყენებასთან ერთად, ხელს უწყობდა იმ ბრალდებულთა რიცხვის ზრდას, რომელთაც თანხმობა განაცხადეს საპროცესო გარიგებაზე.

მთავარმა პროკურატურამ დაიწყო ნაკლებად ხისტი მიდგომის გამოყენება, მეტ-ნაკლებად შეამცირა რა პატიმრობის, როგორც აღმკვეთი ღონისძიების, მოთხოვნების რაოდენობა. 2013 წლის პირველ ნახევარში მთავარი პროკურატურის მიერ პატიმრობის, როგორც აღმკვეთი ღონისძიების, მოთხოვნის რიცხვი 9%-ით ჩამოუვარდებოდა გასული წლის იმავე მაჩვენებელს. **აუცილებელია ამ ტენდენციის კიდევ უფრო გაძლიერება.**

2013 წლის ივლისში ამჟამინდელმა მთავარმა პროკურორმა წამოაყენა წინადადება წინასწარი პატიმრობის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ ე.წ. თეთრი საყელოს დანაშაულების შემთხვევაში (თანამდებობის პირთა მიერ ფინანსური სარგებლის მიზნით ჩადენილი დანაშაული).¹³

იმავე პერიოდში მოსამართლეთა მიერ პროკურატურის მოთხოვნების დაკმაყოფილების კოეფიციენტი აღმკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით დაეცა 100–დან 76%-მდე. ამ ტენდენციას ადასტურებს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკაც.¹⁴ სახეზეა დადებითი ტენდენცია, იმის გათვალისწინებით, რომ წარსულში მოსამართლეები აკმაყოფილებდნენ პროკურატურის უკლებლივ ყველა მოთხოვნას.

¹²საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი: „აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესებში: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, 2012 წლის დეკემბერი.

¹³<http://www.tabula.ge/ge/story/72946-kbilashvili-tetri-sakelos-danashaulze-dapatimreba-rekomendirebuli-ar-aris>.

¹⁴2012 წლის პირველ ნახევარში წინასწარი პატიმრობის მაჩვენებელი იყო 42.4%. 2013 წლის პირველ ნახევარში კი მხოლოდ 26.7%, ხოლო სასამართლო საქმეთა საერთო რაოდენობის 57.6%-ში გამოიყენებული იყო სხვა აღმკვეთი ღონისძიებები. იხ.: <http://www.supremecourt.ge/2013-year-statistic/>.

ეს საკითხი მართლმსაჯულების სასიცოცხლო მნიშვნელობის ასპექტია, რომელიც დაკავშირებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან: ბრალდებული არ ჩაითვლება დამნაშავედ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სათანადო სასამართლო პროცესის შედეგად. აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, პატიმრობა და მსგავსი აღმკვეთი ღონისძიებები გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, რათა აღიკვეთოს ექვმიტანილის მცდელობა, თავი აარიდოს მართლმსაჯულებას, გავლენა იქონიოს მოწმეებსა თუ სამხილზე.

მიუხედავად 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ სისხლის სამართლის სისტემაში რიგი დადებითი ტენდენციებისა, დაფიქსირდა რამდენიმე ცალკეული საქმე, რომელთა გარშემოც გაჩნდა კრიტიკული შეკითხვები. სოფლის მეურნეობის ტრაქტორების ტენდერის საქმესთან დაკავშირებულმა პატიმრობამ გამოიწვია შეშფოთება წინასწარი პატიმრობისათვის საფუძვლიანი მიზეზების სავარაუდო ნაკლებობისა და ასევე დაკითხვის დროს დაშინების სავარაუდო გამოყენების გამო. საბოლოოდ პირები, რომელთაც შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა, გაათავისუფლეს სასამართლო პროცესის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე.

აუცილებელია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა წინასწარი პატიმრობის, როგორც განსაკუთრებული ზომის აღიარებისაკენ, რომელიც გამოიყენება მხოლოდ კანონის შესაბამისად და მხოლოდ საჭიროებისამებრ. პროკურორთა მიერ წინასწარი პატიმრობის მოთხოვნის ამჟამინდელი სიხშირის გათვალისწინებით, ასევე აუცილებელია ტრენინგების ჩატარება პროკურორებისათვის.

1.5 საპროცესო გარიგება

2004 წლიდან მოყოლებული, საპროცესო გარიგებით სისხლის სამართლის საქმეების დასრულების პრაქტიკა საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის მზარდი და დომინანტი ასპექტი იყო. ის ითვლებოდა ეფექტიან, სწრაფ და არაბიუროკრატიულ მეთოდად, რომელიც გადატვირთვისგან ათავისუფლებს მართლმსაჯულების სისტემას და ასევე კარგ გამოსავალს სთავაზობს ბრალდებულებს. ოფიციალური მონაცემების თანახმად, საპროცესო გარიგება გამოიყენებოდა სისხლის სამართლის საქმეთა სრული რაოდენობის 90%-ში. ეს ტენდენცია დღესაც დაახლოებით იმავე სიმძაფრით შეინიშნება.

აუცილებელია დამცავი მექანიზმების უზრუნველყოფა შანტაჟისა და საპროცესო გარიგების სისტემის ბოროტად გამოყენების სხვა ფორმების წინააღმდეგ. კანონის თანახმად, სასამართლოები ვალდებული არიან, დაადასტურონ, რომ შეთანხმება მიღწეულია დამალვის, დაშინების, მოტყუების ან არაკანონიერი დაპირების საფუძველზე და, რომ ბრალდებულს ჰქონდა იურიდიული დახმარების მიღების საშუალება.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე წლის განმავლობაში ფიქსირდებოდა ცნობები, რომ მოსამართლეები არ უზრუნველყოფდნენ ამ ვალდებულების შესრულებას. როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამკვირვებლები გამოხატავდნენ სერიოზულ შეშფოთებას საპროცესო გარიგების სისტემის მუშაობაში სამართლიანობისა და გამჭვირვალობის ნაკლებობის გამო.

არასამთავრობო ორგანიზაციები იუწყებოდნენ, რომ მოსამართლეთა უმრავლესობა არ აწვდიდა ბრალდებულებს ინფორმაციას მათი უფლებებისა და სამართლებრივი დაცვის შესახებ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა შესახებ ვკითხულობთ, რომ სანდო წყაროების თანახმად, ბრალდებულების უკმაყოფილებას არასათანადო მოპყრობის გამო, ასევე პირდაპირ თუ ირიბ მითითებს საპროცესო გარიგებაზე მათი თანხმობის მისაღებად ზეწოლის შესახებ არ მოჰყოლია მოსამართლეების მხრიდან არც ასეთი საქმეების გამოძიება და არც საპროცესო გარიგების გაუქმება.

2011 წლის ანგარიშში გაეროს სამუშაო ჯგუფი უკანონო დაკავების საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ დაკავებულები უარს ამბობენ სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლებაზე, რადგანაც გრძნობენ ზეწოლას, რომ დათანხმდნენ საპროცესო გარიგების პირობებს, და თვლიან, რომ შეუძლებელია სასამართლო იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი. ანგარიშის თანახმად, დაკავებულები თვლიან, რომ გამამართლებელი განაჩენის დადგომის შესაძლებლობა ძალიან მცირეა და ისინი დგანან ხანგრძლივი პატიმრობის საფრთხის წინაშე სასჯელადსრულების სიტყვაში, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობით.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნებისა და ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ ათასობით მოქალაქემ შეიტანა საჩივარი მთავარ პროკურატურაში. ისინი აცხადებდნენ, რომ ზეწოლის მსხვერპლი გახდნენ და მათ თავს მოახვიეს საპროცესო გარიგება. ასეთი საჩივრების დიდი რაოდენობის გამო¹⁵, იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო განხილვები მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ. სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა კანონპროექტი და განსახილველად მიეწოდა ვენეციის კომისიას. ევროპის საბჭოს კომისია პასუხში არ გამოხატავდა პოზიციას ასეთი მექანიზმის შექმნის საჭიროების თაობაზე, თუმცა აღნიშნული იყო, რომ შექმნის შემთხვევაში, ის არ უნდა იყოს არსებული სასამართლო სტრუქტურის ტყუპისცალი.¹⁶

¹⁵2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მთავარ პროკურატურაში შეტანილია სულ 20000-ზე მეტი საჩივარი, მათგან დაახლოებით 4000 საჩივარი წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლ პატიმართაგან და დაახლოებით 1000 საჩივარი ამჟამად მოქმედი 333 პროკურორისაგან 322-ის წინააღმდეგ (ეს 1000 საჩივარი ძირითადად ეხება ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებში დაშვებულ ხარვეზებს წინა ადმინისტრაციის პირობებში). სახალხო დამცველის აპარატსა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტში შეტანილი საჩივრების რაოდენობაც საგრძნობლად გაიზარდა.

¹⁶ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის სამართლისა და ადამიანის ღირსების დირექტორატის ერთობლივი განცხადება მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის კანონპროექტის შესახებ, 2013 წლის ივნისი.

ეს კანონპროექტი ჯერ არ შესულა პარლამენტში. იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იქნება საბოლოოდ დამტკიცებული მოდელი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსამართლობის მსხვერპლთათვის სამართლიანობის აღდგენა, ასევე დაუშვებელია პარალელური მართლმსაჯულების სისტემის შექმნა, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოებმა უნდა მიიღონ.

ამჟამად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი დახმარებას უწევს საქართველოს ხელისუფლებას საპროცესო გარიგების სისტემის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით რეფორმირებაში. იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა შესაბამის კანონებში შესატანი ცვლილებების პაკეტი. მნიშვნელოვანია ცვლილებების შეტანა როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში, მოსამართლის როლის გაზრდა და ნების გამოხატვის თავისუფლება.

1.6 პროკურატურა

მთავარ პროკურატურას, რომელიც დღესაც იუსტიციის სამინისტროს შემადგენელი ნაწილია, უჭირავს დომინანტი პოზიცია საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში. როგორც უკვე აღინიშნა, პროკურორთა გადაჭარბებული ზეგავლენა მართლმსაჯულების სისტემაზე კარგა ხნის განმავლობაში იწვევდა შეშფოთებას.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო დამკვირვებლები აკრიტიკებდნენ პროკურატურას შერჩევითი მართლმსაჯულების გამო, რადგანაც ისინი არ იძიებდნენ საჩივრებს არასათანადო მოპყრობის შესახებ, პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენების შემთხვევებს, თანამდებობის პირთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს და სხვა მნიშვნელოვან დარღვევებს, რითაც ხელს უწყობდნენ დაუსჯელობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას თანამდებობის პირთა და პოლიციელთა შორის.¹⁷

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოქალაქეებმა შეიტანეს რამდენიმე ათასი საჩივარი, რომლებშიც აცხადებდნენ, რომ პროკურორები ცენტრალურ როლს ასრულებდნენ მათი ქონების უკანონო ჩამორთმევის პროცესში, როდესაც აიძულებდნენ მათ „უსასყიდლოდ გადაეცათ“ უძრავი ქონება სახელმწიფოსათვის. 2004–2012 წლებში კარძო საკუთრების დაახლოებით 9500 ერთეული უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს, რის გამოც გაჩნდა ეჭვის

¹⁷მათ შორის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ, 2011 წელი; ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროპის საბჭოს კომისრის, თომას ჰამარბერგის ანგარიში, რომელიც მოჰყვა მის სტუმრობას საქართველოში 2011 წლის 18–20 აპრილს; ანგარიში ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ და ა.შ.

საფუძველი, რომ ამ პროცესში ხდებოდა იძულება მათი, ვინც „ნებაყოფლობით“ გააჩუქა საკუთრება.

2013 წლის გაზაფხულზე პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები კანონში მთავარი პროკურატურის შესახებ, რითაც შეიზღუდა იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაში. აქამდე კანონი ანიჭებდა მინისტრს სისხლის სამართლის პროცესში უშუალო ჩარევის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირის გავლენის შემცირება დადებითი მოვლენაა, მაინც არსებობს მთავარი პროკურატურის საბოლოო და სათანადო კონსტიტუციური ჩარჩოს დადგენის აუცილებლობა. ასევე აუცილებელია ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფა პროკურორთა მუშაობაზე. ეს არის პირველი რიგის ნაბიჯები იმისათვის, რომ აღდგეს საზოგადოების ნდობა მთავარი პროკურატურისადმი.

წყალგამყოფი მთავარი პროკურატურისა და პოლიციის ფუნქციებს შორის ბუნდოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც შეტანილია საჩივრები სამართალდამცავი ორგანოების საგამომიებო უწყებების მიერ დაშვებული ხარვეზების შესახებ. გარდა ამისა, მთავარი პროკურატურის საგამომიებო ქვედანაყოფისადმი ნდობა დაბალია, როცა საქმე პროკურორთა მიერ დაშვებული ხარვეზების გამოძიებას ეხება. ყოველივე ეს არის კიდევ ერთი არგუმენტი დამოუკიდებელი საგამომიებო უწყების შექმნის სასარგებლოდ, რომლის ფუნქციებშიც შევა პროკურორთა მიერ დაშვებული სავარაუდო ხარვეზების გამოძიება (იხ. თავი სამართალდამცავი ორგანოების შესახებ).

აუცილებელია პროკურორთა სპეციალური განათლებისა და ტრენინგის უზრუნველყოფა. მაგალითად, აუცილებელია გამოძიების მეთოდებთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე „ადიარებით ჩვენებებზე“, როგორც მთავარ სამხილზე, გადაჭარბებული დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლა. საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის შემდგომი განვითარება მოითხოვს ხელისუფლებისაგან რეალურად პროფესიონალური მთავარი პროკურატურის ჩამოყალიბებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იქნება პარტიული ინტერესებისაგან.

2. სასჯელადსრულების სისტემა

წინა ხელისუფლების ბრძოლამ დანაშაულის წინააღმდეგ მართლაც მოიტანა შედეგი. ოფიციალური სტატისტიკა მიუთითებდა, რომ ქვეყანაში უსაფრთხოების დონე ამაღლდა, განსაკუთრებით, წვრილმანი დანაშაულების კუთხით. მიუხედავად ამისა, ასევე შეინიშნებოდა „ნულოვანი ტოლერანტობის“ მკაცრი პოლიტიკის გატარების უარყოფითი მხარეც - პატიმართა რაოდენობის მასობრივი ზრდა ციხეებში. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, როდესაც პატიმართა რაოდენობამ მიაღწია 24000 ადამიანს,

ხოლო პრობაციონერთა რაოდენობამ 33 ათასს გადააჭარბა, რის შედეგადაც პატიმართა შეფარდებამ მთელ მოსახლეობასთან შეადგინა დაახლოებით 540 კაცი ყოველი 100 000 მოქალაქიდან.¹⁸ ეს კი ერთ–ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო მსოფლიოში.

სასჯელაღსრულების ინფრასტრუქტურა არ იყო საკმარისი პატიმართა ასეთი დიდი რაოდენობისათვის. პირობები ციხეებში გაუარესდა, მიუხედავად არსებული ციხეების რეაბილიტაციისა და ახალი დაწესებულებების მშენებლობის გზით მათი გაუმჯობესებისაკენ მიმართული ძალისხმევისა. გარდა პატიმართა მაღალი რიცხოვრებისა, ერთ–ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხი, რომლის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს დააკისრა სანქციები, ეს იყო ციხეებში კატასტროფული მდგომარეობა ჯანდაცვის კუთხით.

საჩივრებისა და დაცვის ეროვნული სისტემა არაეფექტიანი აღმოჩნდა. პრევენციის ეროვნული მექანიზმის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო უწყებების (მაგალითად, წამების და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყობისა და სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტი) მიერ ატეხილი განგაში, როგორც წესი, უგულვებელყოფილი იყო.

ახალი მთავრობისა და პარლამენტის პირობებში პატიმართა რაოდენობის ნახევარი გაათავისუფლეს სულ რაღაც ორიოდ თვეში.¹⁹ პარლამენტმა მიიღო კანონი ამნისტიის შესახებ. პარლამენტმა ასევე მიიღო გადაწყვეტილება დასახელებული პატიმრების გათავისუფლების შესახებ. ეს ნაბიჯი სამართლიანად გააკრიტიკეს ვენეციის კომისიამ, სხვა საერთაშორისო დამკვირვებლებმა და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თუმცა ცნობილია, რომ ამ პროცესის შედეგად გათავისუფლებულთა შორის ბევრი იყო პოლიტიკურად მოტივირებული და არასათანადო სამართლებრივი დევნის შედეგად დაპატიმრებული. ამ საქმეში პრეზიდენტმაც შეიტანა წვლილი, შეიწყალა რა რამდენიმე პატიმარი.

¹⁸„ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (არასამთავრობო ორგანიზაცია) მონაცემებისა და ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2011 წლის ნოემბერში ქვეყანაში იყო 24244 პატიმარი (პატიმრობის კოეფიციენტი შეადგენდა დაახლოებით 540 პატიმარს 100000 მოქალაქიდან იმის გათვალისწინებით, რომ, ოფიციალური სტატისტიკით, 2012 წლის დასაწყისში საქართველოს მთელი მოსახლეობა იყო 4.497.600 ადამიანი). პრობაციონერთა რაოდენობის რეკორდი დაფიქსირდა 2012 წლის აგვისტოში: 33947 ადამიანი.

¹⁹2013 წლის იანვარში მიღებული ამნისტიის შესახებ კანონისა და ვადამდელი გათავისუფლების საბჭოს, ასევე სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროების, მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, პატიმართა რაოდენობამ იკლო 21420–დან 2012 წლის ოქტომბერში 9349–მდე 2013 წლის ივლისში.

როგორც წესი, ეს ნაბიჯები სათანადოდ დაფასდა, თუმცა გამოითქვა ეჭვები, რომ პატიმართა გათავისუფლება გამოიწვევდა კანონდარღვევათა რიცხვის გაზრდას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს ასე არ მოხდა.²⁰

წლების განმავლობაში ციხეებს დიდწილად აკონტროლებდნენ ორგანიზებულ დანაშაულთან დაახლოებული პირები, ე.წ. კანონიერი ქურდები, რომელთა ძალაუფლება საქართველოში ალბათ ყველაზე დიდი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. წინა ხელისუფლებამ პრიორიტეტად გამოაცხადა გამომალვის, ძალადობისა და დაშინების ამ სისტემის აღმოფხვრა და პროგრესსაც კი მიაღწია ამ პროცესში. მიუხედავად ამისა, უკვე 2006 წელს არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ ეს წარმატება ხელისუფლებას ძვირად დაუჯდა: „[სახეზეა] ფიზიკური ძალის, მომაკვდინებელი ძალის დაუყოვნებლივ გამოყენების პოლიტიკა ციხეებში კონტროლის შესანარჩუნებლად“.²¹

2006 წლის მარტში თბილისის ერთ-ერთ ციხეში ფართომასშტაბიანი ინციდენტი მოხდა, რომლის შედეგადაც 6 პატიმარი დაიღუპა. სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები შეიჭრნენ ციხეში „კანონიერი ქურდების“ მიერ სავარაუდოდ წამოწყებული ბუნტის ჩასახშობად. ციხეებში უღმობელი და სისტემატური არასათანადო მოპყრობა, რომლის ფაქტებიც ამოტივტივდა 2012 წლის სექტემბერში, შეიძლება იყოს იმ ვითარების გამოხატულება, როდესაც თითქმის ყველაფერი იყო ნებადართული ციხეებში გამოუსწორებელი კრიმინალების კონტროლის მიზნით.

ამ სისტემის ჰუმანიზაციის მიზნით ციხის მენეჯმენტის სტრატეგიებში შეტანილი იყო რადიკალური ცვლილებები. გამოითქვა ეჭვები, რომ ეს ცვლილება გამოიწვევს „კანონიერი ქურდების“ აღზევებას. სასჯელალსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო მართლაც აცნობიერებს ამ პრობლემის სიმწვავეს. სამინისტრომ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების გავლენის აღსაკვეთად ციხეებში. მნიშვნელოვანია, ამ პრობლემას დაეთმოს სათანადო ყურადღება მომავალშიც.

2.1 პირობები ციხეებში

ციხეების გადატვირთვამ შედეგად მოიტანა საქართველოს ციხეებში პირობების დონის საგრძნობი დაცემა ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. ამის პასუხი

²⁰2013 წლის 19 აგვისტოს განცხადებაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიუთითა მის მიერვე გამოქვეყნებულ 2013 წლის იანვარ-ივლისის სტატისტიკაზე, რომლის თანახმადაც, 2012 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, დანაშაულთა რიცხვმა 4126-ით იკლო, ხოლო გახსნილ საქმეთა კოეფიციენტი თითქმის გაორმაგდა და შეადგინა 53.3%.

²¹Human Rights Watch, *Undue Punishment: Abuses against Prisoners in Georgia, 2006*

კი, ძირითადად, ახალი ციხეების აშენება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ძველ ციხეში შემაშფოთებელი პირობების გაუმჯობესება მისასაღმებელია, ეს არ გვეხმარება პრობლემის მთავარი მიზეზის აღმოფხვრაში. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა და სხვებმა არაერთხელ მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას ციხეების გადატვირთვის შეწყვეტისაკენ, რისთვისაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო პატიმრობის ალტერნატივა, რაც იმთავითვე შეამცირებდა ციხეში მყოფთა რიცხვს.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა გამოიტანა დასკვნა, რომ ზოგიერთი დაწესებულების პირობები, რომლებშიც პატიმრებს უწევდათ ცხოვრება, იმდენად ცუდი იყო, რომ უტოლდებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. მაგალითად, არ იყო გამოყოფილი ცალკე საწოლი თითოეული პატიმრისათვის. თითოეული პატიმრისათვის მინიმალური საცხოვრებელი ფართის თვალსაზრისით, საქართველო ისევ ვერ აკამყოფილებს სტანდარტებს. წამების პრევენციის კომიტეტის მიერ 2013 წლის ივლისში გამოქვეყნებული ანგარიშის პასუხად, საქართველოს ხელისუფლებამ იკისრა მდგომარეობის გამოსწორების ვალდებულება.²² **საცხოვრებელი ფართობი თითოეული პატიმრისათვის არ უნდა იყოს მინიმუმზე, ანუ 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლები, როგორც ეს დადგენილია ციხის ევროპულ წესებში.**

მასობრივი გათავისუფლების პარალელურად, სამინისტრომ დახურა ყველაზე მიუღებელი პირობების მქონე ციხეები ზუგდიდში, ბათუმსა და თბილისში. გარდა ამისა, მიმდინარეობს ახალი დაწესებულებების სამშენებლო პროექტების შემუშავება არსებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

ამას კი მნიშვნელოვანი რესურსები დასჭირდება გარკვეული დროის განმავლობაში. ამ რესურსების ხელმისაწვდომობა უკიდურესად მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ, როგორც ჩანს, სწორ გზაზე მდგარი პროცესი სრული წარმატებით დასრულდეს.

სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო აცნობიერებს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში სამუშაოდ კომპეტენტური პერსონალის დაქირავება რთულია. **უმნიშვნელოვანესია, მთელი ძალისხმევა მიიმართოს იმისკენ, რომ უზრუნველყოფილი იყოს პოტენციური კანდიდატებისათვის სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობის მომხიბვლელობა.** ხელფასები გაიზარდა, რაც, რასაკვირველია,

²²წამების პრევენციის კომიტეტის მიერ 2013 წლის ივლისში გამოქვეყნებული ანგარიშის საპასუხოდ, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თითოეული პატიმრის სტანდარტული საცხოვრებელი ფართობი ნახევრადღია დაწესებულებებში არ უნდა იყოს 3 კვადრატულ მეტრზე ნაკლები, ხოლო დახურული ტიპისა და მაღალი უსაფრთხოების დაწესებულებებში კი – არანაკლებ 3.5 კვადრატული მეტრისა, არანაკლებ 4 კვადრატული მეტრისა არასრულწლოვანთათვის და არანაკლებ 4.5 კვადრატული მეტრისა ქალებისათვის.

წინადადებული ნაბიჯია. კიდევ ერთი სასარგებლო ნაბიჯი იქნება პროფესიული ტრენინგისა და კარიერაში წინსვლის მხარდაჭერის დაგეგმვა.

ექვს არ იწვევს, რომ საქართველოს ციხეებში დასაქმების იმიჯს სერიოზული ზიანი მიაყენა 2012 სექტემბერში არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა ვიდეოკადრების გამოქვეყნებამ. სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს საზოგადოების ინფორმირებულობის სტრატეგია, რომლის მიზანიცაა ახალი თანამშრომლების მოზიდვა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე ბევრი პატიოსანი და მშრომელი ადამიანის რეპუტაციის აღდგენა.

2.2 სამედიცინო მომსახურება ციხეებში

ციხეებში ჯანდაცვის მდგომარეობა სერიოზულ გამოწვევა იყო საქართველოს ხელისუფლებისათვის. პერსონალისა და რესურსების უკმარისობამ და, შედეგად, ციხეებში პატიმართა მოზღვავებული რაოდენობის პრობლემის მოსაგვარებლად დაწესებულებების ნაკლებობამ სერიოზული უარყოფითი შედეგები გამოიღო. უკანასკნელი წლების განმავლობაში ციხეებში გარდაიცვალა ბევრი პატიმარი²³, და არა მხოლოდ ასაკის გამო – მათი საშუალო ასაკი დაახლოებით 45 წელი იყო. ამ ფატალურ შემთხვევათა ნაწილი სავარაუდოდ იყო გამოწვეული დროული სამედიცინო დახმარების ხელმიუწვდომლობით.²⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოაქვეყნა რამდენიმე დასკვნა, სადაც აღნიშნა, რომ საქართველომ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები - ვერ მიაწოდა ფიზიკური და ფსიქიკური დაავადების მქონე პატიმრებს დროული სამედიცინო მომსახურება.²⁵ 2012 წელს წინა ხელისუფლებამ მოახდინა რეაგირება და გადადგა გარკვეული ნაბიჯები, რის შედეგადაც დაფიქსირდა გაუმჯობესებისაკენ წინსვლა.

სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ წარადგინა სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო მომსახურების ამბიციური გეგმა. როგორც

²³ საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა დაახლოებით 100 პატიმარს ყოველწლიურად. სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ცნობით, 2004–2012 წლებში გარდაიცვალა 806 პატიმარი.

²⁴ სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, 2010 წელს 142 ანუ 56%-ით მეტი პატიმარი გარდაიცვალა, ვიდრე 2009 წელს სასჯელაღსრულების სისტემაში არასათანადო ჯანდაცვის გამო. 2010 წელს გარდაცვლილ პატიმართა დაახლოებით 70% 21–დან 50–მდე ასაკის იყო. ის საქმეები, სადაც აღინიშნებოდა სხეულის დაზიანება, არ იყო სათანადოდ გამოძიებული. 2011 წელს 140 პატიმარი გარდაიცვალა, 2012–ში 67, რომელთა საშუალო ასაკი იყო 44 წელი. 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის ივლისამდე შეწყალების კომისიის მიერ 79 პატიმარი იქნა გათავისუფლებული, მაშინ როდესაც მძიმე ავადმყოფობის საფუძველზე წინა წლებში არცერთი პატიმარი არ ყოფილა გათავისუფლებული.

²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: ჯელამე საქართველოს წინააღმდეგ, 2012 წლის 12 დეკემბერის სასამართლო გადაწყვეტილება; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის სასამართლო გადაწყვეტილება.

იუწყებოდნენ, 2013 წელს სამედიცინო მომსახურების ხარჯები თითოეულ პაციმარზე 4-ჯერ აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს. წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიშის საპასუხოდ, 2012 წლის სექტემბრის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყო 6000-ზე მეტი პაციმრის სამედიცინო დიაგნოსტიკა და მკურნალობა სამოქალაქო საავადმყოფოებში. გარდა ამისა, დღესდღეობით ხელმისაწვდომია C ჰეპატიტის მკურნალობაც.

სიკვდილიანობამ ციხეებში მნიშვნელოვნად იკლო, რასაც ხელი შეუწყო ხანდაზმულთა და მძიმედ დაავადებულ პაციმართა გათავისუფლებამ.

პაციმართა მოლოდინი ციხის ადმინისტრაციის, განსაკუთრებით, სამედიცინო პერსონალის მიმართ საგრძნობლად გაიზარდა 2012 სექტემბერში გადადგმული ნაბიჯების შემდეგ. სახალხო დამცველი იუწყება, რომ გახშირდა მცირე ინციდენტები შეურაცხყოფის მიყენებით. **სამედიცინო პერსონალის პატივისცემასა და უსაფრთხოებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება და, შესაბამისად, მისი უზრუნველყოფა ციხის ადმინისტრაციას ეკისრება.**

დღესდღეობით ხდება მეტი ექიმისა და ექთნის დაქირავება. გარდა ამისა, საგრძნობლად გაიზარდა ხელფასი. გეგმის მიხედვით, სამედიცინო პერსონალს რეგულარულად უტარდება შესაბამისი ტრენინგები, არა მარტო მათ პროფესიულ თემაზე, არამედ სასჯელაღსრულების სისტემის რთულ გარემოში მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებითაც. **აუცილებელია საჩივრებისა და გამოძიების ადეკვატური და ქმედუნარიანი სტრუქტურების შექმნა.** ძალისხმევა, რაც უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების სისტემის მომხიბვლელობას პროფესიონალი სამედიცინომ პერსონალისათვის, იმედის მომცემია.

2.3 არასათანადო მოპყრობა და წამება ციხეებში

წლების განმავლობაში საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი, წამების პრევენციის კომიტეტი და სხვანი²⁶ ყურადღებას ამახვილებდნენ ანგარიშებზე პაციმართა წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობის შესახებ. 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში, რომელიც 2011 წელს ეხებოდა, სახალხო დამცველმა შეჯამების სახით განაცხადა: „აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობას წლების განმავლობაში არ მიუღია სათანადო და ადეკვატური ზომები“ და „ტენდენციად იქცა გამოვლენილი სისტემური დარღვევების სრული იგნორირება“, რის შედეგადაც, მისი თქმით, დამკვიდრდა დაუსჯელობის სინდრომი. უეჭველია, რომ საჩივრების ეფექტიანი გამოძიების ნაკლებობა დიდწილად უწყობდა ხელს ჩადენილი დარღვევების მასშტაბებისა და სიმძაფრის დიდი ხნით მიჩქმალვას. წამების

²⁶მათ შორის, ევროკავშირის ანგარიში ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ, განსაკუთრებით კი, 2012 წლის შემდეგ, ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ადამიანის უფლებათა საკითხების შესახებ.

პრევენციის კომიტეტის უკანასკნელ ანგარიშში ვკითხულობთ: „როგორც იუწყებიან, ამ არასათანადო მოპყრობის მიზანი იყო ციხის ადმინისტრაციისადმი პატიმართა მორჩილებაში ყოფნა და მათი მხრიდან თანამშრომლობის უზრუნველყოფა, ასევე პატიმართა არაფორმალური სტრუქტურების შესაძლო გავლენის აღმოფხვრა²⁷“.

საქართველოს ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს წარსულში ჩადენილ უსამართლობებს და შექმნას სისტემა, რომელიც წარმატებით უზრუნველყოფს ასეთი დარღვევების პრევენციას მომავალში. ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი ბრალდების დროული, ზედმიწევნითი და ეფექტიანი გამოძიება. აუცილებელია ამ მნიშვნელოვან გამოწვევასთან დაუყოვნებლივ გამკლავება. პირველ ყოვლისა კი, ეს პოლიტიკურ ნებას ეხება.

2012 წლის აპრილში სახალხო დამცველმა სამართლიანად აღნიშნა: „სასჯელაღსრულების სისტემაში არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა ითხოვს შესაბამის ნებასა და სურვილს. ეს არ არის პრობლემა, რომლის გადაჭრაც საჭიროებს ხარჯებსა და ბიუჯეტს. მისი გადაჭრა შესაძლებელია თანამშრომელთა მკაცრი კონტროლითა და დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრით, რაც, პირველ ყოვლისა, [სასჯელაღსრულების სისტემის] ხელმძღვანელისაგან უნდა მომდინარეობდეს. საქართველომ მიაღწია აშკარა პროგრესს პოლიციის სისტემაში წამების აღმოფხვრის კუთხით, რაც გახლავთ შესაბამისი რეაგირების შედეგი. ამის გარეშე, ვერც სასჯელაღსრულების სისტემაში მიიღწევა რაიმე წარმატება“.

სხვადასხვა მხარე გამოთქვამს უკმაყოფილებას, რომ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების გამოძიება ამჟამად ძალიან ნელა მიმდინარეობს. გასაგებია, რომ ეს გამოძიებები რთულია, რომ სამხილი, განსაკუთრებით, ისეთი სამხილი, რომელიც სასამართლო ექსპერტიზას საჭიროებს, შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი და რომ მთავარი პროკურატურა ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში უბრალოდ ჩაფლულია საჩივრებში.

მიუხედავად ამისა, აუცილებელია რეაბილიტაციისადმი და, ხელმისაწვდომი სახელმწიფო რესურსების ფარგლებში, მძიმედ ტრავმირებულ მსხვერპლთა კომპენსირებისადმი გამიზნული მიდგომა. ისინი, ვინც პასუხს აგებენ ადამიანის უფლებათა ყველაზე უხეში დარღვევებისათვის, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგინდნ და, როგორც უკვე აღინიშნა, აუცილებელია მომავალში მსგავსი მოვლენების თავიდან აცილების გარანტიების შექმნა. მაგალითად, უნდა შეწყდეს დიდი ხნის პრაქტიკა, როდესაც წამება, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა ითვლება ძალაუფლების გადამატებად.

²⁷ წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიში საქართველოს შესახებ, 2013 წელი.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა დააფიქსირა, რომ ესპერტიზის ჩატარების დროისათვის დაზიანებების კვალი უკვე გამქრალი იყო.²⁸ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ექვების გაჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს სამედიცინო ესპერტიზა.

ასევე მნიშვნელოვანია პატიმართა შორის ძალადობის აღმოფხვრა. პატიმართა შორის ძალადობის შემთხვევაში აუცილებელია ასეთი ფაქტების მთავარი მიზეზების დადგენა. 2013 წლის მაისში ერთ–ერთი პატიმრის სიკვდილი მეორე პატიმრის მხრიდან ფიზიკური თავდასხმის შედეგად გამონაკლის ინციდენტად უნდა დარჩეს. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევის გამოძიება დროულად დაიწყო და პასუხისმგებელი პირებიც დაისაჯნენ.

ციხის მეთვალყურეებს აკისრიათ ვალდებულება დაიცვან პატიმრები, რომლებსაც სხვა პატიმართა მხრიდან დაშინებისა თუ ძალადობის საშიშროება ემუქრებათ და წინასწარ აღკვეთონ ასეთი განზრახვა. პატიმართა წახალისება ერთმანეთის წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებისაკენ სერიოზული დანაშაულია.

გამოითქვა ექვები, რომ ახლახანს დამტკიცებულმა, უფრო ჰუმანური ციხის მენეჯმენტმა შეიძლება გამოიწვიოს ძალადობის ზრდა თავად პატიმართა შორის, „კანონიერი ქურდების“ გავლენის შედეგად გაზრდილი ძალადობის ჩათვლით. აუცილებელია ასეთ ტრაგიკული ინციდენტების მონაწილე ყველა პირის მიმართ ჩატარდეს სისხლისსამართლებრივი გამოძიება. როგორც წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, მიუღებელია სასჯელადსრულების დაწესებულებების პერსონალის კონტროლის მოდუნება, რათა პატიმართა უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ არ აღმოჩნდეს.

უარყოფითი სიგნალია მთავარი პროკურორის მიერ ამას წინათ მიღებული გადაწყვეტილება, გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან წამებაში მონაწილე პირი, რომელიც შემდგომში გახდა ინფორმაციის წყარო ამ საქმეში²⁹. წამება არ შეიძლება გახდეს საპროცესო გარიგების საგანი, მაშინაც კი, როცა, ზემოხსენებული შემთხვევის მსგავსად, დამნაშავე ინანიებს წამებაში მონაწილეობას და ამხელს ამ დანაშაულს. ამ შემთხვევაში პრემიერ–მინისტრმა სწორედ ასეთი მოსაზრება გამოთქვა საჯაროდ.

წამების პრევენციის კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა სამედიცინო მომსახურების როლი არასათანადო მოპყრობის პრევენციაში.³⁰ 2012 წლის შემოდგომით განხორციელებული ვიზიტის დროს განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ საკითხს დაეთმო. მისასალმებელია სასჯელადსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს განზრახვა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული ვითარების აქტიური მონიტორინგის პარალელურად, გაზარდოს სასჯელადსრულების სისტემის

²⁸სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში – 2011 წელი“; 2012 წლის აპრილი.

²⁹ <http://www.civil.ge.Eng/article.php?id=26255>

³⁰წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიში საქართველოს შესახებ, 2007 წელი; წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიში საქართველოს შესახებ, 2010 წელი.

ექიმებისა და ექთნების პროფესიული დამოუკიდებლობა და აამაღლოს მათი მომზადების დონე.

სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსათვის წამების პრევენციის კომიტეტის მიერ მიწოდებული სხვა რეკომენდაციები მოიცავს შემდეგს: ყველა სამედიცინო შემოწმების ჩატარება არასამედიცინო პერსონალის მონაწილეობის გარეშე; სამედიცინო ისტორიების კონფიდენციალობის მკაცრად დაცვა; სამედიცინო ისტორიების შედგენაში ტრენინგებისა და მითითებების მიწოდება პერსონალისათვის. შესაძლო არასათანადო მოპყრობის შედეგად მიღებულ დაზიანებათა შემთხვევების გადამისამართება პროკურორთან, მაშინაც კი, როცა არ არსებობს საჩივარი პოტენციური მსხვერპლის მხრიდან, არის წამების პრევენციის კომიტეტის კიდევ ერთ რეკომენდაცია, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია.

სახალხო დამცველის აპარატი უკვე წლების განმავლობაში სარგებლობს საზოგადოების ნდობით. მისი გარე თუ შიდა მონიტორინგი ციხეებში, მას შემდეგ, რაც 2009 წელს სახალხო დამცველის აპარატს მიენიჭა პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტატუსი, უკიდურესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს დარღვევათა დადგენასა და დაგმობაში. სამწუხაროდ, 2012 წლის სექტემბერში, სკანდალური ვიდეომასალის გამოქვეყნებამდე, წინა ხელისუფლება უგულებელყოფდა დაგმობის ფაქტებს. ამის შემდეგ მან მიიღო სასწრაფო ზომები, მაგალითად, მაშინდელი სახალხო დამცველი დანიშნა სასჯელაღსრულების მინისტრის თანამდებობაზე და მოახდინა პოლიციის დროებითი მობილიზაცია ციხეებში ძალადობის აღსაკვეთად და წესრიგის აღსადგენად. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტთა სიის გაფართოებისა და განახლების მიზანია ციხეებში არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის ეფექტიანი პრევენცია. მაგალითად, ამ სიაში დღეს შესულია ექსპერტი გენდერის საკითხებში იმის გათვალისწინებით, რომ ლგბტ პატიმრები შეიძლება იქცნენ დაუცველ ჯგუფად ციხეებში.

2.4 პატიმრობის ალტერნატივების შემუშავება და სოციალური რეინტეგრაცია

აქამდე საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკისა და სასჯელაღსრულების სისტემის ყველა ასპექტში ყურადღება გამახვილებული იყო სასჯელის აუცილებლობაზე, მაგრამ მხოლოდ მცირეოდენი უპირატესობა ენიჭებოდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას, რაც აისახა, მაგალითად, სისხლის სამართლის პოლიტიკაში გამოყენებულ და შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილ სასჯელის შეკრებითობის პრინციპში. ეს ასევე აისახა სასჯელაღსრულების დაწესებულებათა მოწყობაში, რომელიც იწვევდა პატიმართა სრულ გაუცხოებას გარე სამყაროსაგან. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე უკმაყოფილების გავლენით, 2010 წელს დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის შემსუბუქების მიზნით, რაც მოიცავდა რესოციალიზაციის ზრდასა და პატიმრობის ალტერნატივების გამოყენებისაკენ მიმართულ ნაბიჯებს.

სამუდამო პატიმრობის თემა ასევე პრობლემატურია. სამუდამო პატიმრობაში მყოფი პირების არსებობა საქართველოში (დაახლოებით 80 ადამიანი) სერიოზულ ჰუმანიტარულ შეშფოთებას იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობა 25 წლის პატიმრობის შემდეგ.

2012 წლის ანგარიშში სახალხო დამცველი მიესალმა 2011 წელს გადადგმულ სხვა სწრაფ ნაბიჯებს, მათ შორის, ტელევიზიისა და ბეჭდური მედიისათვის დახურული ტიპის დაწესებულებებში შესვლის უფლებასა და პატიმართათვის ნაბადართული ამანათების შემოწმების წესების შემსუბუქებას. დაგეგმილია ოჯახის წევრთა მიერ პატიმართა მონახულების სიხშირისა და ხანგრძლივობის გაზრდა, ასევე ასეთი შეხვედრების გარემოს გაუმჯობესება და სრული კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. როგორც წამების პრევენციის კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა, ყველა მსჯავრდებულ პატიმარს, დისციპლინარულ ზომებს დაქვემდებარებული პატიმრების ჩათვლით, უნდა ჰქონდეს ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობის შენარჩუნების შესაძლებლობა. აუცილებელია ყველა პატიმრის რესოციალიზაციისა და სოციალური რეაბილიტაციის ამ უმნიშვნელოვანესი კომპონენტის უზრუნველყოფა.

კიდევ ერთი სფერო, რომელშიც სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს დაუდალავი შრომა მოუწევს, არის ციხეში ხელმისაწვდომ აქტივობებთან დაკავშირებული დაპირებების შესრულება. აუცილებელია, პატიმართათვის შეიქმნას მიმდინარე საპილოტე ინიციატივების ფარგლებში არსებულზე ბევრად მეტი სამუშაო ადგილი. განათლებისა და პროფესიული ოსტატობის დაუფლების შესაძლებლობები მართლაც არსებობს ზოგიერთ ციხეში, რაც სტანდარტად უნდა იქცეს მთლიანად სისტემაში. მართალია, ასეთი შესაძლებლობების მიწოდება ითხოვს დროსა და რესურსებს, მაგრამ ამას პოზიტიური შედეგები მოჰყვება რესოციალიზაციისა და სოციალური რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

პრობაციონერები მომზადებული უნდა იყვნენ საზოგადოებაში სრულყოფილი დაბრუნებისათვის. წლების განმავლობაში, პრობაციონერთა დიდი რაოდენობის მიუხედავად (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 34000 პრობაციონერი დაფიქსირდა 2012 წლის აგვისტოში), პრობაციის მომსახურება კონცენტრირებული იყო აღსრულების მექანიზმზე, ხოლო რესოციალიზაციის გეგმებზე სახელმწიფო იშვიათად თუ გამოყოფდა რესურსებს. საერთაშორისო პარტნიორებისა (კერძოდ, ევროკავშირი და ნორვეგია) და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირებულობისა და ზოგიერთი მომსახურების უზრუნველყოფისაკენ მიმართულმა ძალისხმევამ ბოლო წლებში შედეგად მოიტანა ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნის მეთოდები (განსაკუთრებით კი, არასრულწლოვანთათვის) და საზოგადოებრივი სამუშაოების მასშტაბის გაფართოების გეგმები.

2012 წლის იანვრის ამნისტია შეეხო ათასობით პრობაციონერს, ხოლო პატიმართა ნაწილმა პრობაციონერის სტატუსი მიიღო. მათი რეინტეგრაცია საზოგადოებაში არ იყო სათანადოდ დაგეგმილი და ზოგიერთისთვის ეს რთული პროცესი აღმოჩნდა, კერძოდ კი, მათთვის, ვისაც არ გააჩნია მყარი ოჯახური კავშირები, არა აქვს პერსპექტივა სამუშაოს თვალსაზრისით, ასევე მძიმე დაავადებებისა და დამოკიდებულების მქონეთათვის. სხვა ინიციატივებთან ერთად (მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციის ცენტრი და სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში), იმედისმომცემია ღია ტიპის ციხის ან კონტროლისა და მეთვალყურეობის მექანიზმებით აღჭურვილი სპეციალური საცხოვრებლების (half-way house) დაგეგმილი ჩამოყალიბება, თუნდაც ტევადობის მხრივ მათი შეზღუდულობის გათვალისწინებით, რადგან ასეთი საცხოვრებლები კარგი პლატფორმაა პატიმართა მოსამზადებლად გათავისუფლებისათვის. ამოსავალი წერტილი აქ არის რესოციალიზაცია და ხელახალი დანაშაულის პრევენცია, განსაკუთრებით, ახალგაზრდა პრობაციონერების შემთხვევაში, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირებულობა პრობაციონერთა საზოგადოებაში დაბრუნების პროცესის გასამარტივებლად.

ხელისუფლებამ უნდა გააღრმავოს აქამდე მიღწეული პროგრესი ალტერნატიული სასჯელის ფორმების მიღების კუთხით და გაზარდოს მოსამართლეთა ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, რომ შეკრებითობის პრინციპი გამართლებული არ არის. წინასწარი პატიმრობის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ამ სფეროში არსებული პრინციპების შესაბამისად³¹.

დროა, საქართველო გაემიჯნოს სამართლის გამოყენების პოლიტიკას ანგარიშსწორების მიზნით და გეზი აიღოს ადამიანის უფლებებისა და კორექციაზე გამიზნული სამართლისაკენ. მისასალმებელია ამ მიმართულებით დღემდე გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში დეტალურად არის აღწერილი მართლმსაჯულების სისტემის შესახებ თავში.

2.5 არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები

2010 წელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი მინიმალური ასაკი, ნაცვლად 14 წლისა, ისევ 12 წლით განისაზღვრა, რაც იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ლობისტების აქტიურობის შედეგი.³² 2009 წელს, წინა ხელისუფლების მიერ სისხლის სამართლის სისტემის ზოგადი რეფორმის ფარგლებში (მაგალითად, უფრო

³¹ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)13 წევრ სახელმწიფოებს წინასწარი პატიმრობის გამოყენების პირობების შესახებ და ასევე მისი ბოროტად სარგებლობის წინააღმდეგ.

³² სისხლის სამართლის კანონმდებლობა განასხვავებს მხოლოდ არასრულწლოვან (14-17 წელი) და ზრდასრულ სამართალდამრღვევებს. კანონით გათვალისწინებულია ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა დატოვება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასრულწლოვანთათვის 20 წლის ასაკამდე საგანმანათლებლო და სხვა მიზნებით. ახალგაზრდა სამართალდამრღვევისა და პრობაციონერის (25 წლამდე) სტატუსი ჯერ არ არის შემოღებული.

ლიბერალური სასჯელები, გაუმჯობესებული პირობები ციხეებში) გატარებულმა არასრულწლოვანთა სასამართლო სისტემის სტრატეგიამ და სამოქმედო გეგმამ მეტ-ნაკლებად რეალური შედეგები მოიტანა. მათ შორისაა სასამართლო დევნის შემთხვევათა შემცირება და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სასჯელალსრულების დაწესებულებებში არასრულწლოვანთათვის.

ახალმა ხელისუფლებამ უნდა აიტაცოს წინა ხელისუფლების მიერ წამოწყებული მნიშვნელოვანი საქმეები ამ საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, დისკრეციული უფლებამოსილება სისხლის სამართლებრივი დევნის დროს). აუცილებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნისა და შუამდგომლობის უფრო ინტენსიური გამოყენება. დღევანდელი პოლიტიკური გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნის შესახებ წინადადებული ნაბიჯია, რომელიც სათანადოდ უნდა დააფასონ მათ, ვინც ლობირებს არასრულწლოვნებზე ორიენტირებულ მიდგომებს. კიდევ ერთი აუცილებელი რეფორმის შედეგად უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაკავებულ არასრულწლოვანთა მკაცრი იზოლაცია სრულწლოვანი პატიმრებისაგან, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამ ეტაპზე აუცილებელია მეტი ძალისხმევის მიმართვა პრევენციისკენ³³, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე გამიზნული არასრულწლოვანთა სასამართლო სისტემის გამართულობა. აუცილებელია, შეძლებისდაგვარად, პატიმრობის ალტერნატიული სასჯელის, მათ შორის, შუამდგომლობის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნისა და საზოგადოებრივი სამუშაოების, გამოყენება. გარდა წერა-კითხვის და არითმეტიკის კურსებისა, განათლების მიღების მსურველ არასრულწლოვანებს უნდა მიეცეთ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებისათვის მომზადების საშუალება. აუცილებელია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის გაძლიერება.

აუცილებელია კონკრეტულად არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგის მიწოდება ყველასთვის, ვისაც კონტაქტი აქვს ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან პროცესის ყველა ეტაპზე. მუშაობა ოჯახებსა და ადგილობრივ თემებთან არა მარტო უზრუნველყოფს დანაშაულის ხელახლა ჩადენის თავიდან აცილებას, არამედ გაამარტივებს არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის პროცესსაც. ისევე, როგორც ზრდასრულთა შემთხვევაში, აქაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რისკების შეფასებასა და სასჯელის დაგეგმვას.

³³რაც შეეხება პრევენციას, მას შემდეგ, რაც 2006 წლის ბოლოს, შეწყდა არასრულწლოვანთა ინსპექციის სახელით ცნობილი და ბავშვებთან პრევენციული სამუშაოებისთვის პასუხისმგებელი პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფის რეფორმა, საქართველოში არ შეინიშნებოდა რაიმე მნიშვნელოვანი კონცენტრირება პრევენციის მომსახურებაზე, სანამ არ შეიქმნა სათემო სამართლის პროექტები საპილოტე რაიონებში საზოგადოებრივი წესრიგისა და სამართალდარღვევათა პრევენციის მიზნით.

3 სამართალდამცავი ორგანოები

უკანასკნელი ათწლეულებში ისმოდა კრიტიკა საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ.³⁴ კეთდებოდა განცხადებები პრობლემების შესახებ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებასთან, გამოძიების მეთოდებთან, საპროცესო სტანდარტების უგულვებელყოფით თავისუფლების აღკვეთასა და დაკავებულ პირთა წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, ვარდების რევოლუციის შემდეგ შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი საპატრულო პოლიციასთან დაკავშირებით და თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა კორუფცია დაბალ ეშელონებში. საპატრულო პოლიცია დღეს მაღალი საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობს და ამ მიღწევას მოფრთხილება სჭირდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდი სტრუქტურაა, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობათა ფართო სპექტრს. ეს სამინისტრო, რომლის თანამშრომელთა რიცხვი თითქმის 40000 ადამიანს ითვლის, ყველაზე დიდი სტრუქტურაა ადმინისტრაციაში. რასაკვირველია, მას ჰქონდა და დღესაც აქვს დიდი ძალაუფლება.

ამ ბოლოდ დროს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული ზოგიერთი ოპერაცია სასტიკად გააკრიტიკეს³⁵, როგორც არაკვალიფიციური და ზედმეტად მკაცრი. აუცილებელია ამ საჩივრების ზედმიწევნითი შესწავლა. ზოგადად, სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულების და დემოკრატიული ზედამხედველობის გაზრდისა და მომავალში უფლებამოსილების გადამეტების აღსაკვეთად სტრუქტურული რეფორმების განხორციელების აუცილებლობა თავისთავად ცხადია და გაცნობიერებულია კიდევ ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ. უკვე გადაიდგა რამდენიმე პოზიტიური ნაბიჯი შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებისა და დეპოლიტიზაციის მიმართულებით, ავადსახსენებული კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გაუქმების ჩათვლით³⁶.

³⁴ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მიღწეული პროგრესის შესახებ ანგარიშში, რომელიც გამოქვეყნდა 2012 წლის მაისში და ეხებოდა 2011 წელს, ვკითხულობთ: „აუცილებელია შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის დონისა და ანგარიშვალდებულების გასაზრდელად. კვლავინდებურად აქტუალურია შეშფოთება დაკავებისა და დაპატიმრების დროს ძალის გადაჭარბებული გამოყენებისა და ციხის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის გამო, ასევე ეჭვები კანონის თანაბარი გამოყენების შესახებ. წამების პრევენციის კომიტეტმა და სახალხო დამცველმა გააკრიტიკეს უსაფუძვლოდ ხანგრძლივი გამოძიებები, არასაკმარისი დისციპლინარული ზომები და ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია, რომლებსაც შედეგად შეიძლება მოეტანათ ნაკლებად მკაცრი სასჯელი. მათ ასევე მიაწოდეს ხელისუფლებას კატეგორიული გზავნილის: „ნულოვანი ტოლერანტობა არასათანადო მოპყრობას“ განცხადების რეკომენდაცია.

³⁵ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=27078> და <http://www.civil.ge/geo/article.php?id=27075>

³⁶ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ფუნქციები კრიმინალური პოლიციის ცენტრალურ დეპარტამენტს გადაეცა

3.1 გამოძიების საექვო მეთოდები

სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელეს რიგი საქმეების ანალიზი, რომლებშიც გამოძიებისა და დაკავების მეთოდები გამოირჩეოდა სავალალო პროცედურული დარღვევებით. ამ მხრივ გასათვალისინებელია სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოყენებული პრეცედენტული სამართალი.³⁷ ასეთი დარღვევები მოიცავდა შემდეგს: ჩხრეკის ჩატარება სასამართლოს ნებართვის გარეშე; დაკავებულ პირებზე ზეწოლა აღიარების ან სხვათა წინააღმდეგ ჩვენებების მოსაპოვებლად; საჩივრები პოლიციის თანამშრომელთა მიერ იარაღისა და ნარკოტიკების „ჩადებასთან დაკავშირებით“, რომლებიც შემდეგ გამოდიოდნენ სასამართლოში ერთადერთი მოწმეების სტატუსით; მოწმეები არ ესწრებოდნენ ჩხრეკის პროცესს; დანაშაულის სავარაუდო სამხილი ობიექტების ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

ასევე კეთდებოდა განცხადებები იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ეხებოდა სასამართლოში დაცვის უფლებას, მათ შორის, ადვოკატებისა და სასამართლო ექსპერტების დროულ ხელმისაწვდომობას, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთა ხელმისაწვდომობას, ასევე დაცვის მხარისათვის მოცემული საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და დაკავებულთა ნათესავებისათვის მომხდარის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა ახალი კანონპროექტი პოლიციის შესახებ. მოსალოდნელია, რომ ამ კანონპროექტს დაამტკიცებს პარლამენტი ა.წ. შემოდგომაზე. პოლიციის შესახებ ძველი კანონი მიიღეს 1993 წელს და უკვე დიდი ხანია საჭიროა მისი სრული გადასინჯვა. ახალ კანონპროექტში ყურადღება გამახვილებულია პრევენციის ზომებზე და მისი საბოლოო მიზანია მოსახლეობის უფლებების დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ახალი კანონი ამ სფეროში მოიტანს მნიშვნელოვან პროგრესს, მაგრამ მისი განხორციელება მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რათა რეალურად შეიცვალოს პოლიციის თანამშრომელთა მსოფლმხედველობა.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები და პროფესიონალი იურისტები რეგულარულად გამოთქვამდნენ შეშფოთებას იმ ფაქტის გამო, რომ გამოძიებები ხშირად იწყებოდა მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რაც ითხოვდა გადაუდებელ საგამოძიებო მუშაობას იურიდიული ზედამხედველობის გარეშე. აუცილებელია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში ცვლილებების დაუყოვნებლივ შეტანა ადამიანის უფლებების, კერძოდ კი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების, სტანდარტების შესაბამისად. იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოთქმული თავდაპირველი მოსაზრებები ამ მნიშვნელოვან საკითხზე სწორ მიმართულებაზე მიუთითებს.

³⁷ ECoHR, [Enukidze and Girgvliani v. Georgia](#), Judgment of 26 April 2011 or ECoHR, [Danelia v. Georgia](#), Judgment of 17 October 2006.

3.2 უკანონო თვალთვალი

2013 წლის აგვისტოს ბოლოსთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მის კუთვნილ და სხვა ტერიტორიებზე აღმოჩენილი იყო უკანონოდ გადაღებული/ჩაწერილი დაახლოებით 24000 ვიდეო და აუდიოჩანაწერი. ამ გამიზნული თვალთვალისათვის სასამართლოდან არ ყოფილა მოთხოვნილი არავითარი ნებართვა. თავად ჩანაწერთა რაოდენობა მიუთითებს უკანონო თვალთვალის სისტემატური პრაქტიკის არსებობაზე, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.

ამ ჩანაწერთა დიდი რაოდენობა, როგორც ჩანს, პოლიტიკური მიზნებისათვის იყო განკუთვნილი. ჩანაწერებში მოხვდნენ იმ დროს ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა აქტივისტები. აღმოჩენილია, აგრეთვე, ინტიმური სცენების ამსახველი 94 ფირი. მათი დანიშნულება, როგორც ჩანს, იყო შანტაჟი.

ინფორმაცია აღმოჩენილი მასალების შესახებ გაცხადდა, როცა ახალი ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გამოაქვეყნა ერთ-ერთი ვიდეომასალა, რის აშკარა მიზანიც იყო ამ ფირზე აღბეჭდილი კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტისათვის ზიანის მიყენება. მინისტრის მოადგილე გაათავისუფლეს და დააკავეს. ეს საქმე ცხადყოფს საფრთხეს, რომელსაც ასეთი ვიდეოჩანაწერები წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისათვის.

ხელისუფლებამ შექმნა კომისია, რომლის დანიშნულებაცაა სამთავრობო უწყებებისათვის რეკომენდაციების მიწოდება ამ ჩანაწერებთან დაკავშირებით და ასეთი რეკომენდაციის გათვალისწინების მონიტორინგი. ამ ჩანაწერების წარმოება, როგორც ასეთი, განიხილება დანაშაულად. არსებობდა მასალების გადახედვის საჭიროება პასუხისმგებელ პირთა წინააღმდეგ შესაძლო ბრალდებების მოსამზადებლად. მეორე მხრივ, კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საკითხი იყო ჩანაწერებში დაფიქსირებული ადამიანების პირადი სივრცისა და ინტიმური დეტალების დაცვა. აუცილებელი იყო ჩანაწერების განადგურება და იმ ფირების მოპოვება, რომლებიც შეიძლება ცალკეული პირების მფლობელობაში ყოფილიყო. უკვე განადგურებულია 94 ფირი³⁸, რომლებზეც ასახულია ინტიმური დეტალები. ასევე გადაიდგა ნაბიჯები, იმისათვის, რომ ასეთი ჩანაწერების შენახვა ჩაითვალოს სამართალდარღვევად.

ახალ დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი არის ზემოხსენებული კომისიის წევრი. მის ზოგად ვალდებულებებში შედის ფართო საზოგადოების ინტერესებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. მიუღებელია ელექტრო კომუნიკაციების

³⁸ 5 სექტემბერს სპეციალურმა კომისიამ განადგურა 110 დისკი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ინტიმური ცხოვრების ამსახველი 144 ეპიზოდი (სრული ხანგრძლივობა 181 საათი და 32 წთ). ამ პროცესზე დასასწრებად შედია იყო მოწვეული.

არაკონტროლირებადი ხელმისაწვდომობა სამინისტროსათვის და აუცილებელია ამ მდგომარეობის გამოსწორება. აუცილებელია ინსპექტორის აპარატის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

აუცილებელია ტექნიკური და ფიზიკური მიყურადების ყველა სახის სამუშაოების რეგულირება. მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეობის გარეშე და კანონის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, პროკურორს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და აღმსარულზელი ხელისუფლების არცერთ სხვა სტრუქტურას არ უნდა ჰქონდეთ უფლება აწარმოონ მოქალაქეთა თვალთვალი ან მიიღონ გადაწყვეტილება ამის შესახებ.

მიყურადების აღჭურვილობის არსებობა ტელეკომუნიკაციების ოპერატორების კუთვნილ ტერიტორიაზე წარმოადგენს შეშფოთების კიდევ ერთ საგანს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს ავტომატური წვდომა ყველა სახის კომუნიკაციაზე კერძო პროვაიდერების მეშვეობით. აუცილებელია ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. ბოროტად გამოყენების რისკი ნიშნავს, რომ არსებობს ამ სფეროში ნებისმიერი სახის სამუშაოების წესებისა და დემოკრატიული და იურიდიული ზედამხედველობის აუცილებლობა.

3.3 არასათანადო მოპყრობა/წამება და გადამეტებული ძალის გამოყენება

2007 წლიდან მოყოლებული, წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავდა, რომ პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებული ვითარება დროთა განმავლობაში გაუმჯობესდა.³⁹ მიუხედავად ამისა, გაჟღერდა საჩივრები პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის გამო, ხოლო ამ საჩივრების გამოძიება, როგორც წესი, არ განხორციელებულა. იმ იშვიათეს შემთხვევებშიც კი, როდესაც ჩატარდა გამოძიება, პროკურატურა ყურადღებას ამახვილებდა „ძალაუფლებას ბოროტად გამოყენების“ სავარაუდო ფაქტებზე და არა სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო „წამებასთან“ და „ფიზიკური შეურაცხყოფის სხვა მძიმე ფორმებთან“. ეს არაერთხელ დაგმეს თავიანთ ანგარიშებში სახალხო დამცველმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა.

დემონსტრაციების დაშლის დროს (მაგალითად, 2007 წლის ნოემბრის, 2009 წლის გაზაფხულისა და 2011 წლის მაისის დემონსტრაციები) პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის სავარაუდო გამოყენების ფაქტების გამოძიების ეფექტურობის ნაკლებობამ ხელი შეუწყო დაუსჯელობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.⁴⁰ აუცილებელია ამ ინციდენტების

³⁹ CPT, [Report on Georgia](#), 2007 and CPT, [Report on Georgia](#), September 2010.

⁴⁰ 2012 წლის მაისში გამოქვეყნებულ ანგარიშში ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ ვკითხულობთ: „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა და ანგარიშვალდებულება ზედმიწევნითი შემოწმების საგანი გახდა [2011 წლის] მაისში ძალადობრივი მეთოდებით საპროტესტო აქციის დარბევის შემდეგ.“

გამოძიების გააქტიურება და ძალადობაზე პასუხისმგებელი პირების სამართალში მიცემა. ეს კი, არა მხოლოდ ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას კონკრეტულ შემთხვევებში, არამედ მთელ საზოგადოებას დაეხმარება წარსულის მტკივნეულ ეპიზოდებთან გამკლავებაში.

წარსულში არასამთავრობო ორგანიზაციები ხაზს უსვამდნენ პოლიციის შესახებ კანონში იმ წესების გადასინჯვის აუცილებლობას, რომლებიც ეხება სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლში ჩამოთვლილ კანონიერ საფუძვლებთან ამ წესების შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებას.⁴¹

პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან შეურაცხმყოფელი მოქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა ბევრად რთულია ისეთ პირობებში, როდესაც დამკვიდრებულია კულტურა „მიზანი ამართლებს საშუალებებს“, ხოლო მიზნის მიღწევისთვის მთავარ სამხილად მიჩნეულია აღიარებითი ჩვენება, მიუხედავად იმისა, თუ რა პირობებში იყო მიღებული ეს ჩვენება. აუცილებელია გამომძიებელთა საგამოძიებო უნარებისა და პროფესიონალიზმის დონის ამაღლება.

გარდა ციხეში წამების ფაქტების ამსახველი ვიდეომასალისა, რომელიც გამოქვეყნდა 2012 წლის სექტემბერში, აღმოჩენილია სხვა ვიდეოჩანაწერებიც, მათ შორის, დასავლეთ საქართველოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტროლქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ნაპოვნი მასალა.⁴² ეს ჩანაწერები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მათში ასახულ მოქმედებებში, ციხის თანამშრომელთა გარდა, სხვა პირებიც მონაწილეობდნენ.

ამჟამინდელი მთავარი პროკურორისა და შინაგან საქმეთა მინისტრის შეფასებით, ამ ჩანაწერების ერთ-ერთი მიზანი, როგორც ჩანს, სხვა პატიმართა, მათ შორის წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა, დაშინებაა, იმ შესაძლო მოპყრობით, რომელიც მათ ელოდათ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არასათანადო მოპყრობითა და წამებით დაშინება სისხლის სამართლის დანაშაულია.

დღევანდელი ვითარება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ამჟამინდელ ხელისუფლებას. ერთი მხრივ, ამ ჩანაწერებსა და მათში ასახულ უხეშ კანონდარღვევებზე პასუხისმგებელი პირები უნდა გასამართლდნენ სამართლიანი პროცესის შედეგად (ბრალეულობის დამტკიცებამდე მათი ვინაობის გაუცხადებლობის ჩათვლით) და,

სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტები არ გადაეცა მართლმსაჯულების სიტემას გამოსამძიებლად“.

⁴¹ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, 2010 წლის ივლისი.

⁴² განხილული ვიდეომასალა, როგორც ჩანს, 2007 წელს იყო გადაღებული.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მსხვერპლთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას (რაც არ იყო სრულად დაცული ამ ვიდეომასალის, როგორც სამხილის, ჩვენებისას).

მეორე მხრივ კი, აუცილებელია ყველა ზომის მიღება მომავალში ასეთი დამამცირებელი მოქმედების თავიდან ასაცილებლად. მკაფიოდ უნდა გაცხადდეს, რომ ნებისმიერი სახის არასათანადო მოპყრობა და წამება მძიმე დანაშაულია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144.2 მუხლის თანახმად, და ასეთი მეთოდებით მიღებული აღიარებითი ჩვენება სრულიად უსარგებლოა სისხლის სამართლის პროცესებში. პოლიციელთა აღჭურვა კამერებით, რომელთა მეშვეობითაც ისინი აღბეჭდავენ „გაჩერებისა და გაჩხრეკის“ პროცესსა და დაკავებას, პოზიტიური ნაბიჯია ამ მიმართულებით.

3.4 საჩივართა განხილვის დამოუკიდებელი და ეფექტიანი სისტემის შექმნა

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გათვალისწინებით და საპატრულო პოლიციის შემთხვევაში მიღწეული წარმატების მიუხედავად, აუცილებელია დამოუკიდებელი და ეფექტიანი სისტემის შექმნა პოლიციის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განსახილველად. ასეთი მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს დამოუკიდებლობის, ადეკვატურობის, დროულობის, დეტალური საჯარო განხილვისა და მსხვერპლთა თანამონაწილეობის პრინციპებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე.⁴³

უკანასკნელ წლებში ხშირად კეთდებოდა განცხადებები არაეფექტიანი და გაჭიანურებული გამოძიებების შესახებ, რომლებიც ეხებოდა პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სავარაუდო მონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებს. საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, 2011 წელს ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნის მიხედვით, დაფიქსირდა „ძალიან სერიოზული ხარვეზები გამოძიების მიუკერძოებლობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით“. კერძოდ კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ გამოძიებაში „აშკარა იყო აუცილებელი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობა“.⁴⁴ ეს საქმე სამაგალითოა საქართველოს ბევრი მოქალაქისათვის. ახლახანს ამ საქმის გამოძიება განახლდა და რამდენიმე ყოფილ თანამდებობის პირს წაეყენა ბრალდებები. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საქმეების გამოძიება მნიშვნელოვანია, აუცილებელია ამ პროცესის გამჭვირვალობის და საპროცესო სტანდარტებისა და გარანტიების დაცვა, რათა არ გაჩნდეს რამე ეჭვი ანგარიშსწორებასა და შურისძიებასთან დაკავშირებით.

⁴³[Opinion of the Commissioner for Human Rights concerning Independent and Effective Determination of Complaints against the Police](#), 12 March 2009

⁴⁴ECtHR, [Enukidze and Girvliani v. Georgia](#), Judgment of 26 April 2011.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოების ცალკეულ თანამშრომელთა არასათანადო ქცევა მთელ მსოფლიოში გავრცელებული მოვლენაა, არსებობს ასეთ შემთხვევებთან მუშაობის გზები, რომელთა მეშვეობითაც დამნაშავეები პასუხს აგებენ, უზრუნველყოფილია პრევენციაზე გამიზნული ეფექტი და ძლიერდება ბრძოლა დაუსჯელობის სიდნრომის წინააღმდეგ.

ზემოთქმულის კარგი მაგალითია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლება და სამართალში მიცემა, რომელმაც გაასაჯაროვა წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ ჩაწერილი ვიდეომასალა, რომელზეც თავად აგებდა პასუხს. ეს ჩანაწერი, ისევე, როგორც მისი გასაჯაროება, წარმოადგენს ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას. უკიდურესად მნიშვნელოვანია ამ მხრივ წარსულში არსებული პრაქტიკის შეწყვეტა. ამ მხრივ, აჭარაში ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირთან დაკავშირებული ინციდენტის მასალის სავარაუდოდ განზრახ განადგურება ვერ ჩაეთვლება ამჟამინდელ ხელისუფლებას მისასალმებელ პრაქტიკად.⁴⁵

დადგა დრო, მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების ფარგლებში და წარსულში არსებული სისტემატური დარღვევების გათვალისწინებით, საქართველომ დაუყოვნებლივ გამონახოს საუკეთესო გზა, რომლითაც განხორციელდება ადამიანის უფლებათა დარღვევების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება ყოველთვის, როცა არსებობს ეჭვი, რომ ასეთ ქმედებებში მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოები. ამ გზით გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა სცადონ იმ პრაქტიკის სავალალო შედეგების მინიმალიზაცია, რომლის მიხედვითაც „კოლეგები იძიებენ კოლეგების საქმეებს“. არაერთხელ გაჟღერდა რეკომენდაცია, რომ საქართველომ სერიოზულად უნდა განიხილოს დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნა, რომლის მოვალეობებშიც შევა არასათანადო მოპყრობასა და წამებასთან დაკავშირებული ყველა საჩივრის გამოძიება.⁴⁶ და კვლავ, ქვეყნის უახლესი წარსულისა და მოსახლეობასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ნდობის უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, სრულიად დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნა აუცილებელია.

3.5 ეთიკის სტანდარტებისა და ადამიანის უფლებათა ტრენინგის აუცილებლობა

მიუხედავად იმისა, რომსაჩივართა განხილვის სრულფასოვანი მექანიზმის შექმნა პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს, ეს მექანიზმი საკმარისი არ არის სამართალდამცავთა ძალადობრივი მოქმედებების ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად. გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის ეთიკის სტანდარტებსა და ადამიანის უფლებებში მრავალმხრივი ტრენინგის ჩატარებას

⁴⁵<http://civil.ge/eng/article.php?id=25919>

⁴⁶ Jim Murdoch, Country report on Georgia: Combating ill-treatment and impunity and effective investigation of ill-treatment, Council of Europe, 2010

მნიშვნელოვანი პრევენციული ეფექტი აქვს. შინაგან საქმეთა სამინისტროს გეგმები განათლებასა და ტრენინგთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა კატეგორიის პოლიციელებისთვის 2013 წლის დასაწყისში ეთიკისა და ქცევის წესების კოდექსის მიღება მისასალმებელი ნაბიჯებია. სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეთიკასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ტრენინგების გრძელვადიანი ეფექტურობისა და ინფორმირებულობის გაზრდის მისაღწევად, ასეთი ტრენინგები რეგულარულად უნდა ჩატარდეს და ეხმიანებოდეს იმ კონკრეტულ გამოწვევებს, რომლებსაც პოლიციის თანამშრომლები ყოველდღიურად აწყდებიან.

4. უმცირესობათა უფლებები

კოალიცია „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა გააკეთა ისლამოფობიური და ჰომოფობიური განცხადებები, როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ისე არჩევნების შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ პრემიერ-მინისტრმა დაიკავა უმცირესობათა უფლებების დამცველის პოზიცია. როგორც ჩანს, აუცილებელია, რომ პოლიტიკურმა ლიდერებმა განაგრძონ სიმულვილის ენის დაგმობა. უპრიანი იქნებოდა ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის შექმნის შესახებ წამოყენებული იდეის განხორციელება, რომელიც მოახდენს სიმულვილის ენის ეფექტიან მონიტორინგს.⁴⁷

გასულ ათწლეულებში უმცირესობებთან დაკავშირებით მიღებულ არასწორ გადაწყვეტილებებს სავალალო შედეგები მოჰყვა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ჰქონდა გარკვეული ეჭვები საქართველოს სახელმწიფოებრიობისადმი ზოგიერთი უმცირესობის ერთგულებასთან დაკავშირებით, და, როგორც წესი, მათეპყრობოდა უშიშროების გადასახედიდან, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეეწყობთ მათთვის, რომ საქართველოს მრავალეთნიკური სახელმწიფოს სრულფასოვან წევრად ეგრძნოთ თავი. ამან კი თავისი როლი ითამაშა კონფლიქტებისა და დამაბულობის წარმოქმნაში და ასევე ეჭვები გაუჩინა უმცირესობებს, რომლებსაც უშუალოდ ეს პროცესები არ ეხებოდათ.

4.1 უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პოლიტიკა

საქართველოს საკანონმდებლო ბაზა დისკრიმინაციასთან ბრძოლის თვალსაზრისით არ არის სრულყოფილი. კონსტიტუცია და მთელი რიგი კანონები შეიცავს ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 2012 წლის რედაქციის თანახმად,

⁴⁷<http://gdi.ge/?p=317&lang=en>

დისკრიმინაცია დღეს ითვლება დამამძიმებელ გარემოებად.⁴⁸ საქართველო შეუერთდა საერთაშორისო ხელშეკრულებებს უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ და განახორციელა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციისა და ეროვნული უმცირესობების შესახებ ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირება. საქართველოს მიერ რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირების საკითხი ჯერჯერობით ღია რჩება.

იუსტიციის სამინისტროს წინადადების საფუძველზე, მიმდინარეობს დისკუსიები სრულფასოვანი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით. ტექსტში გათვალისწინებულია ანტიდისკრიმინაციული ზომები პრევენციის, ინფორმირებულობის ამაღლებისა და დისკრიმინაციის არსებული ფორმების აღმოფხვრის სფეროებში. ეს არის პროგრესული დოკუმენტი, რომელშიც შესულია „ერთდროულად რამდენიმე საფუძველზე დისკრიმინაციის“ და ორსული ქალებისა და დედების დაცვის კონცეფციები. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ დოკუმენტში წამოყენებულია ახალი თანამდებობის, თანასწორობის დაცვის ინსპექტორის შექმნის წინადადება, რომელსაც ექნება უფლებამოსილება, მიიღოს კანონით სავალდებულო გადაწყვეტილებები და დააკისროს ჯარიმები. კონსულტაციების პროცესში დაისვა კითხვები ინსპექტორსა და სახალხო დამცველს შორის ინსტიტუციონალური ურთიერთობის შესახებ. აუცილებელია ამ საკითხის გარკვევა.⁴⁹

2009 წლიდან უმცირესობებთან დაკავშირებულ სტრატეგიებს საფუძვლად ედო ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და მისი სამოქმედო გეგმა. ამ დოკუმენტების მიზანი იყო ქვეყანაში ტოლერანტობისა და პატივისცემის გარემოს შექმნა, თანაბარი შესაძლებლობების მიწოდება ყველასთვის, ეთნიკური უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა ყველა სფეროში და მათი კულტურისა და თვითგამორკვევის/იდენტობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. შეინიშნება გარკვეული კონკრეტული შედეგი, განსაკუთრებით სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში. ეს შედეგი ძირითადად გამოიხატება განათლებისა და იფინანსებასთან დაკავშირებული სფეროებში (გზები, სკოლები).

არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ ექსპერტებსა და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლებთან კონსულტაციების რეჟიმში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დაიწყო უწინ არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის შეფასების პროცესი. ანგარიშის გამოქვეყნება მოსალოდნელია ამა წლის მიწურულს.

⁴⁸ „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“.

⁴⁹ ტოლერანტობის ცენტრი, ეთნიკური უმცირესობების საბჭო და რელიგიათა საბჭო.

კონკრეტულ სამოქმედო გეგმასთან ერთად, ეს შეფასება უნდა გახდეს კარგი საფუძველი სამომავლო პოლიტიკისათვის. ამ პროცესში აუცილებელია სერიოზული სტრატეგიული დისკუსიის ჩატარება რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ზემოხსენებული ქარტიის რატიფიცირების სარგებლიანობის შესახებ.

4.2 ეთნიკური უმცირესობები

უკანასკნელი, 2002 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, უმცირესობები შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 16%-ს.⁵⁰ უმცირესობებთან მიმართებით დაუყოვნებლივ უნდა იყოს გათვალისწინებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს რეკომენდაციები⁵¹, ასევე რეკომენდაციები, რომლებიც მიეწოდა საქართველოს საერთაშორისო ინსტიტუტებისაგან, როგორცაა, მაგალითად: ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო-კონვენციის მრჩეველთა საბჭო, ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი. ეს რეკომენდაციები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- აქამდე ჩატარებული, წარმატებული სამუშაოების გაგრძელება უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად.⁵² გასაგებია, რომ ეს არის რთული საკითხი, რომელიც ითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს, მაგრამ დღემდე ჩატარებული წარმატებული საქმის შესანარჩუნებლად, აუცილებელია ეს თემა დარჩეს პრიორიტეტად. როგორც ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო-კონვენციის მრჩეველთა საბჭომ აღნიშნა, ქართული ენის პოპულარიზაციის პოლიტიკის განხორციელება არ უნდა მიმდინარეობდეს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ენობრივი უფლებების საზიანოდ.⁵³
- შემდგომი ნაბიჯების გადადგმა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. ასეთი მონაწილეობა დღესაც შეზღუდულია როგორც იურიდიული, ისე პრაქტიკული ფაქტორებით. აუცილებელია უმცირესობათა წარმომადგენლობის ზრდის ხელშეწყობა არჩევით უწყებებსა და საჯარო სამსახურში, აგრეთვე პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობის წახალისება.
- შემდგომი ნაბიჯები უმცირესობებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით კი, მედიის სფეროში. მას შემდეგ, რაც 2012 წელს რუსულენოვანი არხი - „პიკტვ-მ“ შეწყვიტა მუშაობა, სომხებით დასახლებული რაიონების ადგილობრივმა თანამდებობის პირებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ აღარ

⁵⁰ მათგან აზერბაიჯანელები შეადგენენ მოსახლეობის დაახლოებით 6.5%-ს, ხოლო სომხები - 5.7%-ს. ისინი ძირითადად დასახლებული არიან ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. სხვა ეთნიკური უმცირესობების რიცხვში შედიან: რუსები, ოსები, იეზიდები და ქურთები, ბერძნები, უკრაინელები, აფხაზები, ასურელები და ებრაელები.

⁵¹ სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭო, „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები“, 2012 წელი.

⁵² კონსტიტუციის თანახმად, ქართული ენა არის სახელმწიფო ენა, ხოლო აფხაზური ენა – ოფიციალური ენა აფხაზეთის რეგიონში.

⁵³ ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო-კონვენციის მრჩეველთა საბჭო, „დასკვნა საქართველოს შესახებ“, 2009 წლის მარტი.

არსებობდა საინფორმაციო გამოშვებები საქართველოს შესახებ იმ ენაზე, რომელიც უმცირესობებისათვის იქნებოდა გასაგები.⁵⁴

- უმცირესობათა მიმართ ტოლერანტობისა და პატივისცემის შესახებ მოსახლეობის უმრავლესობის წარმომადგენელთა ინფორმირებულობის გაზრდისკენ მიმართული ძალისხმევის შემდგომი გაძლიერება.⁵⁵ ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ უმცირესობათა ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი პარამეტრი არის უმრავლესობის მზადყოფნა ამ ინტეგრაციისათვის.
- იმავე სულისკვეთებით უნდა გაგრძელდეს საგანმანათლებლო მასალების განხილვა, რათა აღმოიფხვრას ყველა არასწორი წარმოდგენა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ.⁵⁶ ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მედიის ინფორმირებულობა სტერეოტიპებისა და მიკერძობების შესახებ და წახალისებული იყოს ინფორმაციის ობიექტური გაშუქება.

ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მესხეთის რეგიონში (დღევანდელი სამცხე-ჯავახეთი) სტალინის მიერ 1944 წელს მათ დეპორტაციამდე მცხოვრები მოსახლეობის რეპატრაციას. თუმცა, ბუნებრივია, რომ რეპატრიანტების დაბრუნებამ შეიძლება გარკვეული დამაბულობა გამოიწვიოს. ამიტომ აუცილებელია ყველა ძალისხმევის მიმართვა რთული ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებისა და სწრაფი დაძლევისაკენ,⁵⁷ ასევე იმისაკენ, რომ უზრუნველყოფილი იყოს დაბრუნებულთათვის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის პროგრამები. გარდა იმ პოზიტიური გავლენისა, რომელსაც მათი დაბრუნება იქონიებს ამ ადამიანებზე, ამ პროცესს უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა წარმოაჩინოს მესხეთის მოსახლეობის რეპატრაცია როგორც სამაგალითო მოვლენა და დაამტკიცოს, რომ მას ხელეწიფება და აქვს ნება იმისა, რომ შეძლებისდაგვარად გამოასწოროს წარსულში ჩადენილი დარღვევები, მიუხედავად იმისა, თუ რა კონტექსტში მოხდა ეს დარღვევები. მიმდინარე საერთაშორისო/ევროკავშირის დაფინანსების გარდა, ამ მიზნისთვის უნდა გამოიყოს საჯარო სახსრებიც.

ეთნიკური უმცირესობისადმი კუთვნილება ხშირად გვევლინება როგორც სიღარიბისა და მარგინალიზაციის მნიშვნელოვანი მიზეზი. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ სტრატეგიებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ გამორჩეულად მოწყვლად ჯგუფებს, რომლებიც პრაქტიკაში ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის ერთდროულად რამდენიმე ფორმის მსხვერპლი. ბოშები, მაგალითად, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ასეთ ჯგუფად.⁵⁸

⁵⁴ „უმ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, „ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოში“, 2012 წელი.

⁵⁵ იხ. რელიგიური უმცირესობების საბჭოს რეკომენდაციები.

⁵⁶ ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, „ანგარიში საქართველოს შესახებ“, 2010 წლის ივნისი.

⁵⁷ 2013 აგვისტომდე 1058 პირს მიენიჭა რეპატრიანტის სტატუსი და 7 პირს - საქართველოს მოქალაქეობა. თუმცა, რეალურად რეპატრაცია ვერ განხორციელდა ადმინისტრაციული დაბრკოლებების გამო.

⁵⁸ უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის განცხადების თანახმად, საქართველოში ბოშები აწყდებიან შემდეგ პრობლემებს: სიღარიბეს, უმუშევრობას, განათლებისა და ჯანდაცვის ნაკლებობას, ასევე იზოლაციას ფართო საზოგადოებისაგან, რაც გახლავთ ფართოდ გავრცელებული მიკერძობებული დამოკიდებულების შედეგი. მათი რაოდენობა განისაზღვრება 1500 ადამიანით და მათგან არც ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე არ სახლობს 300 ბოშაზე მეტი.

ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განსაკუთრებული სიმდიდრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ამის შესანარჩუნებლად კი აუცილებელია ინტეგრაციის ასიმილაციასთან გაიგივების თავიდან აცილება. ასევე აუცილებელია უმცირესობებისათვის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების საშუალების მიცემა. ეს კი მოითხოვს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ყველა იმ სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც მათ ეხება. საქართველოს ახალ ხელისუფლებას აქვს ამ სფეროში წარსულში ჩადენილ უსამართლობათა გამოსწორების უნიკალური შესაძლებლობა. მან უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და ხელი გაუწოდოს აფხაზებსა და ოსებსაც. აუცილებელია მნიშვნელოვანი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ურთიერთნდობის უზრუნველსაყოფად, კულტურული, ეკონომიკური და სხვა კავშირების განმტკიცების ჩათვლით.

4.3 რელიგიური უმცირესობები

წინა ხელისუფლების მიერ რელიგიურ შეუწყნარებლობასთან ბრძოლისა და რელიგიურ უმცირესობებთან პროდუქტიული დიალოგის წარმართვის მიზნით გადადგმული ნაბიჯები შეიძლება დადებითად შეფასდეს. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 83% თავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრად მიიჩნევს, 2011 წელს ისეთი კანონის მიღება, რომლის ძალითაც რელიგიურ დენომინაციებსა თუ ჯგუფებს მიეცათ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტატუსით (ნაცვლად არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსისა) რეგისტრაციის უფლება, მნიშვნელოვანი და მოსაწონი მოვლენა იყო. ღიად რჩება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული და 1990-იან წლებში საქართველოს მართლმადიდებელთათვის გადაცემული ეკლესიების კანონიერი მფლობელებისათვის დაბრუნების საკითხი. დღემდე ვერც სომხეთის ეპარქიებმა და ვერც კათალიკოსმა ვერ მოახერხეს მათი დაბრუნება. ეს რთული საკითხია, რომელიც მოითხოვს შემდგომ მოლაპარაკებებს. ეს საკითხი ეხება არა მხოლოდ საკუთრების უფლებას, არამედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვასაც.

შეუწყნარებლობისა და ძალადობის არაერთი ეპიზოდი დღეს უკიდურეს შემფოთებას იწვევს. როდესაც საქმე ეხება რელიგიურ შეუწყნარებლობას, ამჟამინდელი ხელისუფლების რეაქცია, როგორც პოლიტიკურ დონეზე, ისე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ჩარევის თვალსაზრისით, ზოგადად, არაადამაკმაყოფილებლად შეფასდა.⁵⁹ ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო ფაქტი მოხდა აგვისტოში ერთ-ერთ პატარა სოფელში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, როდესაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოახდინა მინარეთის დემონტაჟი მისი, სავარაუდოდ, უნებართვოდ მშენებლობის საფუძველზე, რამაც გამოიწვია გაუმართლებელი

⁵⁹გამონაკლისია 2013 წლის აპრილში თავდაცვის მინისტრის მცისიერი გამოხმაურება, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობებისაგან გაათავისუფლა რამდენიმე სამხედრო პოლიციელი მას შემდეგ, რაც სოფელ ციხისძირში (თურქეთის მომიჯნავე რეგიონი, აჭარა, სადაც მუსულმანი ქართველები ცხოვრობენ) მოხდა სერიოზული სიტყვიერი და ფიზიკური კონფრონტაცია ადგილობრივებთან.

ძალადობა.⁶⁰ სახელმწიფოს მყისიერ და მიზანმიმართულ ჩარევას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ვალდებულების შესასრულებლად, დაიცვას ყველა მოქალაქის რელიგიისა და მრწამსის თავისუფლება. სახალხო დამცველმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა არაერთხელ გამოთქვეს შეშფოთება არამუსულმანი თანასოფლელების მხრიდან მუსულმანთა წინააღმდეგ შეუწყნარებლობისა და ძალადობის გამომხატველი მოქმედების გამო.

ადგილობრივი ხელისუფლების რეაქცია ამ შემთხვევაში არაადეკვატური იყო. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მოძალადეები და ადგილობრივი ხელისუფლება, სამართალდამცავი ორგანოების ჩათვლით, შეთანხმებულად მოქმედებდნენ, რამაც, შესაძლოა, გარკვეულწილად გამოიწვია ასეთი ინციდენტების გამეორება და გავრცელება სხვა სოფლებშიც. ეს კი მიუღებელია. ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ მკაფიოდუნდა განაცხადონ, რომ დევნა, დაშინება და ძალადობა რელიგიის საფუძველზე მიუღებელია და დაისჯება კანონით გათვალისწინებული სრული სიმკაცრით. პარლამენტის წევრებმა საკვანძო როლი უნდა შეასრულონ ინფორმირებულობის დონის ამაღლების თვალსაზრისით.⁶¹ ამ შემთხვევაში, სახალხო დამცველის დამოკიდებულება სამაგალითო იყო. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის დასწრებამ პარასკევის ღამეებზე შეახსენა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ სხვადასხვა მრწამსის მიმდევარ მეზობელთა შორის დაძაბულობის განმუხტვა სწორედ მათი მოვალეობაა.⁶²

4.4 სექსუალური უმცირესობები

ლგბტ აქტივისტების ცდა, მშვიდობიანად აღენიშნათ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე 2012 და 2013 წლებში, ჩაიშალა. 2013 წლის 17 მაისს საქართველო აღმოჩნდა საერთაშორისო მასმედიის ყურადღების ცენტრში, როდესაც კანონით ნებადართული და სრულიად მშვიდობიანი თავყრილობა ჰომოფობიის წინააღმდეგ დაარბია ხალხმრავალი კონტრდემონსტრაციის ათასობით მონაწილემ. ამ ინციდენტში საქართველოს მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა აქტიური როლი შეასრულეს. პოლიციის ქვედანაყოფები არასათანადოდ მომზადებული აღმოჩნდნენ და ვერ შეაკავეს კონტრდემონსტრანტების გააფთრებული მასა.⁶³ მაღალი თანამდებობის პირებმა, მათ შორის, პრემიერ-მინისტრმაც, დაუყოვნებლივ დაგმეს თბილისის ქუჩებში

⁶⁰<http://www.civil.ge/eng/article.php?id=264011> სექტემბერს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო სამინისტრომ განახორციელა მართლმადიდებელი ქრისტიანების ლობირება, რათა მინარეთი დაბრუნებულიყო ადგილზე, და მოუწოდა ადგილობრივ მუსულმანებს, მოითხოვნ შესაბამისი ნებართვა.

⁶¹სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა რამდენიმე განცხადება, რომელშიც ხელისუფლებას მოუწოდა მყისიერი და პოზიტიური გამოხმაურებისაკენ მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელი ქრისტიანები (უმრავლესობა) რამდენჯერმე შეეცადნენ, არ დაეშვათ მუსლიმანთა შეკრება სამლოცველოში (მაგალითად, სამთაწყაროში, აზერბაიჯანის მოსაზღვრე სოფელში, რომელიც დასახლებულია 1970-იან წლებში აჭარისადმი მიმდებარებული ეთნიკური ქართველებით).

⁶²http://www.forum18.org/archive.php?article_id=1854

⁶³<http://www.civil.ge/eng/article.php?id=26073>

დატრიალებული ძალადობა და შეუწყნარებლობა. მათ განცხადებებს საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.⁶⁴

მართალია მიიჩნევა, რომ სიტუაციის გამდაფრების კვლადაკვალ პოლიციამ მოახერხა უსაფრთხო კორიდორის შექმნა ლგბტ აქტივისტების სამშვიდობოს გასაყვანად, არსებობს უფრო სერიოზული შეშფოთება მართლმსაჯულების სისტემის შემდგომი რეაქციის გამო. დღესდღეობით ჭიანურდება სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესი, მიუხედავად (როგორც აცხადებენ) სერიოზული სამხილებისა ზოგიერთი მოძალადე კონტრდემონსტრანტის წინააღმდეგ. ეს კონტრდემონსტრაცია იყო ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ დეზინფორმაციის კამპანიის შედეგი. ექვმიტანილი ჰომოფობი აქტივისტების სასამართლო პროცესებს უნდა ახლდეს ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება. მკაფიოდ უნდა გაცხადდეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეხედულებები შეიძლება განსხვავდებოდეს, ძალადობა სრულიად მიუღებელია.

ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ, რომლებიც სულ ახლახანს აწყდებოდნენ უკიდურესად ჰომოფობიურ გარემოს, ძალიან მოკლე დროში მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ჰომოფობიასთან ბრძოლაში.⁶⁵ უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მზადყოფნა ამ პრობლემასთან გამკლავებისთვის და მიზანმიმართულობა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. ამავდროულად, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მკაფიოდ უნდა განაცხადოს, რომ ის ეწინააღმდეგება ლგბტ წარმომადგენელთა ან მათი უფლებების დამცველთა ჯგუფების წინააღმდეგ ძალადობის ნებისმიერ ფორმას.

ლგბტ წარმომადგენელთა მდგომარეობის შესახებ ცოდნისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების აუცილებლობა მნიშვნელოვნად სცდება მხოლოდ ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს დატრიალებული ძალადობის ფარგლებს. საყოველთაოდ ცნობილი უნდა გახდეს, რომ ეს საკითხი ეხება არა ცხოვრების გარკვეული წესის ეგრეთ წოდებულ პროპაგანდას, არამედ ყველა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას.

არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლნი თავს არიდებენ პოლიციაში საჩივრის შეტანას, არა მხოლოდ ჰომოფობიური დამოკიდებულების გამო, რომელიც, როგორც ისინი შიშობენ, პოლიციელთა მხრიდან მოდის, არამედ იმიტომაც, რომ მათი რეალური თუ მოჩვენებითი სექსუალური ორიენტაცია ცნობილი გახდება მათი ოჯახის წევრებისათვის. ეს კი მიუთითებს, თუ რაოდენ ღრმად არის ფესვგადგმული და დასაძლევად რაოდენ რთული შეიძლება იყოს ეს პრობლემა. მიუხედავად ამისა, ეს ვერ იქნება ამ საკითხის უფლებელყოფის გამამართლებელი.

⁶⁴ www.civil.ge/eng/article.php?id=26081, www.civil.ge/eng/article.php?id=26084, or www.civil.ge/eng/article.php?id=26067

⁶⁵ იხ. მაგალითად, ჩერნოგორიის 2013-2018 წლების სტრატეგია ლგბტ პირების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

5 საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, საქართველოს პოსტსაბჭოთა ისტორიაში პირველად განხორციელდა ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაცემა. ეუთოს დამკვირვებლების დასკვნის მიხედვით, ეს არჩევნები იყო „ეუთოსა და ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების თანახმად დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრაქტიკის განსამტკიცებლად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, თუმცა კვლავ არსებობს ზოგიერთი ძირეული საკითხის მოგვარების აუცილებლობა“.⁶⁶

მოსაგვარებელი საკითხების რიცხვში შედიოდა ეჭვები და ბრალდებები ამომრჩეველთა მოსყიდვასთან დაკავშირებით, არაკანონიერი ფინანსური შემოწირულობები და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება. ეუთოსა⁶⁷ და არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლები იუწყებოდნენ, რომ ხელისუფლების მიერ ჩატარებული არჩევნებისათვის მოსამზადებელი სამუშაო არ გამოირჩეოდა პოლიტიკური მიუკერძოებლობით.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2011 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ ვკითხულობთ, რომ „ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წევრები იუწყებიან მათი მხრიდან პარტიულ საქმიანობაში ჩართვის შემთხვევაში მუქარით აღსავსე სატელეფონო ზარების, ასევე ადგილობრივი პოლიციის მიერ მათი თვალთვალის შემთხვევების შესახებ, რომელიც ხორციელდებოდა მანქანებიდან, განმასხვავებელი ნიშნების გარეშე. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თანახმად, ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიასთან მისი შეხვედრისას სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში მიმდინარეობდა ფირზე ფარული ჩაწერა. ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წევრები ასევე იუწყებოდნენ მასწავლებლის სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შესახებ“.⁶⁸

ზოგიერთი საჩივრის სანდოობას შეიძლება ეჭვქვეშ აყენებდეს მათში პარტიულ-პოლიტიკური ინტერესების არსებობა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური თვალთვალის მასშტაბი ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ ჩაწერილი 24000 ვიდეო- და აუდიოფირიდან დაახლოებით 17000 პოლიტიკურ და ბიზნეს საქმიანობას ეხებოდა.

⁶⁶ ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, საბოლოო ანგარიში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ საქართველოში, 2012 წლის დეკემბერი.

⁶⁷ ეუთოს აზრით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებთაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის მოვალეობებშიც შედიოდა წინასარჩევნო პროცესში დარღვევების დადგენა და მათზე რეაგირება, ზოგჯერ სცდებოდა მისთვის მინიჭებული მანდატის ფარგლებს. ეუთომ ასევე დაადანაშაულა სახელმწიფო აუდიტის სამსახური პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის დებულებათა გატარებისას ძალაუფლების თვითნებურად გამოყენებაში, რაც, ძირითადად, მიმართული იყო ოპოზიციის წინააღმდეგ.

⁶⁸ US Department of State, [Report on Human Rights in Georgia](#), 2012.

მას შემდეგ, რაც 2011 წლის ოქტომბრის დასაწყისში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, იმჟამინდელმა ხელისუფლებამ მას და მის მეუღლეს ჩამოართვა საქართველოს მოქალაქეობა იმ მიზეზით, რომ ისინი იმავდროულად საფრანგეთის მოქალაქეებიც იყვნენ. 2012 წლის აპრილში სამოქალაქო რეესტრმა უარყო ივანიშვილის თხოვნა ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების შესახებ. ერთი თვის შემდეგ, სავარაუდოდ, ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე კრიტიკის შედეგად, პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი, რომელიც ივანიშვილს საშუალებას მისცემდა, კენჭი ეყარა საპარლამენტო არჩევნებში, რაზეც მან, საბოლოო ჯამში, უარი განაცხადა.

ოქტომბრის მიწურულს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის სამართლიანობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც წარსულში ეფექტურად მუშაობდა გამოწვევების მიუხედავად, გადამწყვეტ როლს ითამაშებს ამ პროცესებში.

5.1 საზოგადოებრივი აქტივობები

2008 წლიდან მოყოლებული ეუთოს ანგარიშებში არჩევნების შესახებ აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში შეკრების, გაერთიანებისა და გამოხატვის უფლება ძირითადად დაცული იყო, თუმცა საზოგადოებრივი აქტივობების დროს დაფიქსირდა ამა თუ იმ პარტიის აქტივისტების დევნისა და დაშინების ფაქტები.

2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციის მასობრივ შეკრებათა უმრავლესობა ყოველგვარი ინციდენტების გარეშე წარიმართა, თუმცა სხვადასხვა სოფელში უფრო მცირემასშტაბიანი ვიზიტების დროს დაფიქსირდა ფიზიკური თავდასხმის რამდენიმე შემთხვევა. პოლიცია ამ ინციდენტებში არ ერეოდა ან საერთოდ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე.⁶⁹

მომდევნო 9 თვის განმავლობაში საქართველოში ჩატარდება კიდევ 2 არჩევნები. ამჟამად მიმდინარეობს საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია. წინა არჩევნებთან შედარებით, გარემო ზოგადად უფრო მშვიდობიანია, თუმცა დაფიქსირდა რამდენიმე ინციდენტიც.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაატარა ე.წ. პრაიმერი, 6 ეტაპად, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. 2013 წლის 20 ივლისს, ზუგდიდში, წინასაარჩევნო აქციის დაწყებამდე გააფთრებული მასა თავს დაესხა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს. პარტიული თავყრილობის სრულფასოვნად ჩატარების უზრუნველსაყოფად, პოლიციამ უზრუნველყო

⁶⁹მაგალითად, 2012 წლის 10 ივლისს, როდესაც სოფელ კარალეთში ხელისუფლების მხარდამჭერებმა დაუწყეს ქვების სროლა ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიის მონაწილეებს და სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ მათ. 13 ადამიანი, მათ შორის, 10 ჟურნალისტი, დაშავდა და გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. როგორც იუწყებიან, პოლიცია არ ჩაერია ინციდენტში, რათა შეეკავებინა თავდამსხმელები, თუმცა მოგვიანებით დააკავეს 6 მოქალაქე, ოპოზიციის 4 წევრის ჩათვლით. იხ.: Human Rights Watch, World Report 2013: [Georgia](#).

უსაფრთხო კორიდორები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებისათვის. 12 თავდამსხმელი დააკავეს და მათ წინააღმდეგ აღიძრა სასამართლო საქმე.⁷⁰

პრაიმერის ფარგლებში ჩატარებული შემდეგი პარტიული თავყრილობა გაიმართა ბათუმში, 21 ივლისს, რომლის მსვლელობაც ასევე დაირღვა ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ გამოსულთა მიერ, რის შედეგადაც დააკავეს 2 ადამიანი.⁷¹ უსაფრთხო დერეფნის უზრუნველყოფა პოლიციის მიერ აუცილებელი გახდა თბილისში, პრაიმერის ფარგლებში გამართული დასკვნითი ღონისძიების დროსაც. ამ შემთხვევაშიც დააკავეს 2 მოქალაქე. ყველა დაკავებულს სასამართლომ შეუფარდა ჯარიმა 100 ლარის ოდენობით. როგორც ოპოზიცია აცხადებს, სასჯელის ეს ზომა არასაკმარისად ეფექტურია იმისათვის, რათა მომავალში შესაძლებელი იყოს ფიზიკური თავდასხმის თავიდან აცილება. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ეს სანქცია გამოიყენა მოსამართლემ და შეუძლებელია ჩარევა ხელისუფლების მხრიდან.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) ანგარიშში ვკითხულობთ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრაიმერის მიმდინარეობისას გამოვლინდა ძალადობრივი მოქმედებები, რომლებიც ორგანიზებული იყო ყოფილი პოლიტპატიმრებისა და ყოფილი სახელისუფლებო პარტიის მიმართ რადიკალურად განწყობილი ცალკეული ჯგუფების მიერ. მიუხედავად აგრესიისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყო პრაიმერის მონაწილე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა უსაფრთხოება“.⁷²

მიუღებელია, როცა ადამიანები, რაოდენ გამწარებული და დაზარალებული არ უნდა იყვნენ ისინი წინა ხელისუფლების ქმედებების შედეგად, იყენებენ დაშინებასა და ძალადობას და ამით ზღუდავენ სხვათა გამოხატვისა და შეკრების უფლებას. მათ, ვინც თვლის, რომ კანონდარღვევისა თუ უსამართლობის მსხვერპლნი არიან, სამართლიანობის აღსადგენად უნდა მიმართონ სასამართლოს. პასუხისმგებლობა პარტიის წევრთა და მხარდამჭერთა დისციპლინაზე, პირველ ყოვლისა, შესაბამის პოლიტიკურ პარტიებს აკისრიათ. ზუგდიდის ინციდენტის გამო დაჯარიმებულ პირთა შორის იყვნენ წარმომადგენლებიც „ქართული ოცნებიდან“. როგორც იუწყებიან, პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ისინი გაათავისუფლა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აფერხებს ოპოზიციის მუშაობას, არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის დაკავება, რომელიც ამჟამად წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. მას წაუყენეს რამდენიმე ბრალდება, დაწყებული ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივი გამოყენებით და დამთავრებული სანდრო გვირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიებისათვის ხელის შეშლით.

⁷⁰<http://www.france24.com/en/20130720-georgia-arrests-12-opposition-leaders-assaulted>

⁷¹<http://www.civil.ge/eng/article.php?id=26294>

⁷²<http://www.isfed.ge/main/422/geo/>

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ წარადგინა არგუმენტები პატიმრობის მოთხოვნის სასარგებლოდ, ამ სანქციის გამოყენებამ წინასაარჩევნო პერიოდში საერთაშორისო დონეზე შეშფოთება გამოიწვია. კეტრინ ემტონმა (ევროკავშირის უმაღლესი კომისარი/ვიცე-პრეზიდენტი) და კომისარმა შტეფან ფულემ გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც მოითხოვეს სამართლიანობისა და სათანადო სასამართლო პროცესის პრინციპების მკაცრი დაცვა. პოლიტიკური მოტივაციით დაკავება და გასამართლება აბსოლუტურად მიუღებელია.

ამ ფონზე ცხადია, რომ განხორციელება ბატონი მერაბიშვილის, ისევე, როგორც სხვა მაღალი თანამდებობის პირთა, სასამართლო პროცესის დეტალური და ზედმიწევნით მონიტორინგი.

ახლახან პრემიერ-მინისტრმა თხოვნით მიმართა მთავარ პროკურატურასა და პოლიციას, მოერიდონ იმ ექვმიტანილთა დაკავებას და მათი უფლებების სხვა კანონიერი გზებით შეზღუდვას, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებში, გარდა შემთხვევებისა, როცა არსებობს ამის დასაბუთებული და გადაუდებელი საჭიროება.⁷³

ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ პროკურატურაში დაიკითხა 6156 პირი, რომელთა უმრავლესობასაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები წარმოადგენენ. ეს პირები დაიკითხნენ მოწმეთა სტატუსით რიგი სამართალდარღვევების გამოძიების ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივად გამოყენებისა და ფულის გათეთრების ჩათვლით. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ დაკითხულთა რაოდენობა გაცილებით მაღალია (10 000-ზე მეტი ადამიანი, პარტიის წევრი და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომელი) თვლის, რომ ეს დაკითხვები ოპოზიციაზე პოლიტიკურად მოტივირებული შეტევაა. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 35 ყოფილ თანამდებობის პირს წაუყენეს ბრალდებები, მათგან 14 იმყოფება წინასწარი დაკავების დაწესებულებაში, 14 გათავისუფლებულია გირაოს სანაცვლოდ, ხოლო 1 გათავისუფლებულია რაიმე აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების გარეშე. 5-მა ექვმიტანილმა დატოვა ქვეყანა. ათეულობით სხვა ყოფილ სახელმწიფო მოხელეს ასევე წაუყენეს ბრალი და გაასამართლეს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირება ეხებოდა სამართლიანობის აღდგენას. ერთი მხრივ, ეს მნიშვნელოვანია რეალურ თუ სავარაუდო დაუსჯელობასთან საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, მეორე მხრივ კი, აუცილებელია გამჭვირვალე და

⁷³http://Government.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=270&info_id=37574

სამართლიანი პროცესების უზრუნველყოფა, რომლებიც თავისუფალი იქნება პოლიტიკური ჩარევის ნებისმიერი ფორმისაგან.

5.2 ადგილობრივი მმართველობა

ადგილობრივი არჩევნების ჩატარება დაგეგმილია 2014 წლის გაზაფხულზე, თუმცა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა უკვე გამოიწვია ცვლილებები მუნიციპალიტეტების დონეზე. გამგებლები და საკრებულოთა თავმჯდომარეები და ადგილობრივი საკრებულოების სხვა წევრები გადადგნენ ან მეორე მხარეს გადავიდნენ. რამდენიმე მუნიციპალიტეტში კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა გამართეს დემონსტრაციები ადგილობრივი ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ გააპროტესტა ეს და სხვა სახის ზეწოლა მის წარმომადგენლებზე.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ თანახმად, მთელი საქართველოს მასშტაბით გადადგა 50 გამგებელი, მათ შორის, 48 გადადგა საკუთარი ნებით, ხოლო დანარჩენი 2 – საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე. იმავე პერიოდში გადადგა 25 საკრებულოს თავმჯდომარე, მათ შორის, 21 გადადგა საკუთარი ნებით, ხოლო 4 – საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ადგილობრივ დონეზე ასევე დაფიქსირდა რიგითი თანამშრომლების გათავისუფლების ფაქტებიც, ბევრი მათგანი გათავისუფლდა აშკარად პოლიტიკური ნიშნით. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ ეს ტენდენციებიც შეისწავლა. ამ ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ოფიციალური ანგარიშების მიხედვით, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 28 თებერვლამდე 1877 თანამშრომელი⁷⁴ გაათავისუფლეს. უმრავლესობამ ნებაყოფლობით დატოვა სამუშაო ადგილი. ბევრ შემთხვევაში თანამშრომლებმა ერთსა და იმავე დღეს შეიტანეს განცხადება სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, რაც იწვევს სერიოზულ ეჭვებს მათ იძულებასთან დაკავშირებით.

ზოგიერთ შემთხვევაში გათავისუფლებული საჯარო მოხელეები ადასტურებენ, რომ მათი გადადგომა ზემდგომთა მხრიდან ზეწოლის შედეგი იყო, თუმცა უმრავლესობა თავს არიდებს ამ ფაქტზე საჯაროდ ლაპარაკს. ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ისინი ითვალისწინებდნენ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასა და ხელისუფლების შეცვლის ფაქტორს.⁷⁵

⁷⁴ მუნიციპალიტეტების დონეზე დასაქმებულთა რიცხვი განისაზღვრება დაახლოებით 40000 ადამიანით.

⁷⁵ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, „პოლიტიკური პროცესები, საკადრო ცვლილებები, საპროტესტო აქციები და სამართლებრივი დევნის ფაქტები ადგილობრივ თვითმმართველობებში“, 2013 წლის აპრილი.

პარტიული ნიშნით ახალი თანამშრომლების აყვანის შესახებ იუწყებოდნენ 18 მუნიციპალიტეტში. კონკურსები ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადდა მხოლოდ 6 მუნიციპალიტეტში. პოლიტიკური ნიშნით დანიშნულ პირთა უმრავლესობას კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტები და მხარდამჭერები შეადგენდნენ. გათავისუფლებულ პირთა ნაწილი იუწყებოდა, რომ მათ იძულებით დაატოვებინეს სამუშაო ადგილი და რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ფინანსური პოლიცია დაიბარებდა დაკითხვაზე.

ადგილობრივ მოხელეთა გათავისუფლება ან გადადგომის იძულება მხოლოდ იმიტომ, რომ შეიცვალა ცენტრალური ხელისუფლება, მიუღებელია. თუკი არსებობს მოცემული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ვარაუდის გონივრული საფუძველი, ასეთ შემთხვევებს უნდა განიხილავდეს მართლმსაჯულების სისტემა და არა ცალკეული პირები, რომელთაც შურისძიება ამოძრავებთ. მართალია, ხელისუფლების შეცვლის შემდგომ გარკვეული ცვლილებები ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში არსებული მონაცემები/რიცხვები უკიდურესად მაღალია. თავდაპირველად ცენტრალური ხელისუფლება თავს არიდებდა ამ პროცესში ჩარევას, მაგრამ მოგვიანებით შეიქმნა პრემიერ მინისტრის კაბინეტთან არსებული საშუამავლო უწყება ხსენებულ მოვლენებზე მონიტორინგის განსახორციელებლად და იმის საგარანტიოდ, რომ ამ პრობლემების გადაჭრაზე გამიზნული პოლიტიკური გზავნილები მოდიოდა ზემოდან.

პირებს, რომელთა გათავისუფლებაც საეჭვოა და რომლებსაც გადადგომისაკენ მათი ნების საწინააღმდეგოდ უბიძგეს, უნდა მიეცეთ სამართლიანობის აღდგენის საშუალება. წარსულში მოუქნელი საკანონმდებლო ბაზის პრობლემა ნაწილობრივ გადაიჭრა გაუმჯობესებული შრომის კოდექსის მიღების შედეგად. კვლავ სახეზეა ადეკვატური საჯარო სამსახურის შესახებ კანონის უზრუნველყოფის აუცილებლობა, თუმცა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად კონსულტაციები დაწყებულია.

ამგვარადვე, ადგილობრივ დონეზე თანამდებობებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა დანიშვნა შესაბამისი კონკურსების ჩატარების გარეშე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ეს მოვლენები ცხადყოფს ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის სერიოზულ ნაკლებობას. ხელისუფლებამ ყველა დონეზე დაუყოვნებლივ უნდა უპასუხოს ამ პრობლემას. აუცილებელია ინფორმირებულობის ზრდაზე ორიენტირებული ინციატივებისა და სხვა შესაბამისი ზომების მიღება.

გარდა ამისა, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა მოახდინეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შენობათა პიკეტირება, ხოლო პოლიციამ არ დააკავა ეს პირები და/ან ვერ უზრუნველყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან საკრებულოს წევრთა უსაფრთხოება. წინა მმართველი პარტიის წევრების მიმართ რისხვა არ ამართლებს დაშინებასა და ძალადობას ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე. ასეთ პირობებში უსაფრთხოების უზრუნველყოფა პოლიციის მოვალეობაა. **გარდა ამისა, ახალ უმრავლესობას**

აკისრია საქართველოში პოლიტიკური კულტურის განვითარების პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს მხარდამჭერთათვის ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, რომ დევნა, დაშინება და ძალადობა მიუღებელია. საჩივრები კი მთავარ პროკურატურაში უნდა იყოს შეტანილი.

ოპოზიცია აცხადებს, რომ აღნიშნული ქმედებები წარმოადგენდა ორგანიზებულ მცდელობებს, რომელთა მიზანია ადგილობრივ დონეზე ლიდერების შეცვლა. ხელისუფლება კი ამ ბრალდებებს უარყოფს. მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები თვლიან, რომ ფინანსური პოლიციის მიერ განხორციელებული მუნიციპალური ბიუჯეტის აუდიტი მიუთითებს „ქართული ოცნების“ სურვილზე, განიმტკიცოს პოლიტიკური ბაზა რეგიონებში. ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებისა და ელიტარულ კორუფციასთან დაკავშირებული ეჭვების გათვალისწინებით, ახალ ხელისუფლებას მართლაც შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების კანონიერი სურვილი. მიუხედავად ამისა, ასეთი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს დაშინებად და ეს არ უწყობს ხელს ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას ადგილობრივ თვითმმართველობაში.

5.3. ქალთა და უმცირესობათა მონაწილეობა

2012 წლის 1 ოქტომბერს არჩეული პარლამენტის 150 წევრიდან 18 ქალია. ეს რიცხვი გაორმაგდა წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით, თუმცა მაინც დაბალია. ხუთი ვიცე-სპიკერიდან ერთ-ერთი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეები ქალები არიან. 19 წევრისაგან შემდგარ მინისტრთა კაბინეტში 4 ქალია, ხოლო უზენაესი სასამართლოს 14 წევრიდან 3 ქალია.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსის საფუძველზე პარტიებისათვის დადგენილია ფინანსური წახალისება საარჩევნო სიებში ქალთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, ვერც ნაციონალურმა მოძრაობამ და ვერც „ქართულმა ოცნებამ“ ვერ დააკმაყოფილა ნებაყოფლობითი კვოტა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო დაფინანსების გასაზრდელად. მეორე მხრივ, რამდენიმე უფრო მცირერიცხოვანმა პარტიამ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. ახლახან პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საარჩევნო სიებში ქალთა რაოდენობის გაზრდისათვის დამატებითი დაფინანსების სახით წახალისებას. პოლიტიკური პარტიები მიიღებენ სახელმწიფო დაფინანსების დამატებით 30%-ს, თუკი მათ პარტიულ საარჩევნო სიებში ყოველი 10 კანდიდატიდან არანაკლებ 3 ქალია.

რამდენიმე პარტიამ და კოალიციამ საარჩევნო სიებში შეიყვანა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, როგორც მაჟორიტარი კანდიდატები, და დაასახელა ისინი იმ რაიონებში, სადაც უმცირესობები წარმოადგენენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. ახალ პარლამენტში არის სამი ეთნიკური სომეხი, 3 ეთნიკური აზერბაიჯანელი და 1 ეთნიკური

ოსი, თუმცა უმცირესობათა არც ერთი წარმომადგენელი არ არის მინისტრთა კაბინეტში, უზენაეს სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოში.

როგორც აღნიშნულია თავში უმცირესობათა შესახებ და ქვეთავში ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, უმცირესობათა და ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ნამდვილად ვერ ჩაითვლება საკმარისად და დამაკმაყოფილებლად. ხელისუფლებამ ყველა დონეზე და, რასაკვირველია, სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალამ უნდა გამოჩინოს ძალისხმევა და გააუმჯობესოს საკუთარი მდგომარეობა ინკლუზიურობის კუთხით. 2014 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი არჩევნები მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება ამ თვალსაზრისით.

5.4 სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენება

2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე საქართველოს პოლიტიკური სინამდვილის მთავარი მახასიათებელი იყო ბუნდოვანი ზღვარი ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას შორის. არსებული მდგომარეობის ასეთი აღქმა იძლეოდა უამრავი ბრალდების საფუძველს, რომლებიც, სხვა ბევრ საკითხს შორის, ეხებოდა სახელმწიფო კანონიერი რესურსების ბოროტად გამოყენებას პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებისათვის; კანონის შერჩევით გამოყენებას; სახელმწიფო ფინანსების გამოყენებას საარჩევნო მიზნებისათვის; სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსების გამოყენებას პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებისათვის.

2013 წლის ოქტომბრის მოახლოვებული საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი ყველაზე ხანგრძლივი იქნება საქართველოს ისტორიაში და გასტანს 120 დღეს. გახანგრძლივებული წინასაარჩევნო პერიოდი ნიშნავს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე შეზღუდის უფრო ადრე შემოღებას.⁷⁶ „ქართული ოცნების“ კანდიდატი გადადგა ვიცე-პრემიერისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობიდან.⁷⁷

წარსულში საზოგადოებრივი კამპანიის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების გათვალისწინებით, ახალ მმართველ პარტიას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა და ეძლევა ისტორიული მნიშვნელობის შესაძლებლობა, შეიტანოს გრძელვადიანი ცვლილებები პრაქტიკაში და დაძლიოს ძირეული პრობლემები, რომლებიც გამოწვეული იყო სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ბუნდოვანი ზღვართ. ეს კი მოითხოვს ინფორმირებულობის გაზრდასა და სამოქალაქო განათლებაზე გამიზნულ ინტენსიურ ძალისხმევას ყველა დონეზე და მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით კი 2014 წელს ადგილობრივი არჩევნების გათვალისწინებით.

⁷⁶2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს წინ უსწრებდა ოფიციალური 60-დღიანი კამპანიის პერიოდი, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციები არაერთხელ გამოთქვამდნენ კრიტიკას იმის შესახებ, რომ არაოფიციალური წინასაარჩევნო კამპანია რამდენიმე თვით ადრე დაიწყო.

⁷⁷„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი დაესწრო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ღონისძიებას, სადაც ის წარადგინეს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, და სადაც ის სიტყვით გამოვიდა.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებაში შედის წინასაარჩევნო კამპანიაში შესაძლო დარღვევების შესახებ საჩივრების განხილვა. ეუთო თვლის, რომ ეს არის სასარგებლო ფორუმი დაინტერესებულ პირთა საჭირობოროტო საკითხების განსახილველად. ამ ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც არ არის სავალდებულო, თავიანთ საქმიანობაში დროულად გამოიყენეს შესაბამისმა უწყებებმა. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, სანამ ეს თანამდებობა არ შევიდა იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილების ფარგლებში. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ამით გაიზრდება უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ეფექტურობა.

ახალი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა ყველა პოლიტიკური ჯგუფისათვის უნდა უზრუნველყოს საჭირობოროტო საკითხების წარდგენის შესაძლებლობა. მან ასევე უნდა უზრუნველყოს სამთავრობო უწყებების მიერ შესაძლო კანონდარღვევებზე შესაბამისი რეაგირება.

5.5. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის შემუშავების მიზანი იყო ამომწურავი საკანონმდებლო ბაზის შექმნა პარტიებისა და მათი კამპანიების დაფინანსების დასარეგულირებლად. თუმცა, ეს კანონი შეიცავს ხარვეზებს, ორაზროვან დებულებებსა და არაპროპორციულ სანქციებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მის განხორციელებაზე. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ამ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები, ზემოხსენებული პრობლემები მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დაევალა პარტიებსა და მათ წინასაარჩევნო კამპანიებთან დაკავშირებული კანონის გატარება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიენიჭა ფართო უფლებამოსილება ემოქმედათ საკუთარის შეხედულებისამებრ, თუმცა ამ პროცესში მან ვერ შეინარჩუნა გამჭვირვალობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და თანამიმდევრულობა, მისი სამიზნე კი, პირველ ყოვლისა, ოპოზიცია იყო. ამ მხრივ, დაისვა შეკითხვები სათანადო სასამართლო პროცესისა და მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის ანგარიშში მოცემულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ იმ პერიოდში განხორციელებული გამოძიებების შეფასება: „პოლიტიკური დაშინების პროცესში (როგორც ამას რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები უწოდებდნენ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წამოიწყო წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების შესაძლო დარღვევების აგრესიული გამოძიება [...] და დასაკითხად დაიბარა არანაკლებ 260 ადამიანისა. დაბარებულთა უმრავლესობა დაკავშირებული იყო ოპოზიციურ პარტიებთან. დაკითხვა თითქმის 6 საათი გრძელდებოდა. კეთდებოდა

განცხადებები, რომ ადვოკატებს არ აძლევდნენ დაკითხვაზე დასწრების საშუალებას, ხოლო ზოგიერთ დაკითხვაზე მიყვანილ პირს აიძულებდნენ ტანსაცმლის გახდას და ახორციელებდნენ შემოწმებას „უსაფრთხოების მოსაზრებებით“.⁷⁸

ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური დაფინანსების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა აუცილებელია, მოქალაქეებს არ უნდა გაუქრეთ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის, მათ შორის, მათთვის სასურველი პარტიისა თუ კანდიდატის სასარგებლოდ შეწირულობის გადაცემის სურვილი.

6 გამოხატვის, შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლება

სიტყვისა და მედიის თავისუფლება უზრუნველყოფილია კონსტიტუციითა და სხვა კანონებით. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში მთელი რიგი დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ ეს თავისუფლება არ იყო სრულფასოვნად დაცული. მაგალითად, 2011 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ განაცხადა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს პროგრესული და ლიბერალური კანონები, რომლებიც არეგულირებს მედიასაშუალებების დაარსებასა და ფუნქციონირებას, პრაქტიკაში მედია ისევ ნაკლებად გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და დამოუკიდებელია“.⁷⁹

არსებობდა შეტყობინებები ჟურნალისტებზე ზეწოლის შესახებ. გარდა ამისა, განვითარდა თვითცენზურის ტენდენციები, რაც გამოწვეული იყო წინა შრომით კოდექსში დასაქმების გარანტიების ნაკლებობითა და ხშირ შემთხვევაში პროსახელისუფლებო შეხედულებების მქონე მედიასაშუალებების მფლობელთა მიერ დაწესებული ხისტი სარედაქციო პოლიტიკიდან გადახვევის შემთხვევაში არსებული რისკებით.

უკანასკნელ დროს შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ძვრები მედიასაშუალებათა მფლობელობის გამჭვირვალობის კუთხით. ზოგადად, ყოველდღიური პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მედიასაშუალებებში შეიძლება გაჟღერდეს განსხვავებული მოსაზრებები. თავად მედიასაშუალებებში არსებობს პროფესიონალიზმის დონის ამაღლებისა და საგამომიებო ჟურნალისტიკის სტანდარტებთან შესაბამისობის საშუალება.

შეკრების უფლება გარანტირებულია კონსტიტუციითა და კანონით. 2012 წელს შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები წინადადებული ნაბიჯი იყო, რადგანაც აღმოიფხვრა 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების შემდეგ სწრაფ

⁷⁸US Department of State, [Report on Human Rights in Georgia](#), 2012, p. 38

⁷⁹„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი, 2011წელი.

რეჟიმში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო გამოწვეული პრობლემები.⁸⁰ 2009 წლის ცვლილებებით გაფართოვდა პოლიციის უფლებამოსილება (მაგალითად, რეზინის ტყვიების გამოყენება,⁸¹ „შეჩერება და ზედაპირული შემოწმება“), ხოლო ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გაიზარდა 30-დან 90 დღემდე.

2013 წლის 8 თებერვალს პრეზიდენტი გეგმავდა მოქალაქეებისადმი ყოველწლიური მიმართვის გაკეთებას თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში. როდესაც საპარლამენტო უმცირესობის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) წევრები და თბილისის მერი მივიდნენ შენობასთან, დემონსტრანტებმა მათ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. სახალხო დამცველის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეკრებილი დემონსტრანტების რაოდენობის, მოთხოვნებისა და განწყობის შესახებ და უნდა მიეღო პრევენციული ზომები ყოფილ მმართველ პარტიასთან დაკავშირებული პირების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

შეკრების უფლება უხეზად დაირღვა ამა წლის 17 მაისს, როდესაც ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეებს თავს დაესხა კონტრდემონსტრაციის ათასობით მონაწილე (იხ. თავი უმცირესობათა შესახებ).

6.1 მედიის თავისუფლება

ორგანიზაციის „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“ ბოლო, 2013 წლის მედიის თავისუფლების ინდექსის თანახმად, 178 ქვეყნიდან საქართველო მე-100 ადგილზეა, რაც პროგრესია წინა რეიტინგებთან შედარებით (120-ე ადგილი), რომელშიც გათვალისწინებული იყო 4 ჟურნალისტის დაღუპვა 2008 წლის კონფლიქტის დროს.

ტელევიზია არის ინფორმაციის ძირითადი წყარო მოსახლეობის 90%-სათვის.⁸² 2012 წელს გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, მხოლოდ მთავარ ტელევიზიებს („რუსთავი 2“, „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი) ჰქონდათ წვდომა მთელი ქვეყნის მასშტაბით და მათი სარედაქციო პოლიტიკა პროსახელისუფლებო იყო.⁸³

წლების განმავლობაში მედიასაშუალებების მფლობელთა ვინაობა უცნობი ან ცვალებადი იყო. 2011 წლის კანონი, რომლითაც იკრძალებოდა ოფშორული კომპანიების ფლობა, პოზიტიური ნაბიჯი იყო. თუმცა, ამ კანონის იმპლემენტაცია პრობლემური რჩება.

⁸⁰2009 წელს შეცვლილი კანონით, იკრძალება ქუჩების „ხელოვნურად“ და „განზრახ“ გადაკეტვა თავად დემონსტრანტების მიერ თუ „სამშენებლო და/ან სხვა სახის საგნებით“.

⁸¹შეცვლილ კანონში პოლიციის შესახებ სპეციალური აღჭურვილობის სიას დაემატა არამომაკვდინებელი სატყორცნი ჭურვები/ტყვიები, რომელთა გამოყენების უფლებაც მიენიჭათ პოლიციის თანამშრომლებს, მათ შორის, საზოგადოებრივი მღელვარების დასამშვიდებლად.

⁸²კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ 2012 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად.

⁸³წინა წლებისაგან განსხვავებით, 2010 წლის არჩევნებისა და 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უფრო დაბალსხეული გაშუქება განახორციელა.

მაგალითად, ტელეკომპანია „იმედი“ 2007 წლამდე პროოპოზიციური იყო, სანამ 2007 წლის 7 ნოემბერს ხელისუფლებამ ხელში არ ჩაიგდო ის (2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამ ტელევიზიის მფლობელობა დაუბრუნდა თავდაპირველი ძირითადი მფლობელის ქვრივს). „რუსთავი 2“-ის მფლობელი, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 20-ჯერ გამოიცვალა ვარდების რევოლუციის შემდეგ. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში „რუსთავი 2“-ისა და „იმედი“-ის მფლობელები რეგისტრირებული იყვნენ ოფშორულ ზონებში და, სავარაუდოდ იმართებოდნენ წინა ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მიერ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აღნიშნავდა შემდეგს: ზოგადად, ცნობილი იყო, „რომ ხელისუფლებამ ხელში ჩაიგდო ქვეყნის ყველაზე გავლენიანი ტელევიზიების კონტროლი, რისთვისაც ისინი ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ბიზნესმენებმა შეისყიდეს, ხოლო ჟურნალისტები აიძულეს შემოეღოთ მკაცრი თვითცენზურის პრაქტიკა“.⁸⁴ ტელევიზიები, რომლებიც ზოგადად პროოპოზიციურ მედია-საშუალებებად აღიქმებოდნენ („კავკასია“, „მაესტრო“ და „მეცხრე არხი“⁸⁵), აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, თუმცა მათი აუდიტორია მხოლოდ თბილისით შემოიფარგლებოდა, რადგანაც მათ უარი ეთქვათ უფრო ფართო მაუწყებლობაზე გადასვლის ნებართვაზე. 2012 წლის ივლისში საკაბელო ტელევიზიის პროვაიდერმა Global Contact Consulting-მა და „მაესტროტვ“-მ განახორციელეს წარუმატებელი ცდა, გაეფართოებინათ წვდომა სატელიტური მიმღებების გავრცელების მეშვეობით. ხელისუფლებამ განახორციელა მათი სატელიტური თევზების კონფისკაცია და დააბრუნა ისინი მხოლოდ არჩევნების შემდეგ, მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან სასტიკი კრიტიკისა.

სამოქალაქო კამპანიების საპასუხოდ, 2012 წელს, წინა პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები შესაბამის კანონში და შემოიღო must carry-ისა და must offer-ის მოთხოვნა (საკაბელო კომპანიების ვალდებულება, გადასცენ არხების საინფორმაციო გამოშვებები წინასაარჩევნო პერიოდის შემდეგაც), რაც დაეხმარა მცირე ტელევიზიებს აუდიტორიის გაფართოებაში, თუნდაც მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში.

ბეჭდური მედია შეფასდა როგორც მეტ-ნაკლებად თავისუფალი, თუმცა კი - ნაკლებად გავლენიანი.

2013 წლის საგაზაფხულო სესიის დროს პარლამენტმა შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონებში მედიის შესახებ. ეს ინიციატივა მომდინარეობდა სამოქალაქო საზოგადოების „მედიის ადვოკატირების“ კოალიციისაგან და მას მხარს უჭერდნენ ეუთოს ექსპერტები.⁸⁶ ახალი კანონით გათვალისწინებულია: საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოს განახლებული და უფრო დემოკრატიული შემადგენლობა; ტელევიზიების ფინანსური გამჭვირვალობის

⁸⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი, 2011 წელი.

⁸⁵ „ტვ-9“ დაარსდა მასში, ოპოზიციის ლიდერისა და მილიარდერის, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერთა მიერ.

⁸⁶ <http://dfwatch.net/osce-supports-reform-of-public-broadcaster-33277>

უფრო მაღალი დონე; სავალდებულო must-carry/must-offer-ის პრინციპების მოქმედების გახანგრძლივება, ანუ წინასაარჩევნო პერიოდის ნაცვლად, მუდმივ მოთხოვნად დაკანონება.

2013 წლის აგვისტოში პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება „მეცხრე არხის“ დახურვის შესახებ, რომლებსაც ამ ტელევიზიის გაყიდვის წარუმატებელი ცდის შემდეგ ფლობდნენ ივანიშვილის ოჯახის წევრები. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ეს ტელევიზია „ქმნის არაჯანსაღ გარემოს, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში“, რაც მართლაც იყო კრიტიკის საგანი.

მიუხედავად ზემოხსენებული პრობლემებისა, დღეს საქართველოს საზოგადოებას აქვს შედარებით თავისუფალი და პლურალისტული მედიაგარემო. მომავალში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მედია პოლიტიკის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ცალკეულ ჟურნალისტებზე განხორციელებულ გაუმართლებელ ზეწოლაზე რეაგირება; ეთიკის სფეროს ასპექტებთან მიმართებით მედიასაშუალებებში ეფექტიანი თვითრეგულირების წახალისება; მედიასაშუალებების მფლობელთა ვინაობისა და ფინანსების შესახებ ინფორმაციის რეალური და სრული გამჭვირვალობა; საჯარო ინფორმაციის გამარტივებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხელისუფლების მიერ. საპრეზიდენტო არჩევნების დამოუკიდებელ და დაბალანსებულ მედიაგაშუქებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება ქვეყანაში დემოკრატიული გარემოს უზრუნველყოფისათვის.

მიმდინარე საპრეზიდენტო და მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კამპანიების თავისუფლად და დაბალანსებულად გაშუქებას განსაკუთრებული დატვირთვა ექნება ქვეყანაში დემოკრატიული ატმოსფეროსათვის. ზოგადად დაცული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიუკერძოებლობა და სანდოობა.

6.2 ძალადობა და დაშინება ჟურნალისტების წინააღმდეგ

წლების განმავლობაში მედიის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ საქართველოს ხელისუფლებას, რადგანაც ის არასაკმარის ზომებს იღებდა ჟურნალისტების ძალადობისგან დასაცავად და ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის აღსაკვეთად, განსაკუთრებით კი საარჩევნო პერიოდებში⁸⁷ და მასობრივი აქციების პერიოდში. უკანასკნელ დრომდე ვრცელდებოდა ცნობები ჟურნალისტების წინააღმდეგ დაშინებისა და

⁸⁷ მნიშვნელოვანი მაგალითი იყო ბათუმელი ჟურნალისტის ინტიმური ცხოვრების ამსახველი ვიდეოფირების გამოქვეყნების მუქარა 2009 წელს

შანტაჟის გამოყენების ფაქტების შესახებ, რომელთა მიზანსაც მათი გაჩუმება წარმოადგენდა⁸⁸.

პროპაგანდისტული განწყობებით მიჩნეული ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ მათ არ ეძლეოდათ ადმინისტრაციულ შენობებში შესვლის თანაბარი შესაძლებლობა, რომ მათ ანონიმურად ემუქრებოდნენ ტელეფონით და დაუდგენელი პირები უთვალთვალავდნენ.⁸⁹

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წლის 26 მაისის დემონსტრაციის დარბევისას სამართალდამცავებმა ფიზიკური ზიანი მიაყენეს 24 ჟურნალისტს. სახალხო დამცველის განცხადებით, დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს რეზინის ტყვიები, სიტყვიერად და ფიზიკურად შეუარცხევს ისინი, მაშინაც კი, როდესაც მათ განაცხადეს, რომ პრესის წარმომადგენლები იყვნენ.

ჟურნალისტების განცხადებით, მათ ჩამოართვეს და დაუზიანეს აღჭურვილობა, გაანადგურეს ან წაშალეს ფოტო, ვიდეო- და აუდიომასალა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოგვიანებით დააკისრა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებებისათვის 26 მაისის საპროტესტო აქციის დროს დაკარგული და დაზიანებული კამერებისა და მიღებული ფიზიკური დაზიანებების სამედიცინო მომსახურების საფასურის კომპენსაციის გადახდა 2 302 ლარის (1370 აშშ დოლარი) ოდენობით.

2011 წლის ივლისში, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს 4 ფოტოგრაფი, პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფის ჩათვლით. გასაოცარია, მაგრამ, მიუხედავად ამ ბრალდების სიმძიმისა, მათ შეეფარდათ პირობითი მსჯავრი საპროცესო გარიგების შედეგად. არასამთავრობო ორგანიზაციები და დაინტერესებულ მხარეთა კოლეგების ნაწილი ეჭვქვეშ აყენებდა ამ საქმის ბევრ ასპექტს, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მთავარმა პროკურატურამ არ წარუდგინეს საზოგადოებას სანდო სამხილი. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თანამშრომლობა ბრალდებულთა მხრიდან, რაც გამოიხატა ჯაშუშობის მონაწილე სხვა პირთა ამოცნობაში, ამართლებს ესოდენ მსუბუქ სასჯელს. თავად ჟურნალისტები მოგვიანებით აცხადებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ გამოყენებული იყო მუქარა და დაშინება.

ისეთი პრესის არსებობა, რომელიც თავისუფლად ასახავს საზოგადოებაში არსებული მოსაზრებების მრავალფეროვნებას, დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტია. დაზარალებულ ჟურნალისტებს უნდა მიეცეთ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საშუალება და სამომავლოდ თავიდან უნდა იქნას აცილებული ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის ნებისმიერი მცდელობა.

⁸⁸ როგორც ეს ჟურნალისტის ინტიმური ცხოვრების ამსახველი, უკანონოდ წარმოებული ვიდეომასალების 2013 წლის იანვარში გამოქვეყნებამ ცხადყო.

⁸⁹ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, „ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოში“, 2012 წელი.

6.3 სახელისუფლებო კონტროლი კერძო კომუნიკაციებზე

პირადი ხასიათის კომუნიკაციებზე სახელისუფლებო კონტროლის მასშტაბი მხოლოდ წელს გახდა ცნობილი. უკანონო ჩანაწერებთან დაკავშირებული სკანდალის გარდა, რომლებიც მოქალაქეთა პირადი ცხოვრების დეტალებსაც ასახავდა, ნათელი გახდა, რომ საქართველოში მომუშავე ყველა სატელეკომუნიკაციო კომპანია იძულებული იყო მიეღო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა პირდაპირ კავშირს მათ მომსახურებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. ამ სისტემის მეშვეობით სამინისტროსათვის დღემდე ხელმისაწვდომი რჩება ყველა სატელეფონი ზარი, მოკლე შეტყობინება და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა სახეები.

„უფროსი ძმის“ ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ზოგიერთ ქვეყანაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი უგულვებელყოფილია უშიშროებისა და ანტიტერორიზმის პოლიტიკის ინტერესების გამო. ცალკეული მოქალაქეების პირადი სივრცის უფლება ირღვევა და ადამიანები ზოგადად ეჭვის თვალით უყურებენ ყველაფერს. პრობლემა ნაწილობრივ არის ის, რომ პასუხისმგებელი პოლიტიკოსები არ განმარტავენ ამ პოლიტიკის არსსა და მიზეზებს.

აუცილებელია ელექტრონული კომუნიკაციების მართვის მკაფიო რეგულირება და მონიტორინგი დემოკრატიული და სამართლიანი კონტროლის საშუალებით. საქართველოში ახლახანს შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალური ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საქმეში.

6.4 დემონსტრაციების დარბევა წარსულში

პოლიტიკური აქციებისა და დემონსტრაციების დარბევამ უხეში ძალის გამოყენებით 2007 წლის ნოემბერში, 2009 წლის გაზაფხულზე და 2011 წლის მაისში დებატები და აღშფოთება გამოიწვია.

2007 წელს თბილისში გამართულმა დემონსტრაციებმა ღრმა კვალი დატოვეს საქართველოს საზოგადოებაში. მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დაწყებიდან 5 დღის შემდეგ, 7 ნოემბერს, პოლიციელებსა და დემონსტრანტებს შორის რამდენჯერმე იფეთქა კონფრონტაციამ. როგორც ორგანიზაცია Human Rights Watch აცხადებდა, „ძალის გამოყენება მოიცავდა ფიზიკურ შეურაცხყოფას პოლიციელის ჯოხებითა და ხის კეტებით, ასევე მუშტითა და წიხლებით ძალადობას დემონსტრანტებზე, რომელთა უმრავლესობა ცდილობდა თავი დაეღწია; ძალის გამოყენება მოიცავდა აგრეთვე ახლო მანძილიდან დემონსტრანტებისათვის ზურგში რეზინის ტყვიების სროლას, რომელთაგან ბევრი ასევე ცდილობდა თავი დაეღწია და გაქცეულიყო. ძალის ასეთი გამოყენება იძლევა საფუძველს ვარაუდისა, რომ სამართალდამცველების მიზანი იყო არა მხოლოდ დემონსტრაციის დაშლა, არამედ,

სავარაუდოდ, მისი მონაწილეების დასჯაც ასეთ აქციებში მონაწილეობისათვის⁹⁰ არსებული ინფორმაციით თითქმის 600 ადამიანი იყო გადაყვანილი საავადმყოფოში დაზიანებებისა და ცრემლსადენი აირის გვერდითი მოვლენების გამო.

2009 წლის 9 აპრილიდან 24 ივლისამდე გაიმართა არასაპარლამენტო ოპოზიციის ხანგრძლივი საპროტესტო აქცია. არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის აპარატი აკეთებდნენ განცხადებებს ამ აქციის მონაწილეებზე თავდასხმის ათობით შემთხვევის შესახებ. თავდამსხმელები იყვნენ ნიღბიანი და ბლაგვი ნივთებით შეიარაღებული დაუდგენელი პირები. მათში ორგანიზაცია Human Rights Watch აცხადებდა: „შემთხვევათა უმრავლესობაში [...] სამართალდამცავი ორგანოები იბარებდნენ მსვერპლთა საჩივრებს, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რეაგირებას არ ახდენდნენ მათზე. ზოგიერთ შემთხვევაში პირები, რომლებიც თავდასხმის მსხვერპლი გახდნენ აცხადებდნენ თავდამსხმელთა ვინაობას და მიუთითებდნენ მათ მიერ გამოყენებული ავტომობილების ნომრებსაც, მაგრამ, როგორც ჩანს, პოლიციამ არ დააკავა დამნაშავეები და არც შემდგომი საგამომიები ზომები მიიღო“. არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ არსებობს მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის 200-მდე საქმე, რომლებიც პოლიციამ დღემდე არ გამოიძია. სახალხო დამცველის აპარატმა და სხვებმა რეაგირება მოახდინეს ძალადობის სავარაუდო შემთხვევათა დიდ ნაწილზე, დაუდგენელი პირების მიერ საპროტესტო აქციის მონაწილეთა ფიზიკური შეურაცხყოფის ჩათვლით. ოფიციალური მონაცემებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ განუხორციელებია დაკავებები ხსენებულ საქმეებთან მიმართებაში.

2010 წლის განმავლობაში დასადგურებული მეტ-ნაკლები სიმშვიდე მოულოდნელად დაირღვა 2011 წელს, როდესაც იანვრის თვეში პოლიციამ დაარბია ომის ვეტერანთა საპროტესტო აქცია და ძალადობრივი ფორმებით დაარბია ოპოზიციის საპროტესტო აქციები მათში. 26 მაისს 5-დღიანი საპროტესტო აქცია დასრულდა ძალადობით, როდესაც პოლიციამ ძალადობრივი მეთოდებით დაშალა დაახლოებით 1000-კაციანი დემონსტრაცია პარლამენტის შენობის წინ, მას შემდეგ, რაც მანიფესტაციის გამართვისათვის გაცემული ნებართვის ვადა ამოიწურა. პოლიციამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, დააკავა და ახლო მანძილიდან რეზინის ტყვიები დაუშანა დემონსტრანტებსა და ჟურნალისტებს. დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, ერთ-ერთი დემონსტრანტი და პოლიციელი დაიღუპნენ მანქანის დაჯახების შემდეგ, რომლითაც დემონსტრანტთა ლიდერები მაღალი სიჩქარით ტოვებდნენ ტერიტორიას. კიდევ 2 დემონსტრანტი გარდაიცვალა მაღალი ძაბვის დენისგან. მათი სხეულები ერთ-ერთი მიმდებარე სახლის სახურავზე აღმოაჩინეს. დამკვირვებლები აცხადებდნენ, რომ მთავრობას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი შეეწყვიტა საპროტესტო

⁹⁰ Human Rights' Watch, „ზღვარს გადასვლა: საპროტესტო აქციისა და იმედის სასტიკი დარბევა“, 2007 წლის დეკემბერი.

აქცია, თუმცა ყველა თანხმდება, რომ სამართალდამცავებმა, ძირითადად სპეციალურმა დანაყოფებმა გამოიყენეს გადამეტებული ძალა.

წლების განმავლობაში პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებას, მათ შორის, ჟურნალისტებსა და დემონსტრანტების მიმართ დამორთგულველი ეფექტი ჰქონდა შეკრების და მანიფესტაციის უფლების რეალიზებაზე, სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი ამ ინციდენტების სრულყოფილად გამოძიება.

6.5. დემონსტრაციების მონაწილეთა უსაფრთხოება და უფლებები

ახალი ადმინისტრაციის პირობებშიც დაფიქსირდა რამდენიმე ინციდენტი. გახშირდა განსხვავებული აზრის მქონე ჯგუფების კონტრდემონსტრაციები. თუმცა, ასეთი კონტრდემონსტრაციების დროს ხდებოდა სამართალდამცველთა მასობრივი მობილიზაცია. თუმცა, როგორც ამ თავის შესავალში აღვნიშნეთ, ეს სათანადოდ არ განხორციელდა 8 თებერვალს დეპუტატებზე თავდასხმის დროს. უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმდაგვარი გარემოს შექმნას, საპრეზიდენტო არჩევნების და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, რომ ოპოზიციამ კამპანიის წარმოება შეუფერხებლად შეძლოს.

17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, პოლიციას ეკისრებოდა ვალდებულება, უზრუნველყო მონაწილეთა შეკრების უფლება და უსაფრთხოება, როდესაც 20000-ზე მეტი აგრესიული და გააფთრებული კონტრდემონსტრანტი (ეკლესიის წარმომადგენელთა ჩათვლით) ცდილობდა ფიზიკურად გასწორდებოდა ლგბტ უფლებების დამცველთა მცირერიცხოვან ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ვერ მოახერხა კონტრდემონსტრანტების მოძალადე და უმართავი მასის შეკავება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პოლიციამ მაინც უზრუნველყვეს ლგბტ აქტივისტების უსაფრთხო დეაყვანა. ამ ჯგუფის არც ერთი წარმომადგენელი არ დაშავებულა ამ აქციის დროს.

პრემიერ-მინისტრმა,⁹¹ პარლამენტის თავმჯდომარემ, იუსტიციის მინისტრმა და სხვა თანამდებობის პირებმა, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებმა გააკეთეს რამდენიმე მკაცრი განცხადება, რომელშიც ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება უზრუნველყოფილია კონსტიტუციით და რომ სახელმწიფო ძალ-ღონეს არ დაიშურებს საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, იქნება ეს ვალდებულება პოზიტიური თუ ნეგატიური.

⁹¹ იხ. პრემიერ-მინისტრის განცხადება: http://Government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=269&info_id=37032

ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც ეხება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დაცვას, აუცილებელია სამართალდამცავი სტრუქტურების ქვედანაყოფების მომზადების გაუმჯობესება და სატრენინგო პროგრამების გაფართოება საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებათა გათვალისწინებით, მასების მართვის/კონტროლის სფეროში.

6.6 გაერთიანების უფლება

უკანასკნელ წლებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეგისტრაციისათვის აუცილებელი გარემო, ზოგადად, პოზიტიური იყო და გაერთიანების უფლების ეს ასპექტი დაცული იყო. თუმცა, მთავრობის წარმომადგენლები და ზოგიერთი მედია საშუალებები მწვავედ აკრიტიკებდნენ ადამიანის უფლებათა დამცველებს 2008 წლის კონფლიქტის შემდგომ, განსაკუთრებით იმათ, ვინც სარჩელები შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ.

პრობლემები დაფიქსირდა გაერთიანების უფლების კუთხით, კერძოდ კი პროფესიული კავშირების შექმნის თვალსაზრისით. 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა პროფკავშირების წარმომადგენლების, თვით მასწავლებლებსაც კი დაშინების და უსაფუძვლო გათავისუფლების ფაქტები. რამდენადაც ჩანს, ზეწოლა პროფესიულ კავშირებზე ძირითადად შეწყდა მას შემდგომ.

კანონი მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ, რომელში შესული ცვლილებებიც 2012 წლის საარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრებული კრიტიკის საგნად იქცა, შეიცვალა და გაუმჯობესდა არჩევნებამდე არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის შედეგად.⁹²

7. სოციალური სამართლიანობა

წინა ხელისუფლებამ პრიორიტეტად გამოაცხადა ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის პოლიტიკა, რასაც უნდა წაეხალისებინა ეკონომიკური ზრდა. ხელისუფლებამ შეამცირა გადასახადები და გაამარტივა ქვეყანაში ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები. მიუხედავად ამისა, ამ პოლიტიკის კიდევ ერთი ასპექტი იყო დაქირავებულთა უფლებების შეზღუდვაზე გამიზნული ნაბიჯები. იმ დროს მიღებული შრომის კოდექსი ვერ აკმაყოფილებდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტებს.

2013 წლის ანგარიშში ადამიანის განვითარების შესახებ, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის, განათლებისა და შემოსავლების შესახებ,

⁹² http://www.messenger.com.ge/issues/2634_june_22_2012/2634_gvanca.html

საქართველო იმყოფება 72-ე ადგილზე 187 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის.⁹³ ამ ანგარიშის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 15.3% ცხოვრობს სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს (1.25 აშშ დოლარი დღეში) მიღმა (მყიდველობითი უნარის პარიტეტის თანახმად).⁹⁴ გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემების თანახმად, 77000 ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, ხოლო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში ყველაზე მაღალია ევროპის მასშტაბით.

სოფლის მეურნეობის სექტორის უფლებელყოფამ კიდევ უფრო გაართულა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბარტერის პრაქტიკა ყოველდღიურ მოვლენად იქცა. ყოველივე ამან გამოიწვია დედაქალაქსა და საზღვარგარეთ მიგრაცია.

საქართველოს დღემდე არ ჩაუბარებია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის გატარების მესამე, პერიოდული ანგარიში, რომელიც მზად უნდა ყოფილიყო 2007 წელს. ეს, ალბათ, ცხადყოფს, თუ რამდენად უფლებელყოფილია ეს საკითხები. აქამდე საქართველო ვერ იცავდა საკუთარი მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს. ეს გახლავთ მთავრობისა და პარლამენტის წინაშე მდგარი ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა.

საქართველოს დღემდე გადატანილი აქვს 1 მილიარდი ლარი ბიუჯეტის სხვადასხვა ნაწილიდან სოციალურ სექტორში. ხელისუფლება აცხადებს, რომ დაგეგმილია ჯანდაცვისა და განათლების სისტემების რეფორმა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა.

სხვა ძირითად პრიორიტეტებად უნდა გამოცხადდეს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების მხარდაჭერა, ახალი შრომის კოდექსის განხორციელება და საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა, აგრეთვე, ამ სფეროში წარსულში ჩადენილი უსამართლობების შეძლებისდაგვარად გამოსწორება.

7.1 შრომითი უფლებები

ძველი შრომის კოდექსი შეიცავდა დებულებებს, რომლებითაც ილახებოდა დაქირავებულთა უფლებები. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ფორმალურად უფლებები გათვალისწინებული იყო, მათი რეალური დაცვა არ ხდებოდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თვალსაწიერიდან, ხარვეზები განსაკუთრებით ნათელი იყო ორ ძირითად პაქტთან მიმართებით: პაქტი #87 - ორგანიზაციის ჩამოყალიბების უფლების შესახებ და პაქტი #98 - კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების შესახებ. მაშინაც კი, როცა უფლებები ფორმალურად უზრუნველყოფილი იყო, ხშირი იყო მათი დარღვევის შემთხვევები.

⁹³ <http://hdrstats.undp.org/images/explanations/GEO.pdf>

⁹⁴ 2010 წლიდან საქართველოში შეინიშნება წინსვლა მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების კუთხით. მიუხედავად ამისა, სიღარიბე, განსაკუთრებით კი, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში, შემფოთების მთავარ საგნადრჩება.

2011 წლის დეკემბერში უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ პროფკავშირების აქტივისტები არ იყვნენ დაცული შრომის კოდექსით. 2012 წლის ივნისში შესაბამის კანონებში ცვლილებების შეტანამ ვერ გადაჭრეს პრობლემა. ამ ცვლილებებით არც კოლექტიური მოლაპარაკების უფლება დაკანონებულა. პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა გონივრული საზოგადოებრივი დიალოგი, ხოლო პროფკავშირების ლიდერებმა და წევრებმა არაერთხელ გამოთქვეს პრეტენზიას, რომ ხელისუფლება ახორციელებდა მათ დაშინებას.

პროფკავშირების ფინანსური მდგომარეობა კვლავ მძიმეა. მასწავლებელთა ყველაზე დიდი პროფესიული კავშირის ლიდერობა ხელისუფლებამ არ აღიარა და სასამართლო დარბაზში დაუპირისპირდა მას. თითქმის ყველა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი აცხადებდა, რომ ხელისუფლება ერეოდა მის საქმიანობაში, დაწყებული დაშინებით და უსამართლო დათხოვნით დამთავრებული, რაც ხშირად იყო წარმოჩენილი როგორც „სამსახურიდან ნებაყოფლობით წასვლა“. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სხვათა აზრით, ხელისუფლების მოქმედება ასახავდა „მიზანმიმართულ ცდას, ჩამოერთვას მშრომელებს თავისუფალი შეკრების, ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლებები როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში“.⁹⁵

კაბინეტის პირველსავე სხდომაზე ახალმა პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა შრომის კოდექსის გადასინჯვის აუცილებლობას. რთული მოლაპარაკებების შემდეგ, 2013 წლის ივნისში, მიღებული იყო ახალი შრომის კოდექსი, რომელიც პასუხობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტებს. საერთაშორისო სტრუქტურები, მათ შორის, ევროკავშირიც, დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდნენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელშეკრულებების (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივცის შესახებ ხელშეკრულების ჩათვლით) მომავალ გაფორმასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში წინსვლას.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი შრომის კოდექსი ცხადყოფს აშკარა წინსვლას აქამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, გაუმჯობესების საჭიროება მაინც არსებობს. უპირველეს ყოვლისა, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა ძალ-ღონე არ დაიშურონ ახალი კოდექსის ეფექტიანი შესრულების უზრუნველსაყოფად. შეიმჩნევა გაუმჯობესება საზოგადოებრივი დიალოგის წარმართვის კუთხით და საჭიროა ამ პროცესის კიდევ უფრო გააქტიურება. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პარტნიორობის სამმხრივმა კომისიამ დაუყოვნებლივ და გააზრებულად გააფართოოს დიალოგის მასშტაბი.

⁹⁵ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, „ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოში“, 2012 წელი.

გარდა ამისა, აუცილებელია ორიოდ ახალი ინსტიტუტის შექმნა, შრომის ინსპექტორატისა და მედიაციის ინსტიტუტის ჩათვლით, დავების მოსაგვარებლად და შრომასთან დაკავშირებული ადგილობრივი კონფლიქტების ესკალაციის აღსაკვეთად (იმ შემთხვევების ჩათვლით, როცა ხელისუფლება გამოდის დამქირავებლის სტატუსით). განხილულ უნდა იქნას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაყოფის საკითხი, იმდაგვარად, რომ სოციალური დაცვას სათანადო პრიორიტეტულობა მიენიჭოს.

7.2 ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა

რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას, გაეროს რეიტინგების თანახმად, საქართველო 81-ე ადგილზეა 148 ქვეყანას შორის.⁹⁶ ეს კი მეტყველებს უთანასწორობაზე სამი მიმართულებით: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, პოლიტიკური გავლენა და ეკონომიკური აქტიურობა.

საქართველო შეუერთდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას და 2006 წელს მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, ხოლო 2010 წელს - კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. ეს უკანასკნელი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს ქალებისათვის შრომის ბაზრის უსაფრთხოებისა და თანასწორობის უზრუნველყოფას, ასევე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებას. ამ კანონს ახლდა 2011-2013 წლების გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული სამოქმედო გეგმა. პარლამენტის კომისიამ გენდერული თანასწორობის საკითხებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მექანიზმების შემუშავების საქმეში. საქართველომ გამოთქვა მზადყოფნა შეუერთდეს ევროპის საბჭოს ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციას (სტამბოლის კონვენცია) პირველივე შესაძლებლობის თანავე.

საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც ქალები მართლაც წარმოადგენენ მამოძრავებელ სოციალურ და ეკონომიკურ ძალას. მიუხედავად ამისა, ისინი დღესაც განიცდიან დისკრიმინაციას ბევრ სფეროში. მაგალითად, მიუხედავად უკანასკნელ წლებში მიღწეული გაუმჯობესებისა, დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე, როგორც ჩანს, ყოველდღიური მოვლენაა, რომლის შესახებაც შეტყობინებებს არასაკმარისი სიხშირით აქვეყნებენ, რისი მნიშვნელოვანი მიზეზიც არის სამართლიანობის აღდგენის სირთულე.

სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ გენდერული თანასწორობის განსამტკიცებლად საჭიროა ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბება. მისასაღმებელია გენდერის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწის დანიშვნა. ასევე მისასაღმებელია 2012 წლის აპრილში უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის მიზანია ეროვნული კანონმდებლობის მიახლოება სტამბოლის კონვენციის დებულებებთან ქალებზე ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ. გენდერული თანასწორობის შესახებ ეროვნული გეგმის ეფექტურად შესასრულებლად და ქალთა უფლებების სათანადოდ დაცვისთვის საჭიროა აღმასრულებელ შტოში, უწყებათა შორისი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა.

⁹⁶<http://hdrstats.undp.org/images/explanations/GEO.pdf>

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი, რომელიც ჯერ არ არის წარდგენილი პარლამენტისთვის, შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს ქალთა დაცვის კუთხით, მათ შორის, დებულებას თანასწორობის უწყების შესახებ, რომლის უფლებამოსილებებშიც შევა დისკრიმინაციის ყველა ფორმასთან ბრძოლა. იმედია, რომ ეს დებულება, ისევე როგორც სხვა საკანონმდებლო და სტრატეგიულ აქტებში არსებული დებულებები, უზრუნველყოფს საგრძნობი პროგრესის მიღწევას. მნიშვნელოვანია რომ ამგვარი თანასწორობის უწყების შექმნის შემდგომ მას ასევე გამოეყოს საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსები გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებზე ეფექტურად რეაგირებისათვის.

ძალადობა ოჯახში მუდმივი პრობლემაა. ქალაღზე კანონმდებლობა კარგად გამოიყურება, მაგრამ მისი განხორციელება მოიკოჭლებს. ხელისუფლებამ ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს შესაბამისი კანონების გასატარებლად, ფართო მოსახლეობისა და კონკრეტული პროფესიული ჯგუფების (მაგალითად, პოლიცია) ინფორმირებულობის დონის ამაღლების ჩათვლით, განსაკუთრებით კი სოფლად და უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე. სწორედ სახელმწიფოს ვალდებულებაა, ძალადობის მსხვერპლთათვის საკონსულტაციო უწყებებისა და თავშესაფრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომლებსაც უნდა მიეწოდოთ შესაბამისი რესურსები. გარდა ამისა, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის გამომწვევ ისეთ მიზეზებს, როგორცაა სიღარიბე, უმუშევრობა და სხვა რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობები. არანაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს პატრიარქალურ სტრუქტურებსა და კონფლიქტთან დაკავშირებულ ტრავმებს. შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს სოციალური პოლიტიკა.

საქართველოში ქალთა რაოდენობა, რომლებიც იღუპებიან მშობიარობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო, უკიდურეს შემოთებას იწვევს. მათი რიცხვი ბევრად აღემატება ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სიკვდილიანობის მაჩვენებელს. ზოგიერთი უმცირესობის წარმომადგენელი ქალები განსაკუთრებით დაუცველი არიან. მათზე უარყოფით გავლენას ახდენს ადრე ასაკში ქორწინება და განათლების შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ისევე, როგორც სხვაგან, საქართველოს მოქალაქე ქალები სექსუალური დევნის მსხვერპლი ხდებიან. კანონმდებლობა არ შეიცავს ასეთი მოქმედების ამკრძალავ კონკრეტულ დებულებებს. გარდა ამისა, მთელი რიგი მიზეზებით არ არის წახალისებული ქალთა მიერ ასეთი ინციდენტების შეტყობინება, მაგალითად, ასეთ საჩივრებს პოლიცია იშვიათად იძიებს. ეს კი ნიშნავს, რომ აუცილებელია პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლების განათლება გენდერთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სფეროში და საზოგადოების გამოღვიძება მყისიერი რეაგირებისა და შეტყობინების უზრუნველსაყოფად.

7.3 ბავშვთა უფლებები

ბავშვთა მდგომარეობა საქართველოში საგანგაშოა სიღარიბისა და, განსაკუთრებით, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის მხრივ (20.5 ბავშვი ყოველი ათასიდან). 5 წლამდე ასაკის ბავშვთა 11%-ს ახასიათებს განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც იწვევს ეკონომიკური პროდუქტიულობის ვარდნას 19%-ით. ასევე

საგანგაშოა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა რაოდენობის დაბალი მაჩვენებელი (46%).⁹⁷

უფრო მეტიც, განათლების უფლება არ არის სრულად რეალიზებული. ქვეყნის მაჩვენებელი ბავშვებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის კუთხით ძალიან დაბალია.⁹⁸ დაწყებით და საშუალო განათლებაში ინვესტირებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თითოეული ბავშვის მომავლისა და ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის. აუცილებელია მთავრობამ უმთავრესი პრიორიტეტი მიანიჭოს დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემის რეფორმას. ასევე უნდა განხილულ იქნას სკოლამდელი აღზრდის უნივერსალური მიდგომის ჩამოყალიბების საკითხი.

დენსტიტუციონალიზაციის სახელმწიფო პროგრამის დასრულება მოსალოდნელია 2013 წლის ბოლოს. ბავშვები უნდა მოექცნენ ალტერნატიული მზრუნველობის ქვეშ, ძირითადად, დროებითი მზრუნველობის ქვეშ - ოჯახებში ან ბავშვთა მცირე ჯგუფებისათვის განკუთვნილ სახლებში. ამ პროცესის წარმართვისას აუცილებელია სიფრთხილე და ზრუნვა ბავშვთა ინტერესების ზედმიწევნითი გათვალისწინებით. გადაუჭრელ პრობლემად რჩება ბავშვთა დიდი რაოდენობა არასახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში, რაც მოითხოვს ბავშვთა უფლებებზე დაფუძნებულ ზედამხედველობას.

ცხადია, რომ ხელისუფლებამ პრიორიტეტების სიაში ბევრად უფრო მაღალი ადგილი უნდა მიანიჭოს დაუცველ ბავშვთა მდგომარეობის მოწესრიგებას. სამინისტროთა შორის ეფექტიანი კოორდინირების საფუძველზე უნდა გაფართოვდეს ბავშვთა ზრუნვაზე მიმართული სამუშაოს სტატუსი სახელმწიფო სტრუქტურებში. გაეროს ბავშვთა ფონდთან კონსტრუქციული თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს, ხოლო სახალხო დამცველის აპარატს მიეცეს საშუალება, განაგრძოს ბავშვთა დაცვაზე მიმართული სამუშაო და განახორციელოს შესაბამისი ინსტიტუტების მონიტორინგი. ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმაში, რომლის მიღბაც იგეგმება, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვთა უფლებების დაცვა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც შემდგომ დისკუსიას მოითხოვს, არის ბავშვთა დაცვის გზები ძალადობის ყველა ფორმისაგან, ფიზიკური დასჯის ჩათვლით.⁹⁹

7.4 მოწყვლადი ჯგუფები

როგორც უკვე აღინიშნა, სიღარიბე, უკიდურესი სიღარიბის ჩათვლით, კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, უმუშევრობის დონე დაახლოებით 16%-ს შეადგენს, უფრო სავარაუდოა, რომ რეალური მაჩვენებელი 40%-ს აღწევს, განსაკუთრებით, თუ უმუშევართა რიცხვში ჩავთვლით სოფლად მცხოვრებ თვითდასაქმებულ პირებს, რომელთა გადარჩენის ერთადერთი წყარო სოფლის

⁹⁷ გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემები, 2013 წლის ივნისი.

⁹⁸ საქართველოს მონაცემები PISA – ს ტესტების ევროპული მაჩვენებლის ბოლო ადგილზეა

⁹⁹ გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით მშობელთა 90%-ს მიაჩნია, რომ ფიზიკური დასჯა საგანმანათლებლო მეთოდია

მეურნეობაა.¹⁰⁰ როგორც იუწყებიან, გასულ წელთან შედარებით, უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა.¹⁰¹

იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ე.წ. ეკომიგრანტები, სოფლად მიუწვდომელ ადგილებში და კონფლიქტის ზონების სიახლოვეს მცხოვრებნი და, ზოგიერთ შემთხვევაში, უმცირესობათა წარმომადგენლები წარმომადგენენ ყველაზე დაუცველ ჯგუფებს.

2008 წელს საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ დადო დაახლოებით 250000 იძულებით გადაადგილებული პირის საზოგადოებაში ინტეგრაციის პირობა. ახალმა ხელისუფლებამ დაადასტურა ეს განზრახვა. დღემდე, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო მხარდაჭერით განხორციელებული სამუშაოები ძირითადად კონცენტრირებული იყო მათი ხარისხიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე. ეს ძალისხმევა მისასალმებელია, მაგრამ აღნიშნული პროცესი ვერ შეეხო ყველა მათგანს, ვინც პასუხობდა შესაბამის მოთხოვნებს. ეს პროცესი, როგორც ჩანს, ჩიხში მოექცა, რადგანაც დიდწილად 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, დონორების მიერ იყო დაფინანსებული.

აუცილებელია იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებული სხვა ასპექტების მოგვარებაც (მაგალითად, შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა და დასაქმების შესაძლებლობები). როგორც იუწყებიან, ასევე არსებობს პრობლემები კერძო საკუთრების გარანტიებთან დაკავშირებითაც. ამ ეტაპზე, მიუხედავად საერთაშორისო დახმარების ეტაპობრივი შემცირებისა, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამის უწყებებმა განაგრძონ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებზე მუშაობა.

2012 წლის ივნისში იმჟამინდელმა ხელისუფლებამ მიიღო იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხების 2012-2014 წწ. სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხების სახელმწიფო სტრატეგია. ეს გეგმა პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებსა და დონორთა რეკომენდაციებს და ითვალისწინებს საჭიროებებზე უკეთ მორგებულ მიდგომას. შესაბამისმა სამინისტრომ გამოთქვა კერძო სექტორში განთავსებული იძულებით გადაადგილებული პირების (მთლიანი რაოდენობის დაახლოებით ნახევარი) ამ პროცესში ჩართვის მზაობა. გარდა ამისა, დაგეგმილია იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელახალი აღრიცხვა. მიუხედავად ამისა, თუ საქართველოს ხელისუფლებას სურს იძულებით გადაადგილებულ პირთა ეფექტიანი სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია და გაძლიერება, აუცილებელია უფრო სტრატეგიული მიდგომა და მოქმედება მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამასთანავე, უნდა დასრულდეს ხანგრძლივი დებატები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების გაწევასთან

¹⁰⁰2011 წელს უმუშევრობის მაჩვენებელი შეადგენდა 16.5%-ს (ყველაზე მაღალი პროცენტულობა რეგიონში), თუმცა ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალია რეალურ რაოდენობასთან შედარებით, რადგანაც შრომისუნარიან პირთა დაახლოებით 53% ჩაითვალა სოფლად თვითდასაქმებულ პირად. სოციალური დაზღვევის სრულფასოვანი სისტემის არარსებობის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანა წარმომადგენს შემოსავლის ერთადერთ წყაროს.

¹⁰¹ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2012 წლის ბოლოსთვის დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 527828 ადამიანს, ხოლო 2013 წლის შუაში - 503456 ადამიანს. ერთადერთი სფერო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, იყო სოფლის მეურნეობა. ექსპერტთა განმარტებით, ეს ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა განაპირობა.

დაკავშირებით, რომელიც ეხება სტატუტის საფუძველზე მიდგომის საჭიროებების საფუძველზე მიდგომით ჩანაცვლებას.

პოზიტიური იყო ახლახან მიღებული გადაწყვეტილება პენსიების მინიმალური ოდენობის გაზრდის შესახებ. აუცილებელია პენსიების საკითხის პერიოდული გადასინჯვა და მათი ოდენობის საჭიროებისამებრ შეცვლა.¹⁰²

7.5 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები

საქართველოს კონსტიტუციაში არის პოზიტიური მუხლი, რომლითაც აკრძალულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დისკრიმინაცია, თუმცა არ ხდება ამ დებულების შესაბამისად განხორციელება. ისევე, როგორც სხვაგან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები აქაც დგანან გარიყვის განსაკუთრებით მაღალი რისკის წინაშე. საქართველოში ისინი კვლავინდებურად აწყდებიან სერიოზულ ფიზიკურ დაბრკოლებებს ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის 2010-2012 წწ. ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2011 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით.¹⁰³ წინა წლებში ასევე იყო მიღწეული მნიშვნელოვანი წინსვლა საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლების თვალსაზრისით. ამ პროცესში მედიამ დიდწილად პოზიტიური როლი შეასრულა. დენისტიტუციონალიზაციის ზოგადი პროცესი ასევე შეეხო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა გარკვეულ რაოდენობას.

აუცილებელია აქამდე გადადგმული ნაბიჯების სათანადოდ დაფასება. ამ კუთხით მნიშვნელოვანი სიგნალი იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მყისიერი რატიფიკაცია, რომლის გატარებაც, გასაგები მიზეზების გამო, მართალია, ეტაპობრივი იქნება, მაგრამ მაინც უზრუნველყოფს ქვეყანას ამომწურავი სამოქმედო ჩარჩოთი.

7.6 ჯანმრთელობის დაცვის უფლება

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი ჯანმრთელობის პრობლემების მოხადოებულ წრეში მოექცა, რაც იწვევდა სიღარიბის დონის ამაღლებას, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო აუარესებდა მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას. ბევრმა მოქალაქემ დაკარგა კერძო საკუთრება ან იძულებული გახდა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სესხი აეღო.

წარსულში გატარებული სტრატეგიების შედეგად, შემოღებული იყო ჯანდაცვის სფეროს მართვის საბაზრო პრინციპები. ამ ეტაპზე ჯანდაცვის მიმწოდებელთა 95%-ს კერძო, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი კომპანიები შეადგენენ. 2007 წელს საქართველომ მიიღო

¹⁰²2013 წლის სექტემბრიდან პენსიების მინიმალური ოდენობა შეადგენს 150 ლარს (დაახლოებით 85 ევრო). საერთო ჯამში, პენსიების გაზრდა შეეხო 1 270 000 ადამიანს.

¹⁰³საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში“, 2011 წელი, 2012 წელი.

კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ. წინა ხელისუფლების პირობებში დაიწყო 2011-2015 წწ. ჯანდაცვის ეროვნული სტრატეგიის განხორციელება. მის ძირითად მიზნებში შედის სამედიცინო მომსახურების არათანაბარი ხელმისაწვდომობის შემცირება, კერძოდ კი, ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ასევე მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - ამ შემთხვევაში კი ახალმა ხელისუფლებამ ხაზი გაუსვა ხარისხიანი მართვის სისტემის დანერგვის აუცილებლობას. როგორც ჩანს, საქართველოს ახალი ხელისუფლება სერიოზულად ეკიდება სოციალურ საკითხებს, მათ შორის, ჯანდაცვის უზრუნველყოფის გადაუდებელ საკითხს. ჯანდაცვის ბიუჯეტი გაორმაგდა და გადაიდგა ნაბიჯები საყოველთაო ჯანდაცვის მიწოდების კუთხით.¹⁰⁴ 2013 წლის თებერვალში ამუშავდა მასშტაბური უნივერსალური ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა.

ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების ერთ-ერთი საუკეთესო ილუსტრირებაა მისი უზრუნველყოფა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. წინა ხელისუფლებამ წამოიწყო მნიშვნელოვანი სამუშაოები ამ სისტემის გასაუმჯობესებლად, რომელიც მოშლილი იყო წარუმატებელი პრივატიზაციის გამო. ამ სამუშაოებში არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული პატიმართა ჯანდაცვის საჭიროებები. საგრძნობი შედეგები მიღწეული იყო მხოლოდ 2013 წლის დასაწყისში, ციხეების გადატვირთულობის შემსუბუქების შემდეგ, ასევე მთელი რიგი პატიმრების სამოქალაქო საავადმყოფოებში გადაყვანის შემდეგ. ეს საკითხი დეტალურად არის განხილული თავში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს მოქალაქეები დამოკიდებული არიან კერძო სამედიცინო დაზღვევაზე, რომლის საფასურსაც ფარავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თუკი მოცემული პირი იმყოფება ქვეყანაში დადგენილი სიღარიბის ზღვარს მიღმა. როგორც იუწყებიან, მოქალაქეთა მიერ შექმნილი სადაზღვევო პაკეტებში არ არის გათვალისწინებული ძირითადი საჭიროებებიც კი, ქრონიკული დაავადებები კი საერთოდ ამოღებულია. პრაქტიკაში ნაღდ ანგარიშზე გადახდილი საფასური კვლავინდებურად წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის ძირითად დაფინანსების წყაროს. ამას კი მივყავართ მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მომსახურების ხელმისაწვდომობის დონის შემცირებასთან, განსაკუთრებით კი, მედიკამენტების ხელმისაწვდომობის კუთხით, რადგან მოქალაქეებს უბრალოდ არ აქვთ მათი შესყიდვისათვის აუცილებელი ფინანსური შესაძლებლობები.

ჯანდაცვის სტრატეგიების განხორციელება (ისევე, როგორც სხვა სოციალური სტრატეგიების შემთხვევაში) მოითხოვს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ადამიანურ რესურსებს. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ და პარლამენტმა გააცნობიერონ შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფის აუცილებლობა. გარდა ამისა, დაუშვებელია, რომ პრივატიზაციის

¹⁰⁴ 6-დან 60 წლამდე ასაკის მოქალაქეთა საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამა დაიწყო ა.წ. თებერვალში და მოიცავს აქამდე დაზღვევის გარეშე მყოფ დაახლოებით 2.2 მილიონ მოქალაქეს. 2012 წელთან შედარებით, 2013 წლის ბიუჯეტი თითქმის სამჯერ გაიზარდა.

მაღალმა დონემ გამოიწვიოს ფინანსურად ხელმისაწვდომი მომსახურების ტიპების შემცირება შუალედურ ჭრილში. საქართველოს დიდი გზა აქვს გასავლელი ჯანმრთელობის უფლების სრულ უზრუნველყოფამდე, თუმცა აუცილებელია შემდგომი ნაბიჯების დაუყოვნებლივ გადადგმა, რათა ჯანდაცვა ხელმისაწვდომი იყოს ყველაზე დაუცველი ჯგუფებისათვის.

7.7 საკუთრებისა და მიწის მფლობელთა უფლებები

წინა ადმინისტრაციის წინააღმდეგ მთავარ პროკურატურაში შეტანილი საჩივრების დიდი ნაწილი ეხებოდა საკუთრების უფლებას. საკუთრებისა და მიწის მფლობელობის უფლებათა მასობრივი დარღვევები მართლაც ხდებოდა, რასაც არაერთხელ აცხადებდნენ სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწები, სადაც მიმდინარეობდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე დედაქალაქსა და მის გარეუბნებში ეკონომიკურად მომგებიანი ტერიტორიები.

არასამთავრობო ორგანიზაციები განცხადებას აკეთებდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით საკუთრების უფლების შელახვის ფაქტებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემაში, ქონების დათმობასა თუ სახელმწიფოს სახელზე სხვათა მფლობელობაში მყოფი საკუთრების გადაფორმებაში.¹⁰⁵ ანგარიშებში აღნიშნულია, რომ, როგორც წესი, მესაკუთრეები საკუთრებას უსასყიდლოდ გადასცემდნენ სახელმწიფოს ან უარს ამბობდნენ ქონებაზე მას შემდეგ, რაც მათ იბარებდნენ პროკურატურაში. გარდა ამისა, საქართველოს ზოგიერთ მაღალმთიან რეგიონში, სადაც მიწის ნაკვეთები ტრადიციულად თაობიდან თაობას გადაეცემა ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე, მფლობელები, რომლებიც ცდილობდნენ ნაკვეთების რეგისტრაციას, აწყდებოდნენ დაუძლეველ დაბრკოლებებს იმ შემთხვევაში, თუკი მათი ინტერესები ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ინტერესებს.¹⁰⁶ სხვა შემთხვევებში უბრალოდ გაიცემოდა ცნობები, რომელთა ძალითაც საკუთრების მფლობელობა სულაც გაუქმებული იყო.¹⁰⁷ დღემდე მთავარ პროკურატურაში შეტანილია 1289 საჩივარი კერძო საკუთრების უფლების დარღვევებთან დაკავშირებით.

ნათელია, რომ სასამართლოში კერძო საკუთრების უფლების მასობრივი დარღვევების დადასტურების შემთხვევაში, სახელმწიფოსათვის ძალიან რთული (და ალბათ შეუძლებელიც კი) იქნება დაზარალებულთათვის სრული კომპენსაციის გაცემა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, უნდა შეიმუშაოს მექანიზმი ასეთი საქმეების მოსაგვარებლად. დაზარალებულთა დაუცველობა, რომლებმაც ზოგ შემთხვევებში, მათივე განცხადებით, ყველაფერი დაკარგეს, ცალსახად გასათვალისწინებელ ფაქტორს წარმოადგენს. იმ შემთხვევებში, როცა კომპენსაცია

¹⁰⁵ http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/StrippedPropertyRights_April2012_Eng_0.pdf

¹⁰⁶ [http://www.osgf.ge/files/publications/2011/Report_Mestia\(Final-1\).pdf](http://www.osgf.ge/files/publications/2011/Report_Mestia(Final-1).pdf)

¹⁰⁷ http://www.osgf.ge/files/publications/2011/Gonio_GEO_WEB.pdf

შესაძლებელია, აუცილებელია ამის დაუყოვნებლივ განხორციელება. ზოგადად, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დარღვევები უნდა გახდეს საქართველოს წარსულთან გამკლავების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი. ასევე აუცილებელი შეიძლება იყოს ამჟამინდელი კანონმდებლობის გადასინჯვა ამ კუთხით.

შემაჯამებელი მოსაზრებები

მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომლებიც საქართველოში შეიქმნა პოლიტიკური პოლარიზაციის შედეგად, უკანასკნელმა თვეებმა ცხადყო, რომ გადაუჭრელი და რთული პრობლემების საკმაოდ დიდი რაოდენობის მოგვარება შესაძლებელია, მათ შორის, ისეთი პრობლემებისა, რომლებიც ეხება მართლმსაჯულების სისტემის მუშაობას. ამ წამოწყებებში განსაკუთრებით კონსტრუქციული როლი ითამაშეს გარკვეულმა ძალებმა პარლამენტში. როგორც ყოველთვის, სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებები ფასდაუდებელი აღმოჩნდა.

წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში ძირითადი რეკომენდაცია ასეთია: ახალმა მთავრობამ და პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წარსულის განხილვის დასრულებას სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების შესაბამისად. დაუშვებელია როგორც მძიმე დანაშაულთა დაუსჯელობა, ასევე დაუშვებელია პროცესის პოლიტიზება თუ შერჩევითი სამართალი. ეს ხელს შეუწყობს განკურნების აუცილებელ პროცესს.

ამავდროულად, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება სულ უფრო მეტად დაეთმოს მომავლის მშენებლობას. წინამდებარე ანგარიშში აღნიშნულია, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისათვის არსებული საჭიროებების გადახედვა და შეფასება უნდა მოხდეს. კონტროლისა და ბალანსის ეფექტიანი სისტემებისა და მექანიზმების დამკვიდრება სახელმწიფოსა და მმართველი გუნდის გამიჯვნის პროცესის შემადგენელი ნაწილია, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს დემოკრატის საქართველოში.

საერთაშორისო თანამეგობრობას თავისი როლი აქვს ყოველივე ამაში. საქართველოს მოქალაქეები და ქვეყანაში არსებული ორგანიზაციები ყოველთვის მზად არიან დიალოგისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება უცხოელებს. ეს კი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ, ვინც უცხო ქვეყნებიდან ესაუბრება საქართველოს. ნამდვილად აჯობებს, თუ ყურადღებით მოუსმენენ და თავს შეკავებენ ნაჩქარევი დასკვნებისაგან. დაუშვებელია, ისინი იქცნენ საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური ძალის „იარაღად“.

გარდა ამისა, ევროპის ინტერესებში ცალსახად შედის საქართველოში დემოკრატიის განვითარება და შემდგომი განმტკიცება. ეს შესანიშნავი ხალხი მხოლოდ მიესალმება ზუსტ

ინფორმაციაზე დაფუძნებულ დიალოგს, რომელიც ეყრდნობა ურთიერთ პატივისცემას, კონსტრუქციულ კრიტიკასა და გამოცდილების გაზიარებას.